წელს საქართველოს მთავრობა თავად გამოიკვებავს თავს A2

რეცეპტი ნგრევის პირას მისული ორგანიზაციისთვის A3

კონცეფცია B6

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 14 იანვარი, 2005 წელი. №7 (867)

ფასი 50 თეთრი

ხაჯიმბას ნათესავებიც კი არ უჭერდნენ მხარს

ტანდემმა მაინც გაიმარჯვა - 90 პროცენტით

არჩევნები სოხუმში, 2005 წლის 12 იანვარი.

"24 საათი" მკითხველს სთავაზობს სოხუმში ჩვენი სპეციალური კორესპონდენტის, აფხაზი ჟურნალისტის მიერ მომზადებულ სტატიას. გასაგები მიზეზების გამო, ჩვენი სოხუმელი კორესპონდენტის სახელს და გვარს არ ვასახელებთ.

დილის ათ საათზე აფხაზეთში სამუშაო დღე მხოლოდ სკოლის მოსწავლეებისთვის იწყება. ყველა დანარჩენი ახალ დღეს ერთი საათით გვიან იწყებს. ოთხშაბათს, 12 დეკემბერს ეს წესი დაირღვა და დილის ცხრა საათისთვის ქუჩებში უკვე სიცოცხლე ჩქეფდა. განსაკუთრებული ხალხმრავლობა საარჩევნო უბნებთან შეინიშნებოდა. თითქოს ხალხი დაემორჩილა ლოზუნგს - "ყველა არჩევნებზე", უფრო სწორად კი, ყური დაუგდო ბაგაფშხაჯიმბას ტანდემის დაჟინებულ თხოვნას და საარჩევნო ურნებთან გამოცხადდა. დილიდანვე ზოგიერთ საარჩევნო უბანთან ამომრჩეველთა რიგებსაც კი გადააწყდებოდით.

ამ საპრეზიდენტო არჩევნების ყველაზე საინტერესო მომენტი ის კი არ არის, თუ ვინ გახდება გამარჯვებული, მთავარია, ჩაითვლება თუ არა ეს არჩევნები ჩატარებულად, გადალახული იქნება თუ არა სავალდებულო ბარიერი – 50 პროცენტს პლუს ერთი ხმა. ის, რომ სახალხო პარტიის ლიდერი იაკუბ ლაკობა აფხაზეთის პირველი პირი არ გახდება, იმთავითვე ყველასათვის ნათელია. ამომრჩეველთა აქტიურობის გამო დარდი პოლიტიკოსებს გუშინ საღამომდე – საარჩევნო დღის ბოლო წუთებამდეც კი გაჰყვათ. მხოლოდ საღამოს ექვსი საათისთვის ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მოწყობილ პრესკონფერენციაზე გამოცხადდა, რომ ამომრჩეველთა აქტივობის 50-პროცენტიანი ზღვარი დაძლეულია.

გაგრძელება A3 გვერდზე

მაგისტრალური გაზსადენების პრივატიზაცია - პრობლემები და დასკვნები

"24 საათი" მკითხველს სთავაზობს სატრანზიტო ნავთობ და გაზსადენების დამოუკიდებელი ექსპერტის, NATO-ს პერსპექტიული სამეცნიერო კვლევების ფარგლებში ორგანიზებული საერთაშორისო სემინარის "გაზის მიწოდების უსაფრთხოება" თანადირექტორის, პროფესორ თეიმურაზ გოჩიტაშვილის მიერ საქართველოს გაზის სექტორის განვითარების პრობლემებისადმი მიძღვნილი ნაშრომის მოკლე შინაარსს.

როგორც ცნობილია, 12 იანვარს საქართველოს მთავრობის სხდომაზე მოეწყო საქართველოს გაზის სექტორის განვითარების კონცეპტუალური საკითხების წინასწარი განხილვა. რედაქცია იმედოვნებს, რომ სტატიაში გაშუქებული მასალების გამოქვეყნება ხელს შეუწყობს ობიექტური საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას.

თეიმურაზ გოჩიტაშვილი

სტრატეგიული მნიშვნელობის მაგისტრალური გაზსადენები, როგორც ერთიანი ენერგეტიკული სისტემის სათბობით უზრუნველყოფის ძირითადი წყარო, უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებული გამგებლობის სფეროს მიეკუთვნება და, მოქმედი კანონმდებლობით, მათი პრივატიზაცია შეზღუდულია.

საქართველოს მთავრობის არაერთგზის მცდელობას, საბოლოოდ გადაეწყვიტა ქვეყნის მოსახლეობისა და ინდუსტრიის ყველაზე იაფი, მოხმარებისთვის მარტივი და ეკოლოგიურად უსაფრთხო სათბობით მომარაგება, სასურველი შედეგი არ მოჰყოლია, რადგან სექტორის გრძელვადიანი განვითარების პერსპექტივა გაურკვეველი რჩება.

გაგრძელება A8 გვერდზე

იწყება ხელმოწერის კამპანია გაზეთ "24 საათზე"

იკითხეთ "24 საათი" და თქვენ გეძნებათ პოზიცია!

ხელმოწერის ფასები:

1 თვით 13 ლარი;
3 თვით 39 ლარი;
6 თვით 78 ლარი;
ერთი წლით 156 ლარი.

ყურადღება!

თუ ხელშეკრულება გაფორმდება უშუალოდ რედაქციასთან, ხელმოწერი მიიღებს შემდეგ შეღავათებს:

6-თვიან ხელმოწერაზე 10 პროცენტი ფასდაკლება, ანუ 78 ლარის ნაცვლად 70,20 ლარი;
ერთწლიან ხელმოწერაზე 20 პროცენტი ფასდაკლება, ანუ 156 ლარის ნაცვლად 124,80 ლარი.

რედაქციის მისამართი:
ვაჟა ფშაველას №45
ტელ: 20 24 24

საზოგადოება

გაუკაცრიელებულ პირიქითა ხევსურეთს დავკარგავთ

თუ ასე გაგრძელდა, იძულებული ვიქნებით, ჩვენც გადმოვსახლდეთ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რუსების მიერ წართმეულ სოფლებს შატილ-არხოტ-არდოტის უნიკალური ხეობებიც მიემატოს.

A6

სამართალი

უზენაესმა სასამართლომ პოლიტიკურ შეკვეთაზე აწყობილი საქმე დაარღვია

"ირაკლი კერესელიძის საკასაციო სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, განაჩენი საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება," - ასეთი იყო გუშინ უზენაესი სასამართლოს განაჩენი.

A7

იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A7

გაზეთ "24 საათის" ანონსები შეგიძლიათ, მოისმინოთ რადიო "მწვანე ტალღის" ეთერში,
FM 107.4

ამინდი

	14/1	15/1
თბილისი	13	13
ქუთაისი	15	16
ბათუმი	17	17
სოხუმი	14	15
ფოთი	16	17
თელავი	12	13
ზუგდიდი	16	17
გორი	11	11
ახმეტა	11	12
ჭიათურა	12	12
გაგრა	13	14
სამტრედია	16	16

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.8150
ევრო	2.4000
გირვანქა სტერლ.	3.4249
რუბლი	0.0651

დაპირისპირებული "თანაგუნდელების" პირველი განცხადებები

ნინო გომართელი

ბოლო სამი თვის განმავლობაში აფხაზეთის მოსახლეობა საარჩევნო ურნებთან უკვე მეორედ მივიდა თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტის ასარჩევად. მეორე მცდელობის შემდეგ, სერგეი ბაგაფში პრეზიდენტი მაინც გახდა. წინასწარი მონაცემებით, მან ხმათა 90 პროცენტი (68 ათასზე მეტი) დააგროვა.

"მიუხედავად ჩვენი წინააღმდეგობისა, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატების ჯგუფმა ვიცე-სპიკერის ს. ბაბურინის ხელმძღვანელობით, ქართული ვიზების გარეშე და საქართველოს ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად უკანონოდ გადაკვეთა სახელმწიფო საზღვარი და ჩავიდა აფხაზეთში, საქართველო.

გაგრძელება A3 გვერდზე

ქართული პრივატიზაციის უცხოელი მოთამაშენი

დიანა ჩაჩუა

საქართველოს ხელისუფლება, რომელმაც "გახსნა" ჭიათურა-ვარციხისა და "საქართველოს საოკეანო სანაოსნოზე" გამოცხადებული ტენდერების განაცხადების ცერემონია, უკვე მესამე დღეა, დახურულ კარს მიღმა თათბირობს. "24 საათის" მცდელობა, საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსგან მიეღო ინფორმაცია ტენდერში მონაწილე კომპანიების შესახებ, წარუმატებლად დასრულდა. სამინისტროში მონაცემები მათ საქმიან გამოცდილებასა და ფინანსურ მდგომარეობაზე, ანუ - სანდოობაზე ან არ ჰქონდათ, ან, უბრალოდ, ამ ინფორმაციის პრესისთვის გაცნობა საჭიროდ არ ჩათვალეს. მით უმეტეს, არ დაზუსტებულა არც პირველი სამეულების ზუსტი ვინაობა და არც მათ მიერ წარმოდგენილი სატენდერო განაცხადების შინაარსი. შეგახსენებთ ტენდერებში მონაწილე კომპანიებს: უკრაინული "Интерпаип", ავსტრიული "DCM-ფერო", ჩეხური "მორავაია ჯორჯია" და რუსული "Евразия Холдинг" "ჭიათურმანგანუმისა" და "ვარციხეჰესის" აქციათა პაკეტის მოპოვებას ცდილობს. დანიური "Greenoak Group", ავსტრიული "ASP-SHIP Managment", ბრიტანული "Marin kapital", გერმანული "shellor-ship Managment", თურქული "Koryat", რუსული "" და იტალიური "Co-Arma". - ასეთია "საქართველოს საოკეანო სანაოსნო"-ზე შეტანილი განაცხადების ავტორთა ნუსხა. "24 საათმა" უკვე მოგაწოდათ ინფორმაცია უკრაინული "Интерпаип"-ისა და მის მიერ წარმოდგენილი განაცხადის შინაარსის შესახებ. მისი ერთ-ერთი კონკურენტი - DCM საკუთარი განაცხადის დეტალების მოწოდებას დღეისთვის შეგვპირდა, უკვე არაერთხელ ვწერდით "საოკეანო სანაოსნო კომპანიის" ყიდვის მსურველ "გრინოკზე" და მის მფლობელ იან ნილსენზე, დღეს კი იმ კომპანიებზე შემოგთავაზებთ ინფორმაციას, რომელიც "24 საათმა" დღეისთვის დამატებით მოიძია. ამთავითვე ვიტყვით - მონაწილეთა სია, ისევე, როგორც მათი უმრავლესობის დოსიეები, საკმაოდ შთამბეჭდავია:

გაგრძელება A4 გვერდზე

A2 ამბები A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 თვალსაზრისი

B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 კონცეფცია B7 კვირის TV პროგრამა B8 სხვადასხვა

მაია ჭალაგანიძის სვეტი

მეორე დემოკრატიული ზამთარი

საყოველთაო ბახუსი დასასრულს უახლოვდება - დუბლსაახალწლო არდადეგების შემდეგ დიდმა ხელისუფლებამ სათხილამურო კურორტებს მიაშურა, პატარამ, ანუ მუნიციპალურმა - ნიგვზითა და ღვინით დაზიანებული კუჭ-ნაწლავის მკურნალობა არჩია და ბიუჯეტთან ერთად ლიკანს გაემგზავრა. მართალია, დღესასწაულები და ბახუსი კონსტიტუციით აკრძალული არ არის, მაგრამ ცხოვრება სხვა გაგებისაა.

აზიის ცუნამიმ კუნძულების ინფრასტრუქტურის 80 პროცენტი გაანადგურა. სტიქიას ამისთვის რამდენიმე წუთი დასჭირდა. ჩვენს ქვეყანასაც განადგურებული აქვს ინფრასტრუქტურა და ამისთვის შევარდნაძეს და მის ხელისუფლებას გაცილებით მეტი, 10 წელი დასჭირდა, რადგან ბუნება "არ უწყობდა ხელს", ბოლოს კი გამწარებულმა საზოგადოებამაც გამოხატა თავისი რისხვა. ეს უკვე ვიცით, მაგრამ ორი წელი საკმარისი დროა იმისთვის, რომ ახალი ხელისუფლება მორჩეს ეკონომიკისა და ცხოვრების დონის 10 წლის წინანდელ პარამეტრებთან შედარებას, რათა არ დაემსგავსოს კომუნისტებს, ლამის მე-20 საუკუნის 70-იან წლებამდე რომ აწარმოებდნენ სტატისტიკას მეფის რუსეთთან შედარებით...

საქართველოში მეორე დემოკრატიული ზამთარი დგას. სახელმწიფოებრივი აზროვნება ცვლილებებს განიცდის და ჩინოვნიკებმაც იციან, რომ ყველაფერი უნდა გააკეთონ ქვეყნის საკეთილდღეოდ; ის კი დაავიწყდათ, რომ "ყველაფერში" არ იგულისხმება ადამიანის, პრესისა და სასამართლოს უფლებებისა და თავისუფლებების სახელმწიფოს სასარგებლოდ შეზღუდვა. ევროსაბჭომ შეაფასა ეს განვლილი დრო და, სამწუხაროდ, დასკვნა ისეთი არ არის, რასაც ჩვენი რევოლუციონერები ორი წლის წინ გვპირდებოდნენ.

მთავრობა სამართლიანად ამაყობს საპატრულო პოლიციით, მაგრამ არაფერს ამბობს სამსახურიდან დათხოვნილი ათასობით, იარაღს მიჩვეული, კარგად ინფორმირებული პოლიციელის სოციალურ დაცვაზე. თუ ისინი კანონდარღვევების გამო გაუშვეს, პასუხიც უნდა მოსთხოვონ; თუ ოპტიმიზაციის გამო დარჩნენ უმუშევრები - სოციალურად უნდა დაიცვან და არა აქვს მნიშვნელობა, ეს ხნიერი პედაგოგი იქნება, თუ ჯან-ღონით სავსე პოლიციელი. სხვათა შორის, სანაქებო პატრულს სწორედ ეს უკანასკნელები უფრო უქმნიან დაძაბულ კრიმინოგენურ ვითარებას. თან - საზოგადოებასაც არ უნდა აკადრო და ერთგული სამსახურისთვის არ უნდა დააჯილდოვო ცუდად ცნობილი პოლიციელები.

კრემლისთვის "ვარდების რევოლუცია" დარტყმა იყო, "ნარინჯისფერი რევოლუცია" კი - კოშმარი. მთავრობა, შეიძლება, ვერ აგვარებს ურთიერთობებს აფხაზეთთან, მაგრამ ის მაინც უნდა შეძლოს, რომ კოშმარში მყოფი კრემლი ასე ღიად და ცინიკურად არ იქნევდეს სადირიჟორო ჯოხს სეპარატისტულ არჩევნებში. მეტი დამაჯერებლობისთვის, მკაცრი განცხადებები მტრის ცხვირის დაზიანების შესახებ ეკონომპრემიერმა კი არ უნდა გააკეთოს, არამედ უმრავლესობით არჩეულმა პრეზიდენტმა, ტისოვეცსა და ბაკურიანში თხილამურებით სრიალებს შორის მაინც...

ამის შესახებ კი ევროსაბჭომ არ იცის და არც აინტერესებს - ეს ჩვენი შიდაპროვინციული ამბებია: პრეზიდენტმა რომ თქვა, მომღერლებიდან წურწუმია და მეფარიძე მომწონსო. შოუბიზნესის ეს წარმომადგენლები უკვე 10 წელია, საქართველოში არსებულ რეიტინგებში ლიდერობენ (რაც იმასაც ნიშნავს, რომ 10 წელია, არაფერი განვითარებულა და ახალი ნიჭიერი სახე არ დაბადებულა) და შოუბიზნესის ვარსკვლავობის გამომხატველ ტესტს - სპორტის სასახლეს ავსებენ. ამით პრეზიდენტმა მიანიშნა, რომ ის ჯერ მასკულტურის აქტიური მომხმარებლის პრეზიდენტია და ეს, მიუხედავად იმისა, რომ პროფესორ-აკადემიკოსთა ოჯახში გაიზარდა, სადაც არც 10 და არც მეტი წლის წინ არ ეტრფოდნენ მსგავს მუსიკას. მაგრამ, აგრეთვე ის არის პრეზიდენტი ადამიანებისა, ვისაც რევოლუციის დასრულებისთანავე გაუარა გამარჯვების სიხარულმა და მაშინვე გაუჩნდათ შენიშვნები ახალი ხელისუფლების არადემოკრატიული მიდრეკილებებისადმი. კარგია, თუ ბედი გაგვიღიმებს, არადემოკრატიული ფაქტები ფაქტებად დარჩება და ტენდენციად არ ჩამოყალიბდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენი იმედისმომცემი ხელისუფლება უკვე არაფრით განსხვავებული გახდება იმ ქვეყნების ხელისუფლებისგან, სადაც საქართველოს მსგავსი დემოკრტიული გარღვევა არ მომხდარა.

იქნებ, ცოტა ცინიკურადაც ჟღერს, მაგრამ სანამ დაირღვევა ადამიანის უფლებები, სანამ არ დასუსტდება კორუფცია, პრესას და ჟურნალისტებს კიდევ რჩებათ შანსი, დაამტკიცონ თავიანთი დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა. მედიის თავმოყვარე წარმომადგენლებს ეს ინტერესი აქვთ, რადგან საზოგადოებას თავმოყვარეობას სწორედ კორუმპირებული და არადემოკრატიული ხელისუფლება ულახავს.

27 იანვარს ევროსაბჭო საქართველოს შესახებ დასკვნას ოფიციალურად გამოაქვეყნებს. იმედია, იმ დროისთვის საყოველთაო ბახუსი დასრულდება, ზამთრის კურორტების ფეშენებლურ ვილებსაც დაუმთავრდებათ სეზონი. მანამდე კი კიდევ ერთხელ და წელს საბოლოოდ - გილოცავთ ახალ წელს. რაც უნდა საყვარელი პრეზიდენტი და მთავრობა ჰყავდეს, ხალხს აქვს რეალობაზე ორიენტირების უნარი.

თემიდამ მაინც გაიმარჯვა

ვასილ გულეური
გორიდან

ადვოკატს სასამართლოს შენობაში თავისუფლად გადაადგილების საშუალებას არ აძლევდნენ.

ვასილ გულეურის ფოტო

გორის რაიონულ სასამართლოში ორჯერ გადადებული სასამართლო პროცესი დასრულდა. შპს "კომერსანტი", რომელმაც გორის რაიონის გამგეობას საკუთარი ქონება "გადასცა", იძულებით გაფორმებული სანოტარო შეთანხმების გაუქმებას ითხოვდა. შარშან, დეკემბერში გამართული სასამართლო პროცესი მოსამართლე ქართლოს სულაბერიძემ იმ მოტივით გადადო, რომ საქმეში მტკიცებულებები არ იყო. 5 იანვარს დანიშნული პროცესი კვლავ გადაიდო იმ მიზეზით, რომ მოსამართლე, თურმე, შვებულებაში იმყოფებოდა. მესამედ დანიშნულ პროცესს გადადების საფრთხე კვლავ შეექმნა – მოპასუხე მხარის ინტერესებს ამჟამად სხვა ადვოკატი იცავდა, რომელიც, როგორც თავად განაცხადა, საქმეს არ იცნობდა და არც რწმუნება გააჩნდა, ამიტომ პროცესის გადადებას ითხოვდა.

ინციდენტი სხდომის დაწყებამდეც მოხდა - თითქმის ორი საათი გავიდა დანიშნული დროიდან და სხდომა არ დაიწყო, ადვოკატმა გოგიტა გაბოიძემ მოსამართლის ნახვა მოინდომა, მაგრამ დაცვამ იგი მეორე სართულზე არ აუშვა (თუმცა, სასამართლოს შენობაში გადაადგილება არ იკრძალება). ამას სიტყვიერი შელაპარაკება მოჰყვა და ადვოკატის შეჩერებასაც შეეცადნენ, მაგრამ მან მაინც მოახერხა მოსამართლესთან ასვლა. პროცესის დაწყებისთანავე მოსარჩელე მხარის ადვოკატმა მოსამართლის აცილება მოითხოვა. **"5 იანვარს სხდომა სრულიად უსაფუძვლოდ გადაიდო. გორის რაიონის გამგეობის წარმომადგენელი არც მაშინ გამოცხადებულა. დღესაც ცდილობთ გადადოთ სხდომა და პროცესი გააჭიანუროთ. თქვენ საქმეს ეკიდებით გულგრილად და, საერთოდ, ვფიქრობ, ეს მანტია არ უნდა გესხათ. მოვითხოვ, აიცილოთ საქმე!"** – განუცხადა გაბოიძემ მოსამართლეს. ქართლოს სულაბერიძემ საქმის აცილებაზე მოსარჩელე მხარეს უარი უთხრა.

პროცესზე კვლავ არ იმყოფებოდა მესამე მხარედ წარმოდგენილი ნოტარიუსი მალხაზ მახარაშვილი, რომელმაც გააფორმა ზემოთ აღნიშნული სანოტარო შეთანხმება. როგორც მან "24 საათს" ადრე განუცხადა, მის მიერ შედგენილი სანოტარო აქტი თავიდანვე ბათილი იყო (!) იმის გამო, რომ დარღვეული იყო კანონი და შეთანხმებას ხელს არ აწერდა შპს "კომერსანტის" ყველა დამფუძნებელი.

პროცესზე მოსარჩელე მხარის ადვოკატმა ეს ფაქტი კიდევ ერთხელ შეახსენა მოსამართლეს და აღნიშნა, რომ მეწარმეთა შესახებ კანონისა და სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ეს ხელშეკრულება დადებისთანავე ბათილი იყო. **"ან ვინ მისცა გორის რაიონის გამგეობას ქონების მართვის და განკარგვის უფლება? გარდა ამისა, გამოვიდა ფინანსური ამნისტია და ნურავის ექნება იმედი, რომ ბლუაშვილი ("შპს-ს დირექტორი) ციხეში იხილოს!"**

პროცესი დიდხანს არ გაგრძელებულა და მოსამართლე გადაწყვეტილების გამოსატანად გავიდა.

ძნელი სათქმელია, იყო თუ არა მოსამართლეზე ზეწოლა ხელისუფლებისგან, მაგრამ მოსამართლე ქართლოს სულაბერიძემ დააკმაყოფილა სარჩელი და დადებული სანოტარო შეთანხმება ბათილად გამოაცხადა.

წელს საქართველოს მთავრობა თავად გამოიკვებავს თავს

ვერიკო თევზაძე

"შეუძლებელია, მთავრობა ვიღაცამ გამოკვებოს მუდმივად," - აცხადებს საქართველოს პრეზიდენტთან არსებული განვითარებისა და რეფორმების ფონდის ხელმძღვანელი კოტე კუბლაშვილი და პრესას ამცნობს, რომ **"2005 წლის იანვრიდან საქართველოს მთავრობა ხელფასს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიიღებს."**

2004 წლის 14 იანვარს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი " საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განვითარების და რეფორმების ფონდის" შექმნის შესახებ. ფონდის მიზანია, მთავრობას დაეხმაროს საჯარო მოსამსახურეებისთვის ადეკვატური ანაზღაურების უზრუნველყოფაში. ფონდის საქმიანობა საბოლოოდ კორუფციის დაძლევას გულისხმობს. **"სრულიად გაპარტახებულ სახელმწიფოში შეუძლებელი იყო, ახალ ხელისუფლებას ეთქვა: ჩვენი სახელმწიფო მოხელეები პატიოსნად იმუშავებენ 200-ლარიან ხელფასზე,"** - აღნიშნავს კოტე კუბლაშვილი.

2004 წელს განვითარების და რეფორმების ფონდი საჯარო მოხელეთა სახელფასო დანამატს მთლიანად უცხოელი დონორების ხარჯზე გასცემდა. 2005 წელს დონორთა შემოწირულობებით დაიფარება სახელფასო დანამატის მხოლოდ 65 პროცენტი, დარჩენილ 35 პროცენტს სახელმწიფო ბიუჯეტი გაიღებს.

როგორც კოტე კუბლაშვილმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე განაცხადა, წინასწარი ვარაუდით, 2006 წლისათვის უცხოელების დახმარება უკვე აღარ დაგვჭირდება და ქვეყნის ბიუჯეტი საჯარო მოხელეთა ხელფასებით უზრუნველყოფას შეძლებს.

შარშან განვითარების და რეფორმების ფონდი საჯარო მოხელეთა ადეკვატური ანაზღაურებისთვის ყოველთვიურად იხდიდა, საშუალოდ, მილიონ 400 ათას დოლარს. საბოლოო ჯამში (ათი თვის განმავლობაში), 2004 წელს მან 14 მილიონი დოლარი გასცა. პრეზიდენტის, პარლამენტის თავმჯდომარის, პრემიერ-მინისტრის, საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეების სახელფასო დანამატი 1500 დოლარს შეადგენდა, მინისტრების - 1200 დოლარს, მინისტრის მოადგილეების – 700-ს.

2005 წლის იანვრიდან საქართველოს პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე, პრემიერ-მინისტრი, სახელმწიფო მინისტრები, მინისტრები და მათი მოადგილეები სახელფასო დანამატს არ მიიღებენ. მათი სახელფასო დანამატები, ოფიციალური ხელფასის სახით, მთლიანად სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაიცემა. კოტე კუბლაშვილის ინფორმაციით, ქვეყნის უმღლესი თანამდებობის პირების გამოთავისუფლებული დანამატების თანხები სახელმწიფო უწყებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას მოხმარდება.

წელს განვითარების და რეფორმების ფონდი ყოველთვიურად 970-980 ათას დოლარს გასცემს, რაც წლიურად 11 მილიონ დოლარზე მეტი იქნება. ფონდი ასევე ახორციელებს სასწავლო და სამეცნიერო გრანტების პროგრამას. იგი ითვალისწინებს ახალგაზრდა იურისტებისთვის სამაგისტრო პროგრამების სწავლებას და სამეცნიერო მუშაობას აშშ-ს და ევროკავშირის ქვეყნების უნივერსიტეტებში.

განვითარების და რეფორმების ფონდის ხელმძღვანელი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჩვენს საზოგადოებაში არსებობს მცდარი შეხედულება, თითქოს საქართველოს მთავრობას მთლიანად სოროსის ფონდი აფინანსებს. **"იმ თოთხმეტი მილიონი დოლარიდან, რომელიც შარშან გაიცა სახელფასო დანამატების სახით, ჯორჯ სოროსმა მილიონი დოლარი გაიღო,"** - თვალსაჩინოებისთვის ასეთი სტატისტიკა მოჰყავს კუბლაშვილს და იქვე დასძენს, რომ სოროსი, უბრალოდ, პირველთაგანი იყო, ვინც საქართველოს მთავრობას დახმარება აღუთქვა.

საგარეჯოს მთავარი ექიმი კორუფციაში ამხილეს

ზვიად რუაძე
კახეთიდან

კახეთის ჯანდაცვაში რეფორმა კორუფციასთან ბრძოლით იწყება. აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად პირველი ნაბიჯი საზოგადოებრივი ჯანდაცვის რეგიონალურმა ცენტრმა ჯერ კიდევ ახალი ხელისუფლების მოსვლის პირველ დღეებში გადადგა. მოვლენები კი ყველაზე ხმაურიანად რამდენიმე დღის წინ განვითარდა. სიუჟეტის გმირი, საგარეჯოს რაიონის ბავშვთა სტაციონარული საავადმყოფოს მთავრი ექიმი ცისანა გიორგაძე ხდება. იგი ფინანსურ მაქინაციებში მისმა თანამშრომლებმა ამხილეს. კერძოდ, გიორგაძემ წლობით გაყინული ხელფასებიდან თანამშრომლებს თანხის თხუთმეტი პროცენტი დაუკავა. ამ ფაქტს, ჯანდაცვის ცენტრის კახეთის რეგიონული სამსახურის ხელმძღვანელი გაგა ღამბაშიძე იმით განმარტავს, რომ ამ დაწესებულებაში კვლავ დიქტატორული მმართველობაა შემორჩენილი. **"ძველი ხელისუფლების დროს მიდიოდა ზემდგომ ორგანოებში, ქრთამის სახით, გარკვეული თანხა, ან კახური ნობათები ჩაჰქონდათ. ქალბატონი ცისანაც სწორედ ამ მენტალიტეტის ადამიანი იყო. როგორც ჩემთვის არის ცნობილი, გიორგაძე ხელფასიდან დაკავებებს იმით ხსნიდა, რომ აღნიშნული თანხა სამინისტროში უნდა ჩაეტანა,"** - ამბობს ღამბაშიძე.

აღსანიშნავია, რომ ბრალდებების წაყენება მთავარი ექიმის მიმართ, მედპერსონალისთვის სარისკო აღმოჩნდა, რადგან მთავრი ექიმის საბოლოოდ გაწირვა არავის სურდა, ხელწერილების ჩამორთმევა კი მას შემდეგ მოხერხდა, როცა კახეთის გუბერნატორის მოადგილის კახა აზიკურის მკაცრი განცახდება გაკეთდა. ბოლოს კი ექიმები იმაზეც ალაპარაკდნენ, რომ მათი უფროსი, უფასო სამედიცინო პროგრამებს ხშირად არასწორად ახორციელებდა. მორიგე ექიმის ნინო ტაბიძის თქმით, მედიკამენტები, რომლებიც ერთიდან-სამ წლამდე ბავშვებისთვის უფასოდ იყო განკუთვნილი, ადრესატამდე არ მიდიოდა.

"ყოფილა შემთხვევა, როცა ექიმებს საკუთარი ჯიბიდან ამოგვიღია ფული და ისე გვიყიდია გაჭირვებული ავადმყოფებისთვის წამალი. რაც შეეხება უფასო პროგრამებს, ამის შესახებ ჩვენ ხშირად ინფორმირებულებიც კი არ ვიყავით. ამბობენ იმასაც, რომ, ხშირად, მთავარი ექიმი შეკრული იყო ზოგიერთი აფთიაქის უფროსთან და სტაციონარისთვის განკუთვნილ მედიკამენტებს ყიდდა. რაც შეეხება თხუთმეტპროცენტიან დაკავებას, მე პროტესტის ნიშნად ხელფასი არ ამიღია," - ამბობს ექიმი ნინო ტაბატაძე.

ვითარებაში გასარკვევად მისულ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელს მთავარი ექიმი ადგილზე არ დახვდა. როგორც მისმა თანამშრომლებმა განაცხადეს, ცისანა გიორგაძე შეუძლოდ იყო და სახლში წავიდა. მობილური ტელეფონი კი, უკვე მესამე დღეა, მთავარ ექიმს გამორთული აქვს.

გაგა ღამბაშიძე კი მედპერსონალის "ჩვენებებით" არ კმაყოფილდება და უახლოს დღეებში მთავარი ექიმის "დაკითხვას" თავად გეგმავს. შემდეგ იგი უკვე ფინანსურ პოლიციას მიმართავს. ამჯერად კი ცისანა გიორგაძესთან გასაუბრება მხოლოდ რაიონის გამგებელმა გარი ბუხნიკაშვილმა მოახერხა. მისი თქმით, გიორგაძემ უკვე აღიარა ჩადენილი დანაშაული და ფულის უკან დაბრუნებას დაჰპირდა.

ჯანდაცვის რეგიონული ცენტრის ხელმძღვანელის თქმით, თითქმის ანალოგიური ვითრებაა კახეთის სხვა რაიონებშიც.

ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში სიღარიბის დაძლევის საცდელი სქემის პროექტი

EuropeAid/120850/C/G/GE

ევროკომისიის წარმომადგენლობა საქართველოსა და სომხეთში (Delegation-Georgia@cec.eu.int) ითხოვს წინადადებებს ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონების სოფლებში სიღარიბის დაძლევის საცდელი სქემის პროექტის განსახორციელებლად. პროექტი ფინანსირდება ევროგაერთიანების "ტასისის" პროგრამით. ბიუჯეტი შეადგენს 3 000 000 ევროს.

სრული "ინსტრუქციები წინადადებების წარმომდგენთათვის" განთავსებულია ოფიციალურ ჟურნალში და ინტერნეტში შემდეგ მისამართზე:

http://europa.eu.int/comm/europeaid/cgi/frame12.pl

წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2005 წლის 31 მარტი, 1600 საათი ადგილობრივი დროით.

მოკლედ

ინტერვიუ "კუკუშკაში"

პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია, ბორჯომის მაჟორიტარი დეპუტატი ნოდარ გრიგალაშვილი და კულტურის და სპორტის მინისტრი გოკა გაბაშვილი გუშინ ბაკურიანში ჩავიდნენ. სტუმრებმა მოინახულეს სასტუმრო "თრიალეთი", სადაც საერთაშორისო ფესტივალი "ბაკურიანი-2005" და ყინულის ქანდაკებების გამოფენა-კონკურსი მიმდინარეობს. "სულ მალე ბაკურიანი კულტურული ტურიზმის ცენტრი გახდება," - აღნიშნა პრეზიდენტმა. "კუკუშკით" მგზავრობისას საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანიაც დაემგზავრა. მიხეილ სააკაშვილმა, რომელიც ბაკურიანში, სავარაუდოდ, რამდენიმე დღე დარჩება, "კუკუშკაშივე" ჟურნალისტებთან აფხაზეთში ჩატარებულ ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა. პრეზიდენტის თქმით, იგი არ აპირებს არჩევნებში გამარჯვებულ სერგეი ბაგაფშს გამარჯვება მიულოცოს, რადგან არჩევნები არალეგიტიმურია და მასში არ მონაწილეობდნენ აფხაზეთში მცხოვრები ის მოქალაქეები, რომლებიც ამჟამად დევნილები არიან. "მოსახლეობა იქიდან გამოყრილია. ჩემს მეგობარ გია ყარამანიშვილს მრავალი თაობის მიერ გაგრაში, სოხუმში, ბიჭვინთასა და ოჩამჩირეში ოთხი სახლი ჰქონდა. როცა მას დაუბრუნებენ ოთხ სახლს და არჩევნებში მონაწილეობას მიაღებინებენ, ასეთი არჩევნები ლეგიტიმურად ჩაითვლება," - აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

მედია-ნიუსი, ინტერ-პრესი

ორი სიტყვით

თბილისი. 17-21 იანვარს სტრასბურგში გაიმართება ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შეფასების რჩეულ ექსპერტთა კომიტეტის (MONEYVAL) მე-16 პლენარული სხდომა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს საქართველოს დელეგაცია. პლენარულ სხდომაზე, სხვა საკითხებთან ერთად, განხილული იქნება ევროპის საბჭოს ექსპერტთა მიერ მომზადებული ანგარიში საქართველოში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის კუთხით განხორციელებულ ღონისძიებათა შესახებ (2003 წლის მაისის მდგომარეობით). გარდა ამისა, სხდომაზე გამოვა საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი ნიკოლოზ გეგუჩაძე, რომელიც გააკეთებს მოხსენებას საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ ერთობლივად მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის პროექტის შესახებ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ეკონომიკის ექსპერტი გია მაისაშვილი ლონდონიდან საქართველოში თვის ბოლოს ჩამოვა და საზოგადოებრივი მოძრაობის "მომავლის მთავრობის" სტრუქტურის ჩამოყალიბებას დაიწყებს. მოძრაობაში გაწევრიანება ნებისმიერ მოქალაქეს შეეძლება, პოლიტიკური და პარტიული ნიშნის მიუხედავად. მოძრაობა ქართული საზოგადოებრიობისთვის ახალი იდეის გარშემო გაერთიანების შეთავაზებას აპირებს, თუმცა ამ იდეას მოძრაობის მესვეურები ჯერჯერობით არ ახმაურებენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. "კონსერვატორული პარტიის" წარმომადგენელი კახა კუკავა დარწმუნებულია, რომ ევროსაბჭოს ვენეციის კომისია საქართველოს პრეზიდენტის მიერ პარლამენტისთვის შეთავაზებულ საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით უარყოფით დასკვნას გააკეთებს. კუკავას აზრით, პრეზიდენტის საკანონმდებლო ინიციატივა ზღუდავს სასამართლო ხელისუფლებას, რაც ვენეციის კომისიის მიერ უარყოფითი დასკვნის მომზადებისთვის საკმარისი საფუძველია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. 18 თებერვალს საქართველოში რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვის ვიზიტი იგეგმება. ამის შესახებ ჟურნალისტებს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში მისულმა რუსეთის ელჩმა ვლადიმერ ჩხიკვიშვილმა განუცხადა. აღნიშნულ ინფორმაციას ადასტურებს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მერაბ ანთაძე. მისი თქმით, ლავროვის ვიზიტის დროს რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი იქნება განხილული. მათ შორის, საქართველოში არსებული რუსული ბაზების მომავალი და რუსეთ-საქართველოს შორის ჩარჩოხელშეკრულების გაფორმების პერსპექტივები. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საპარლამენტო ფრაქცია "მემარჯვენე ოპოზიცია-მრეწველები, ახლები" ქვეყანაში მიმდინარე პრივატიზების პროცესზე მუდმივ მონიტორინგს განახორციელებს. "რომ არა სწორედ ჩვენი და მასმედიის მიერ ატეხილი აჟიოტაჟი, ხელისუფლება "საოკეანო-სანაოსნოს" პრივატიზებასთან დაკავშირებით კომპანიების განაცხადების მიღების ვადას 27 დეკემბრიდან 11 იანვრამდე არ გაახანგრძლივებდა," - აცხადებს ფრაქციის ლიდერი დავით გამყრელიძე **მედიანიუსი.**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომიტეტის წევრები სასწავლო ვიზიტით ამერიკაში გაემგზავრნენ. კომიტეტის თავმჯდომარე ლევან ბეჟაშვილი, თავმჯდომარის მოადგილე ნინო კალანდაძე და კომიტეტის წევრი ნიკა გვარამია ამერიკის შეერთებულ შტატებს იუსტიციის დეპარტამენტის მიწვევით ესტუმრნენ. იურიდიული კომიტეტის წევრები ამერიკაში მომრიგებელი მოსამართლის ინსტიტუტის ჩამოყალიბების დეტალებს შეისწავლიან. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაციის "შერიგების რესურსების" მიწვევით 15-23 იანვარს სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების საკითხებში გიორგი ხაინდრავა დიდ ბრიტანეთსა და ჩრდილოეთ ირლანდიას ეწვევა. ვიზიტის ფარგლებში სახელმწიფო მინისტრი გაეცნობა ჩრდილოეთ ირლანდიაში სამშვიდობო პროცესის წარმოების გამოცდილებას, რომლის გამოყენებას ქართული მხარე საქართველოში არსებული კონფლიქტების მოსაგვარებლად შეეცდება. **ინტერ-პრესი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

ფოტო-რეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

რადიო მწვანე ტალღა თავისუფალი აზრის რადიო FM 107.4

„სტუმარი საქართველოდან“ – კატმანდუ

„რადიო დილა“
ყოველ დღე კვირის გარდა 10-დან 12 საათამდე

წამყვანები - გიგა გოგრიჭიძე, ანა კორძაია-სამადაშვილი

სტუმარი - ოთარ ყირალაშვილი, ჟურნალისტი

ოთარ ყირალაშვილი: ეს არის ქვეყანა,რომელიც მსოფლიოში ძალიან ინტეგრირებულია, მიგრაციის თვალსაზრისით და თვითმყოფადობა არ დაკარგულა. მიუხედავად გრძელვადიანობისა,კაცისმოდგ ინარეობა ინარეობა ინარეობა

ხაჯიმბას ნათესავებიც კი არ უჭერდნენ მხარს

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

არჩევნებამდე ორი დღით ადრე, 10 და 11 იანვარს ბაგაფშის, ხაჯიმბას და სხვა მათი თანაგუნდელების ძირითად საქმიანობად ხვეწნა-მუდარა გადაიქცა, რომ ამომრჩეველი როგორმე საარჩევნო ურნამდე მიეყვანათ. ამ საქმეში მათ დიდი დახმარება საერთაშორისო დამკვირვებელთა სტატუსით რუსეთიდან ჩამოსულმა დუმის დეპუტაციამ გაუწია. ამ ჯგუფს, როგორც უკვე იცით, დუმის ვიცე-სპიკერი სერგეი ბაბურინი მეთაურობდა.

11 იანვარს, სოხუმში, ამომრჩეველთან ბოლო შეხვედრისას, სერგეი ბაგაფშმა განაცხადა: "ცხადია, ჩვენ გვაქვს უფლება, არ მივიდეთ არჩევნებზე, მაგრამ ჩვენ გვაქვს მოვალეობები ჩვენი შვილების წინაშე. იმისათვის, რომ ჩვენი შვილების მომავალი უზრუნველყოთ, ჩვენ ვალდებული ვართ ავირჩიოთ."

სინამდვილეში, ძალიან ძნელი იყო პროგნოზირება, მივიდოდა თუ არა აფხაზეთის მოსახლეობა არჩევნებზე. შემოდგომის არჩევნების დროს ამომრჩეველთა აქტივობამ 67 პროცენტი შეადგინა, მაგრამ მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა - ხალხი გადაიღალა ბოლოდროინდელი პოლიტიკური ბატალიებით და იყო საფუძვლიანი შიში იმისა, რომ ამომრჩეველთა გამოუცხადებლობის გამო არჩევნები ჩაიშლებოდა. მაგრამ ხალხი მაინც მივიდა. უბრალო ადამიანები არჩევნებში მონაწილეობის აუცილებლობას ასე ხსნიან: "დროა, დავანებოთ თავი პოლიტიკას და საქმის კეთება დავიწყოთ," "ჩვენ დიდი ძალისხმევა დაგვჭირდა შეთანხმების მისაღწევად, ახლა ეს შედეგი უნდა გავამყაროთ."

მართლაც, გზა საარჩევნო უბნებისკენ არ იყო იოლად დასაძლევი. არჩევნების მოწინააღმდეგეებმა, რომლებსაც ამ არჩევნების ჩაშლა იმთავითვე გადაწყვეტილი ჰქონდათ, ფსონი სწორედ ხალხის გამოუცხადებლობაზე გააკეთეს. სხვადასხვა ადგილებში გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც მოუწოდებდნენ ხალხს, არ გაეკეთებინათ არჩევანი. ზოგჯერ ეს ადამიანები მხოლოდ მოწოდებებით შემოიფარგლებოდნენ, ისე, როგორც ამას მოძრაობა "ახაცას" წევრები აკეთებდნენ; ზოგჯერ კი საქმე მუქარამდეც მიდიოდა.

12 იანვარს, არჩევნების დღეს შეიარაღებული ხალხი გალის რაიონის სოფლებში გამოჩნდა. ისინი ხალხს ემუქრებოდნენ და მათგან სახლში დარჩენასა და არჩევნებზე წაუსვლელობას ითხოვდნენ.

ცხადია, არჩევნების ჩაშლა ჩვენს დღევანდელ ხელისუფლებას ჰაერივით სჭირდება. ასეა თუ ისე, ბაგაფშისა და ხაჯიმბას გამარჯვება (სხვათა შორის, ამ უკანასკნელს თითქმის ყველა ძველი მხარდამჭერი განუდგა) არძინბას მიერ აშენებულ სახელისუფლებო სისტემას წერტილს დაუსვამს. ამ სიტუაციაში არძინბასთვის ერთადერთი გამოსავალი დროის მოგება და ახალი მემკვიდრის შერჩევაა. აღნიშნული სცენარის გათამაშება მხოლოდ არჩევნების ჩაშლითაა შესაძლებელი, ამისათვის კი საუკეთესო ხერხია, საარჩევნო უბნებზე ამომრჩეველი არ მივიდეს. არჩევნების პროცესებში აღმოჩენილი დარღვევებით მანიპულირება და სასამართლოებში ჩივილი ნაკლებად პერსპექტიულია.

დაკარგეს რა კრემლის მხარდაჭერა და რეალური კონტროლი აფხაზეთის ტერიტორიაზე, არძინბა და პრემიერი ხაშბა პოლიტიკური ბრძოლის ნახევრადკრიმინალურ მეთოდებზე გადავიდნენ. გარდა მოსახლეობის დაშინებისა, ხაჯიმბას ყოფილმა მომხრეებმა, რომლებიც ადრე ბაგაფშის პროდასავლურ და პროქართულ ორიენტაციაზე საუბრობდნენ, 12 იანვრის არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე ანტირუსული "ლისტოვკების" გავრცელება დაიწყეს, სადაც მოსკოვის დანაშაულებრივ პოლიტიკას ამხელდნენ.

საარჩევნო უბნების გასხნამდე რამდენიმე საათით ადრე, პრემიერ-მინისტრმა ხაშბამ არჩევნების ჩაშლის მცდელობაში საკუთარი წვლილიც შეიტანა. საქმე ეხება ე.წ. ფორმა №9-ს, რომელიც უპასპორტოდ დარჩენილ აფხაზეთის მოსახლეობის ნაწილს არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად ჯერ კიდევ 3 ოქტომბრის არჩევნების დროს დაურიგდათ. ამ საბუთის მოქმედების ვადა ორთვიანი გახლდათ, მაგრამ 3 ოქტომბრის არჩევნების ჩაშლის გამო, ამ დოკუმენტის მოქმედების ვადა 15 იანვრამდე გაგრძელდა, რათა ხალხს არჩევნებში მონაწილეობის საშუალება ჰქონოდა. არჩევნების წინა ღამეს ნოდარ ხაშბამ შინაგან საქმეთა მინისტრს ბესლან ბეიას დაურეკა და აუწყა, რომ ფორმა №-9-ით მოქალაქისთვის არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ უნდა მიეცათ. დილით ამ გადაწყვეტილებამ დიდი აურზაური გამოიწვია - ათასობით ადამიანს არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია. აღნიშნული პრობლემა მხოლოდ რუსეთის დუმის ვიცე-სპიკერის სერგეი ბაბურინის ჩარევით გადაწყდა, რომელიც არჩევნების დღეს ჯადოსნური ჯოხის ფუნქციას ასრულებდა. ფორმა №9-ის მქონე პირები საარჩევნო უბნებზე მხოლოდ დღის პირველი საათისთვის შეუშვეს.

არჩევნების ჩაშლის გარკვეული "ცივილიზებული" მეთოდები პრეზიდენტმაც გამოიყენა. ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში პრეზიდენტის კვოტით მოხვდნენ ადამიანები, რომლებიც იმთავითვე აცხადებდნენ, რომ არჩევნების ჩასაშლელად ძალ-ღონეს არ დაიშურებდნენ.

ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲒᲐᲚᲨᲘ...

რადიკალური მეთოდების საცდელ პოლიგონად გალის რაიონი იქცა. ეს მეთოდები შემდეგში გამოიხატა: გალის რაიონის სოფლებში კენჭისყრის პროცესს, საუბნო კომისიის ხელმძღვანელების ნაცვლად, მხოლოდ კანდიდატ ლაკობას მხარდამჭერი დამკვირვებლები აკონტროლებდნენ. და რაც ყველაზე საინტერესოა, ყველა ეს ადამიანი ოქტომბრის არჩევნების დროს ხაჯიმბას პოზიციებს იცავდა. თავის მხრივ, იაკუბ ლაკობას, 3 ოქტომბრის არჩევნების დღეს, არც ერთი საკუთარი დამკვირვებელი არ ჰყავდა არა მარტო გალის რაიონში, არამედ მთელ აფხაზეთში. ანუ გალის რაიონში ურნებთან მისულ ამომრჩეველთა რიცხვის შემცირება დაევალა მათ, ვინც ამ საქმეში კარგად ერკვევა. ეს დამკვირვებლები (სხვათა შორის, ყველა მათგანი სოხუმელი გახლდათ) თვალშისაცემი აგრესიულობით გამოირჩეოდნენ. ლაკობას დამკვირვებლებმა გააძევეს უბნებიდან საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები, ამოწმებდნენ დოკუმენტებს, რისი უფლებაც მათ არ ჰქონდათ, იდგნენ უშუალოდ საარჩევნო ურნების გვერდით. ბაგაფშის მომხრე დამკვირვებლებმა, რომლებიც, ძირითადად, გალის რაიონის მკვიდრნი იყვნენ, აგრესიულად განწყობილი სოხუმელი დამკვირვებლებისთვის წინააღმდეგობის გაწევა ვერ შეძლეს.

ეს პრობლემის მხოლოდ ნახევარია. ბევრი ამომრჩეველი, საარჩევნო უბნებთან შექმნილი დაბრკოლებების გამო, საერთოდ ვერ მოხვდა საარჩევნო უბანზე. სახელმწიფო ხელისუფლების დაცვის სამსახურის წევრები სოფელ თაგილონის, ნაბაკევის მოსახლეობას ფიზიკური ლიკვიდაციით დაემუქრნენ იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელები არჩევანს გააკეთებდნენ. გარდა ამისა, გაჩნდა ჯერ კიდევ დაუდასტურებელი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სასტიკად არის ნაცემი სოფელ ფიჩორის გამგებელი, რომელმაც ანტისაარჩევნო აგიტაციის ჩატარებაზე უარი თქვა.

გალის რაიონში სიტუაცია ისევ და ისევ ბაბურინის გამოჩენამ შეცვალა. რუსი დეპუტატების დანახვისთანავე სამხედროთა დიდი ნაწილი გაიქცა, თუმცა რამდენიმე ადამიანის დაკავება მაინც მოხერხდა. პირადობის დამადასტურებელი საბუთების შემოწმებისას გაირკვა, რომ დაკავებულთა უმრავლესობა სამხედრო სამსახურში ნოემბრის დასაწყისისთვის მოხვდა, ზუსტად მაშინ, როცა აფხაზეთში პოლიტიკური კრიზისი მძვინვარებდა. დაკავებულთაგან ბევრს კრინიმალური წარსული აღმოაჩნდა. კერძოდ კი, დაკავებულთა შორის იყო ჯუმბერ ცეცხლაძე, რომელმაც 1997 წელს გულრიფშის მკვიდრზე ვერაგული თავდასხმა განახორციელა.

გალის რაიონში მომხდარი ინციდენტი რუსეთის დელეგაციისა და პრემიერ ხაშბას შეხვედრის მიზეზი გახდა. ხაშბამ პირობა დადო, რომ ყველა საჭირო ზომას მიიღებდა და ამავე დროს აღნიშნა, რომ დაცვის სამსახურის წევრები პრეზიდენტ არძინბას დავალებას ასრულებდნენ და გალის რაიონში სიმშვიდის უზრუნველსაყოფად იყვნენ მიღლინებული.

უნდა ითქვას, რომ როგორც კი სამხედროები "გააქრეს", გალში ყველა საარჩევნო უბანთან ამომრჩეველთა რიგები დადგა. გალელების ფავორიტი კვლავინდებურად ბაგაფშია. არავინ მალავს იმას, რომ ბაგაფშს მხარს მისი მეუღლის ქართული წარმომავლობის გამო უჭერენ. გალელები ამ ფაქტს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარებისთვის მნიშვნელოვან ფაქტორად მიიჩნევენ.

ᲘᲐᲨᲐᲡ ᲤᲐᲥᲢᲝᲠᲘ

იაკუბ შახნოვიჩი, ხალხისთვის ცნობილი, როგორც ლაკობა, შემოდგომის არჩევნებშიც იყრიდა კენჭს. 3 ოქტომბრის არჩევნებზე მან უკანასკნელი, მეხუთე ადგილი დაიკავა. შემოდგომაზე ლაკობამ მხოლოდ 511 ხმა დააგროვა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ მის სახალხო პარტიაში 800 წევრი ირიცხება. ამ არჩევნებში მონაწილეობა, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, იმიტომ გადაწყვიტა, რომ არჩევნები "პოლიტიკურ შოუს" არ დამსგავსებოდა. თუმცა, თავის გამოჩენის მოყვარულ ლაკობას, ბევრნი თავისთავად "პოლიტიკურ შოუდ" მიიჩნევენ. მაგრამ, ამ არჩევნებზე ყველაფერი გაცილებით უფრო სერიოზულად იყო. ლაკობას როლი, ცხადია, არჩევნებში გამარჯვება არ იყო. მისგან სულ სხვა რამეს ელოდნენ: ლაკობას დროშის ქვეშ ხაჯიმბასგან განდგომილ და რადიკალურად განწყობილ მომხრეთა გუნდი უნდა შეკრებილიყო. ეს ეხებოდა დამკვირვებლებსაც, რომელთა მიზანია არჩევნების პროცესში დარღვევების აღმოჩენა. ასევე ლაკობას დროშის ქვეშ უნდა მოხვედრილიყო საინფორმაციო რესურსიც – რამდენიმე უმნიშვნელო გაზეთი და ტელესტუდიები. მასვე მიემხრობოდნენ აგიტატორები, ხშირად - შეიარაღებულები, რომელთაც უნდა დაერწმუნებინათ მოსახლეობა, არჩევნებში მონაწილეობა არ მიეღო. თავად ლაკობამ, სხვათა შორის, მშვენივრად იცოდა საკუთარი როლი ამ არჩევნებზე და ამიტომაც, ანტისაარჩევნო აგიტაციას ღიად ეწეოდა. ლაკობას არგუმენტები იყო: პარლამენტის მიერ არჩევნების მოსამზადებლად არასათანადოდ გაწეული მუშაობა, კანდიდატთა არათანაბარი უფლებები და, საერთოდ - არ ღირს ფულის გადაყრა არჩევნებში.

საბოლოო ჯამში, არჩევნების ბოიკოტირება მხოლოდ ხაჯიმბას ძველმა მომხრეებმა გადაწყვიტეს, მათ შორის - ხაჯიმბას ნათესაობამაც.

ᲨᲔᲓᲔᲒᲘ

არჩევნები შედგა. საკუთარი ნება ამომრჩეველთა 58-მა პროცენტმა გამოხატა. 13 იანვარს, სოხუმის დროით დილის 10 საათზე, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გამართა პრესკონფერენცია, სადაც ბაგაფშის გამარჯვება გამოცხადდა. ბაგაფშმა თითქმის საკაკაშვილის შედეგით გაიმარჯვა – ხმათა 90,1 პროცენტი. შემოდგომის შედეგებთან შედარებით, იაკუბ ვასილიევიჩმა მაჩვენებელი გაუუმჯობესა და თითქმის სამნახევარი ათასი ხმა მოიპოვა, რაც დაახლოებით 4 პროცენტს შეადგენს. ცესკო-ს განცხადებით, გალის რაიონში აღმოჩენილი დარღვევები არჩევნების საერთო შედეგზე გავლენას ვერ მოახდენს.

13 იანვრის დილა სოხუმში უჩვეულოდ მშვიდი გათენდა. არჩევნები, მართალია, მეორე ცდაზე, მაგრამ მაინც შედგა. ყოველ შემთხვევაში, შემოდგომისგან განსხვავებით, როდესაც არჩევნების მეორე დილასვე სოხუმი საპროტესტო აქციების ტალღამ მოიცვა, დღეს პრეტენზიები არავის აქვს. წამყვანი პოლიტიკოსებიც საკმაოდ ფრთხილ კომენტარებს აკეთებენ. ალექსანდრე ანქვაბმა, რომელიც, ალბათ, აფხაზეთის ახალი პრემიერი გახდება, მხოლოდ ეს თქვა: "მადლობა ღმერთს." სტანისლავ ლაკობა, რომელიც შემოდგომის არჩევნებზე ბაგაფშის გამარჯვების შემთხვევაში ვიცე-პრეზიდენტად მოიაზრებოდა, შემდეგ კი ეს ადგილი ხაჯიმბას დაუთმო, მხოლოდ ამას ამბობს: "დავიღალე, სახლში მინდა."

დაპირისპირებული "თანაგუნდელების" პირველი განცხადებები

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ისინი უხეშად ჩაერივნენ თვითგამოცხადებული აფხაზეთის ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნებში, სეპარატისტული რეჟიმის მხარდასაჭერად გააკეთეს სრულიად ერთმნიშვნელოვანი მოწოდებები აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების თაობაზე," (სტილი შენარჩუნებულია) – ასეთი განცხადება გააკეთა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ და რუსეთს საერთაშორისო სამართლის ნორმების, საქართველოს სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფაში დასდო ბრალი.

ქართული მხარე კატეგორიულად მოითხოვს რუსეთისაგან, აღკვეთოს აფხაზეთში მისი ოფიციალური წარმომადგენლების დესტრუქციული ქმედებები, მსოფლიო თანამეგობრობას კი სთხოვს, სათანადო შეფასება მისცეს **"რუსეთის მხარის მცდელობას, შელახოს საქართველოს სუვერენული უფლებები მის საშინაო საქმეებში ჩარევით."**

აღნიშნული განცხადების გავრცელების შემდეგ, საქართველოს საგარეო უწყებამ საქართველოში რუსეთის ელჩი ვლადიმერ ჩხიკვიშვილი ახსნა-განმარტებებისთვის დაიბარა.

ელჩმა, რასაკვირველია, უარყო ბრალდება და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მერაბ ანთაძესთან გამართული შეხვედრის შემდეგ განმარტა, რომ რუსი დეპუტატები აფხაზეთში არაოფიციალურად, კერძო პირის სტატუსით იმყოფებოდნენ და, ამდენად, რუსეთი ქართული მხარის პროტესტს ვერ მიიღებს.

ანალოგიური განცხადება გუშინ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ქვედა პალატის სპიკერმა ბორის გრიზლოვმაც გააკეთა.

"სახელმწიფო სათათბიროს აფხაზეთში დამკვირვებლები არ გაუგზავნია. თუმცა, ჩვენი დეპუტატები დამოუკიდებელი ადამიანები არიან და, როგორც კერძო პირებს, შეუძლიათ ნებისმიერ ქვეყანაში, მათ შორის, რუსეთის მოსაზღვრე რაიონებში ჩავიდნენ," - აღნიშნა მან.

ამასობაში კი უკვე ახალი და ხელმეორედ არჩეული პრეზიდენტი, რუს ჟურნალისტებთან ერთად, საქართველოზე და პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილზე ხუმრობს.

ერთ-ერთი რუსული სააგენტოს ჟურნალისტის შეკითხვაზე, მიიღო თუ არა მან სააკაშვილისგან მილოცვა, სერგეი ბაგაფში პასუხობს: **"გავიგე, თურმე მათ არ იციან, როგორ მოიქცნენ, მომილოცონ გამარჯვება თუ არა. აქ ერთი საკითხია მნიშვნელოვანი, თუ ის მომილოცავს, როგორც აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს, მილოცვას მივიღებ, და თუ მომილოცავს, როგორც აფხაზეთის ლიდერს – ეს ჩემთვის მიუღებელია,"** - განაცხადა ბაგაფშმა.

"ხუმრობის" გარდა, სერგეი ბაგაფშმა გუშინ ისეთ საკითხებზეც ისაუბრა, როგორიცაა საერთაშორისო საზოგადოების მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება.

"აფხაზეთი უკვე შედგა როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო და საპრეზიდენტო არჩევნებმა დაადასტურა, რომ აფხაზეთი დემოკრატიულ ფასეულობებს პატივს სცემს. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ აფხაზეთის დამოუკიდებლობა საერთაშორისო თანამეგობრობამ აღიაროს," - განაცხადა ჯერ არჩეულმა, შემდეგ კი მოსკოვიდან დანიშნულმა პრეზიდენტმა სოხუმში გამართულ პრესკონფერენციაზე.

უფრო მკაცრია ადრე მოწინააღმდეგე, ახლა კი ბაგაფშის თანაგუნდელი, და თითქმის ვიცე-პრეზიდენტი რაულ ხაჯიმბა. მისი განცხადებით, ზესახელმწიფოებმა, რომლებიც დღეს თანამედროვე მსოფლიოში საერთაშორისო პოლიტიკას განსაზღვრავენ, **"აფხაზეთთან დაკავშირებით უარი უნდა თქვან ორმაგ სტანდარტებზე."**

"მაშინ, როცა ისინი სერიოზულად განიხილავენ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების საკითხს, ზესახელმწიფოებმა არ უნდა დაივიწყონ, რომ აფხაზეთი კარგა ხანია, დამოუკიდებლობისათვის იბრძვის," - აღნიშნავს რაულ ხაჯიმბა, თუმცა აღარ აკონკრეტებს, არის თუ არა "ზესახელმწიფო" - რუსეთი, ხოლო კოსოვოსა და აფხაზეთის საკითხზე მოლაპარაკე პრეზიდენტი - ვლადიმირ პუტინი.

რეცეპტი ნგრევის პირას მისული ორგანიზაციისთვის

ეუთო-მ ახალ 2005 წელში კოჭლობით, გაფხეკილი ჯიბით და ბიუჯეტის გარეშე შეაბიჯა, ხოლო მისი ერთადერთი წარმატებული წამოწყება უსაფრთხოების სფეროში – სასაზღვრო მონიტორინგი საქართველოში – ამპუტირებულ იქნა პირველ იანვარს. წლის ბოლოს სოფიაში გამართული და ჩაგდებული კონფერენციის შემდეგ ეუთო აგონიაშია. შეძლებს კი, მოიშუშოს ჭრილობები, რომელიც მას კრემლმა მიაყენა?

ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲘᲠ ᲡᲝᲙᲝᲠᲘ
„The Wall Street Journal"

საქმე ის არის, რომ ეუთო-ს კონსენსუსი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების სფეროში რუსეთის დაქვემდებარების ქვეშ ექცევა და არანაირ ეფექტს არ იძლევა. ეუთო-ს შეუძლია, ეფექტური სამსახური გასწიოს დემოკრატიის შენებაში, რაშიც რუსეთი ხელს ვერ შეუშლის. ამის ნათელი მაგალითია უკრაინაში სამართლიანად ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნები.

სინამდვილეში, ეს ერთ-ერთი მიზეზია იმისა, რომ მოსკოვი ასე უმოწყალოდ ექცევა დამჯერ ეუთო-ს. მოსკოვი აცხადებს, რომ სურს (რა თქმა უნდა, მხოლოდ ქაღალდზე), ეუთო-ს ფუნქციები სამხედრო-პოლიტიკურ სფეროში საგრძნობლად გაზარდოს, თუ, რა თქმა უნდა, ეუთო მოსკოვთან თანამშრომლობაზე დათანხმდება. ამასთან ერთად, მოსკოვი ცდილობს, ეუთო-ს როლი დემოკრატიის შენებაში ეპიზოდური გახადოს და მოსკოვის მიერ შეთავაზებული "რეფორმები" გაატაროს ბიუჯეტში.

რეალურად, კრემლს ეუთო-ს განადგურება არ სურს. კრემლის მიზანია, ეუთო დასავლურ და პოსტსაბჭოურ ქვეყნებში სამშვიდობო ოპერაციების და კონფლიქტების მოგვარების წინააღმდეგ გამოიყენოს. გარდა ამისა, მოსკოვი ცდილობს, ეუთო, როგორც უფლებათა დამცავი ორგანიზაცია, განსაკუთრებით პოსტსაბჭოურ ქვეყნებში სამართლიანი არჩევნების ჩატარების საკითხში გაანეიტრალოს.

როგორც რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის საქციელმა დაგვანახა, რუსეთი თავს უსაფრთხოდ გრძნობს დამჯერი, კორუმპირებული, ავტორიტარული რეჟიმის მქონე ქვეყნებთან (ალექსანდრ ლუკაშენკოს დიქტატურა ბელორუსში; ლეონიდ კუჩმას მემკვიდრედ ვიქტორ იანუკოვიჩის დანიშვნისა და უკრაინის კიდევ რამდენიმე წლით გაკონტროლების მცდელობა), მაგრამ დემოკრატიული მეზობლებისგან (ბალტიის ქვეყნები, საქართველო და პერსპექტივაში, უკრაინა) უსაფრთხოებას ვერ გრძნობს. მეტიც, შეიძლება ითქვას, რუსეთი ფიქრობს, რომ ეს ქვეყნები რუსეთის მიმართ მტრულად არიან განწყობილი.

მას შემდეგ, რაც ეუთო მოსკოვთან მიმართებაში ორი წლის განმავლობაში აშკარა დათმობებზე მიდიოდა, აქედან კი, მხოლოდ კრემლი სარგებლობდა, 2004 წლის დეკემბერში ეუთო-მ სოფიაში გამართულ კონფერენციაზე უპრეცედენტო კრახი განიცადა. რუსეთმა ჯერ კიდევ მანამდე გაანადგურა ძირითადი დოკუმენტები, რადგანაც ისინი არ ჯდებოდა რუსეთის "უფლებებში" - დაეტოვებინა სამხედრო ბაზები მოლდოვასა და საქართველოში და ამ რეგიონებში კონფლიქტები დაერეგულირებინა.

შეშინებული ეუთო ჯერ კიდევ იმედოვნებდა, რომ "გადაარჩენდა" კონფერენციას და ღიად აღარ აცხადებდა მთელი წლის განმავლობაში მიმდინარე ანტიდემოკრატიულ მოვლენებზე: ფალსიფიცირებულ რეფერენდუმზე და არჩევნებზე ბელორუსში, სასტიკ სამხედრო ოპერაციებზე ჩეჩნეთში, რუსეთში არჩევნებში მომხდარ მაქინაციებზე და ქვეყანაში აშკარა ავტოკრატიის დამყარებაზე. რუსეთი ვეტოს ადებდა ყველა განცხადებას, რომელსაც ეუთო-ს წარმომადგენლები აკეთებდნენ უკრაინაში დემოკრატიული არჩევნების ჩატარების და არჩევნებზე რაც შეიძლება მეტი უცხოელი დამკვირვებლის დაყენების თაობაზე. დაბოლოს, რუსეთი დაიმუქრა, რომ ორგანიზაციას გაკოტრებულად გამოაცხადებს.

მთავარ სამიზნეს საარჩევნო მონიტორინგებში ეუთო-ს ფუნქცია წარმოადგენს, რომელსაც ვარშავის დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებების ბიურო ახორციელებს. ამ ბიუროს მოღვაწეობის ძირითადი სფერო პოსტსაბჭოურ სივრცეში არჩევნების მონიტორინგია. მოსკოვს, რომელსაც დსთ-ს ქვეყნების გარკვეული ნაწილი უჭერს მხარს, სურს, რომ ეუთო-მ და ჯგუფმა რუსეთის მეთაურობით შეიმუშაონ მონიტორინგის "საერთო" წესები. სწორედ ამ წესების თანახმად, ვარშავის ბიუროს დამკვირვებელთა მისიებში გაცილებით მეტი წარმომადგენელი იქნება დსთ-ს ქვეყნებიდან. კრემლი ასევე მოითხოვს მისიები რუსეთის მიერ მოწონებული ბიუჯეტიდან დაფინანსდეს (ალბათ, იმიტომ, რომ მისიები არ იყოს ფართომასშტაბური და მათი ეფექტი მაქსიმალურად მინიმალური იყოს).

ასეთი "რეფორმები" უკვე რომ ყოფილიყო განხორციელებული, ეუთო და ვარშავის ბიურო უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნებზე თავიანთი დამკვირვებლების მრავალრიცხოვანი არმიის გაგზავნას ვერ შეძლებდნენ და მოუწევდათ ეხელმძღვანელათ დსთ-ს დამკვირვებელთა ჯგუფის მითითებებით, რაც იმით დამთავრდებოდა, რომ არც მეორე და, მით უმეტეს, მესამე ტური არ დაინიშნებოდა და უკრაინა კვლავ რუსეთის გავლენის სფეროდ დარჩებოდა.

რუსეთის მიერ ორგანიზაციისთვის შეთავაზებული ბიუჯეტის "რეფორმა" შემდეგს ითვალისწინებს: შემცირდეს დაფინანსება დასავლეთიდან, რუსეთის მხრიდან ეუთო-ს ბიუჯეტზე კონტროლი გამკაცრდეს და რუსეთის ჩარევის გარეშე საგრძნობლად შეიზღუდოს ორგანიზაციის ფუნქციონირება. განცხადებებს, რომელიც რუსმა ჩინოვნიკებმა სოფიის სამიტზე და შემდეგ გააკეთეს, იმ აზრამდე მივყავართ, რომ რუსეთს შეუძლია ეუთო-ს შენარჩუნება, მაგრამ იმის შანსიც აქვს, რომ ის "ისტორიის კუთვნილება გახადოს". ეს დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა დონეზე ითანამშრომლებს ეუთო რუსეთთან.

ამგვარი გაფრთხილებები ეუთო-ს სტრუქტურულ სისუსტეებს იყენებს და გამოუსადეგრად ქცევის შიშის გამო (რაც მის ლიკვიდირებას გამოიწვევდა), ამ ორგანიზაციას წლიდან წლამდე რუსეთთან სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების სფეროში საბედისწერო დათმობებზე წასვლას აიძულებს. ეუთო, იმის ნაცვლად, რომ ხმამაღლა განაცხადოს პრობლემებზე და იმოქმედოს, "ცუდი ბანქოთი თამაშს" ამჯობინებს, თუმცა, ავად თუ კარგად, თამაშს მაინც განაგრძობს.

სოფიაში შეხვედრაზე აშშ-ს წარმომადგენლები კატეგორიულად არ ეთანხმებოდნენ რუსეთის წინადადებებს, ეუთო-ს მოღვაწეობის ცენტრი და დემოკრატიის შენება პოსტსაბჭოურ ქვეყნებში გადაეტანა. ევროკავშირმაც იგივე პოზიცია დაიკავა და კატეგორიული უარი განაცხადა იმაზე, რომ დემოკრატიის შენებასთან დაკავშირებით ეუთო-ს ფუნქციები შეუმცირდეს. გაურკვეველი მხოლოდ ის რჩება, რამდენად შედეგიანი იქნება აშშ-ს და ევროკავშირის ასეთი პოზიცია, მაშინ, როცა ეუთო გაჭირვებით უძლებს რუსეთის დიდ ზეწოლას.

თუ ეუთო-სთვის მთავარი გადარჩენაა, მაშინ ეს ადვილადაა შესაძლებელი, რადგან რუსეთი ამ ორგანიზაციის მხოლოდ არსებობითაა დაინტერესებული - რეალური ძალის გარეშე. ასეთ შემთხვევაში ჩვენ "გაყინული კონფლიქტების" საკითხებში რუსეთის წინაშე სხვადასხვა ორგანიზაციების მხრიდან დათმობების მოწმენიც გავხდებით. ეუთო-ს შეუძლია, ესტონეთის და ლატვიის წინააღმდეგ რუსეთის ნაციონალური "კოზირი" გახდეს. ამგვარი მიდგომა, ორგანიზაციაში კრიზისს მხოლოდ და მხოლოდ გააღრმავებს.

სოფიაში განცდილმა კრახმა ეუთო-ს გადარჩენის გზა აჩვენა. არჩევნებზე დაკვირვების, მმართველობის ეფექტურობის და დემოკრატიული ინსტიტუტების შენება პოსტსაბჭოურ ქვეყნებში – ღირსეული ამოცანებია ორგანიზაციისთვის. სწორედ დემოკრატიულ სფეროში შეუძლია ეუთო-ს თავისი შედარებითი უპირატესობის გამოყენება. ამგვარად ეუთო-სთვის იმედის დაბრუნება რუსეთთან არათანამშრომლობას და მოსკოვის მიერ შეთავაზებულ ჯერ კიდევ დაუმტკიცებელ "რეფორმებზე" უარის თქმას შეუძლია.

თარგმნა
სანდრო ნავერიანმა

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank

პირველად საქართველოს საბანკო სივრცეში

თქვენ არ ხართ დარწმუნებული, ხოლის გაგიჭირდებათ დეპოზიტიდან თანხის გაყვანა, მაგრამ არ გინდათ საფეპოზიტო ხელშეკრულების ვადამდე დარღვევის შემთხვევაში დარიცხული საპროცენტო სარგებლის დაკარგვა, პროკრედიტ ბანკი გთავაზობთ ახალ საფეპოზიტო პროდუქტს - "მოქნილ" დეპოზიტს.

ხოგორია "მოქნილი" დეპოზიტის პირობები?

- **დეპოზიტის ვადა**
  მოქნილი დეპოზიტი არის ვადიანი დეპოზიტის სახეობა, ხოლოდ განსხვავებული მუსაძღვანელია 6, 9, 12, 18, 24 და 36 თვით.
- **დეპოზიტის ვალუტა**
  "მოქნილი" დეპოზიტის განთავსება თქვენ შეგიძლიათ ლარში, აშშ დოლარში ან ევროში.
- **დეპოზიტის თანხა**
  "მოქნილი" დეპოზიტის მინიმალური თანხა 20 აშშ დოლარი, 20 ევრო ან 40 ლარია, ხოლო მაქსიმალური - 300,000.00 აშშ დოლარი ან ექვივალენტი მუსაბამის ვალუტაში. დეპოზიტზე არ ხორციელდება დამატებითი მუშაობები და ოპერაციები.
- **დეპოზიტის დარიცხვა**
  პროცენტის დარიცხვა "მოქნილ" დეპოზიტზე ხდება ყოველთვიურად ან საფეპოზიტო ხელშეკრულების ვადის ბოლოს, თქვენი არჩევანის მიხედვით.
- **ნლიური საპროცენტო განაკვეთები:**

		აშშ დოლარი	ევრო	ლარი
6 თვე	I	7.00	6.00	9.00
	II	7.50	6.50	9.50
9 თვე	I	7.75	6.75	9.75
	II	8.25	7.25	10.25
12,18,24,36 თვე	I	8.50	7.50	11.00
	II	9.00	8.00	11.50

I - საპროცენტო სარგებლის დარიცხვა ყოველთვიურად
II - საპროცენტო სარგებლის დარიცხვა ვადის ბოლოს

დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ უწვიოთ პროკრედიტ ბანკის ნებისმიერ ფილიალს.

ფილიალების ქსელი

ფილიალი ფოთში, თავისუფლების მოედანი 18, ტელ: (995 342) 20-16-16
ფილიალი ბათუმში, ზუბალაშვილის ქუჩა 11ბ, ტელ: (995 422) 26-50-20
ფილიალი ბორჯომში, ბულაჩაურის ქუჩა 10, ტელ: (995 2770) 2-16-09
ფილიალი ქუთაისში, ზაქარიას ქუჩა 68, ტელ: (995 431) 43-92-92
ფილიალი ბაზისურ ფილიალი ბულაჩაურის ქ. 8, ტელ: (995 2517) 2-16-00; 2-16-50
ფილიალი ზესტაფონში, ვაჟა-ფშაველის ქუჩა 46, ტელ: (995 431) 20-17-17
ფილიალი ოზურგეთში, ალიოშინის ქ. 3/32, ტელ: (995 431) 98-16-16
ფილიალი ფოთში, ალ. ყაზბეგის ქ. 58, ტელ: (995 2231) 4-14-14
ფილიალი ფოთში, ბულვარ ალეკსანდრეს ქ. 18, ტელ: (995 2222) 7-84-80
ფილიალი ბორჯომში, ეროვნული ბიბლიოთეკის ქ. 1, ტელ: (995 342) 57-01-01
ფილიალი ბათუმში, ზუბალაშვილის ქ. 6, ტელ: (995 2231) 4-87-06
ფილიალი ბათუმში, ბულვარ ალეკსანდრეს ქ. 10, ტელ: (995 222) 7-74-19
ფილიალი ბაზისურ ფილიალი ბულაჩაურის ქ. 31-ბ, ტელ: (995 342) 76-44-82
ფილიალი ბაზისურ ფილიალი ბულაჩაურის ქ.1, ტელ: (995 415) 6-11-93
ფილიალი ბაზისურ ფილიალი ალ. ყაზბეგის ქ. 20, ტელ: (995 222) 77-052
ფილიალი ბაზისურ ფილიალი ალ. ყაზბეგის ქ. 2, ტელ: (995 236) 66-439

ამერიკის მთავრობამ ქართველ მებაჟეებს უნიფორმები გადასცა

ამერიკის შეერთებული შტატების საბაჟო სამსახურის წარმომადგენლებმა საქართველოს საბაჟო დეპარტამენტს მებაჟეებისთვის 150 უნიფორმის კომპლექტი გადასცეს საჩუქრად.

ამერიკის შეერთებული შტატების საბაჟო სამსახურის წარმომადგენლებმა ხუთშაბათს საქართველოს საბაჟო დეპარტამენტს მებაჟეებისთვის 150 უნიფორმის კომპლექტი გადასცეს საჩუქრად.

ღონისძიებას საბაჟო დეპარტამენტში ამერიკის საბაჟო სამსახურის წარმომადგენლები და საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარე გიორგი გოდაბრელიძე ესწრებოდნენ. როგორც ჟურნალისტებს გოდაბრელიძემ განუცხადა, საბაჟო დეპარტამენტს მებაჟეებისთვის სულ 900-950 ერთეული ფორმა ესაჭიროება.

ამერიკული მხარის ინფორმაციით, საბაჟო დეპარტამენტის დახმარება ფართო მასშტაბით გასულ წელს ამ უწყების მიერ გაწეული წარმატებული საქმიანობის გამო გადაწყდა.

პირველ ეტაპზე მათ ამერიკელი კოლეგებისაგან 150 ერთეული ფორმა მიიღეს, უახლოეს მომავალში კი კიდევ 800 ფორმას გადმოსცემენ, რითაც საშუალება მიეცემათ, ყველა მებაჟე სათანადო ფორმით აღჭურვონ. დღეს კი ეს 150 კომპლექტი ამ ეტაპზე სადახლოს, წითელი ხიდის, ყაზბეგის და სარფის საბაჟოების მოხელეებს გადაეცემათ.

150 უნიფორმა 45 ათასი დოლარი დაჯდა. უნიფორმა იმერეთში მოქმედმა სამკერვალო კომპანიამ ს/ს "იმერმა" შეკერა. ერთი კომპლექტი ყოველდღიურ ჩასაცმელს, გამოსაცვლელს, საწვიმარს, ზამთრის ჩასაცმელს, ორ ქუდს და სამ წყვილ ფეხსაცმელს მოიცავს.

24 საათი

ქართული პრივატიზაციის უცხოელი მოთამაშენი

პირველი გვერდიდან

"ჭიათურმანგანუმისა" და "ვარციხეჰესის" შეძენის მსურველნი:

DCM

ავსტრიული კომპანია DCM-ის საქმიანობის ძირითადი სფერო მადანით, რკინის შენადნობებით, ძვირფასი შენადნობებით და მეტალებით მთელი მსოფლიოს მასშტაბით ვაჭრობას. კომპანიას საკუთარი აქციები გააჩნია შემდეგ კომპანიებში: "Consolidated Minerals Ltd.", "Poldex Erz und Stahlhandels GmbH", "Interalloys Trading & Business GmbH" და "Poltava GOK Corporation". DCM-ს სათავო ოფისები გააჩნია ფურსტენფელდში, ვენაში, კიევში, მოსკოვში, კვებეკში და თბილისში.

კომპანია დღემდე საკმაოდ წარმატებით მუშაობს "ფეროში", რომლის აქციათა 51 პროცენტსაც ფლობს. კომპანიის წარმომადგენელი "24 საათს" მათ მიერ საქართველოს ხელისუფლებისთვის წარმოდგენილი წინადადების შინაარსის მოწოდებას დღეისთვის შეჰპირდა.

"КАЗХРОМ"

ყაზახური სააქციო საზოგადოება ტრანსნაციონალური კომპანია "Казхром" 1995 წელს დაარსდა. დღეს კომპანიის აქციების 31,37 პროცენტი სახელმწიფოს ეკუთვნის, 59,06 პროცენტი - იურიდიულ პირებს, ხოლო პრივილიგირებული აქციების 9,4 პროცენტი სხვა იურიდიული და ფიზიკური პირების მფლობელობაშია. კომპანია "Казхром" შემადგენლობაში შედის "აკსუსკიის ფეროშენადნობთა ქარხანა" და შვილობილი აქციონერული საზოგადოებები - "Феррохром" და "Донской ГОК".

კომპანიის საქმიანობის ძირითადი სფერო შავი მეტალების წარმოება და შავ მეტალურგიაში ნედლეული მადანის მოპოვება და გამდიდრებაა.

ყაზახეთის რესპუბლიკის მხრიდან კომპანიის ფეროშენადნობებზე მოთხოვნილება უმნიშვნელოა, ამიტომაც კომპანია, ძირითადად, ექსპორტზეა ორიენტირებული. "Казхром"-ის ფეროშენადნობები მსოფლიოს ყველა ძირითად ბაზარზე იყიდება. მათ შორის, ამერიკის, ევროპის და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ბაზრებზე. კომპანიის ოფიციალურ საიტზე ნათქვამია, რომ არსებობს რამდენიმე მიმზიდველი ბაზარი, სადაც კომპანიას თავისი პროდუქციის გატანა სურს - ავსტრალია, სპარსეთის ყურის და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები, ინდოეთი და სამხრეთ ამერიკის ზოგიერთი ქვეყანა.

90-იან წლებში კომპანიაში წარმოება მკვეთრად შეიკვეცა, რაც პარტნიორული კავშირების დარღვევით, საგადასახადო კრიზისით და საბჭოთა კავშირის დაშლით იყო გამოწვეული. დადებითი ცვლილებები ახალი ინვესტორის - "Japan Chrome Corporation"-ის მოსვლის შემდეგ დაიწყო. ამ უკანასკნელმა წარმოება აუცილებელი სახსრებით და ინვესტიციებით უზრუნველყო.

"24 საათის" მიერ მოპოვებული ინფორმაციით, 2005 წლიდან კომპანია "Казхром" მაღალკოქსვადი ფერომარგანეცის წარმოებას დაიწყებს. ივლისში ყაზახეთში მდებარე ჟაირემის საბადოს შესყიდვის შედეგად კომპანიას ახალი წარმოების წამოწყების შესაძლებლობა მიეცემა, რომლითაც კომპანია ყოველწლიურად 820 ათას ტონა მარგანეცის მადანს მოიპოვებს.

მოცემული მომენტისათვის, "Казхром" ყოველწლიურად 786 ათას ტონა მაღალკოქსვადად, 36 ათას ტონა საშუალოკოქსვად და 32 ათას ტონა დაბალკოქსვად ფეროქრომს აწარმოებს. ამას გარდა, კომპანია ფეროსილიციუმს და სილიკომარგანეცს აწარმოებს.

2004 წლის ბოლო დღეებში კომპანიაში განაცხადეს, რომ კომპანიის წლის სუფთა მოგებამ 497 მილიონ დოლარი შეადგენა, რაც გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს სამჯერ აღემატება. ამასთან, პროდუქციის რეალიზაციის 2004 წლის მაჩვენებელი 271 მლიარდ ტენგეს შეადგენს. (ტენგე - ყაზახეთის ფულის ერთეული. მიმდინარე პერიოდისთვის 130,04/1 დოლარი).

დაახლოებით ერთი წლის წინ, ყაზახური კომპანია სკანდალში იყო გახვეული. კონფლიქტის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ "Казхром"-ის ფეროშენადნობთა ქარხანას ეკოლოგიის დაბინძურებისთვის 115 მილიონი ტენგეს გადახადა დააკისრეს. აკტუბინსკის ოლქის გარემოს დაცვის ადგილობრივმა სამმართველოებმა გამოიტანეს დასკვნა, რომ ორი წლის განმავლობაში კომპანიამ გარემოში 6,5 ტონა მავნე ნივთიერებაზე მეტი გამოყო. ყაზახური კომპანიის გენერალური დირექტორის მოადგილე ვალერი გრინენკო ამტკიცებდა, რომ ქარხანა ყველანაირად ცდილობდა ნარჩენების რაოდენობის შემცირებას. ცნობისათვის, კომპანიის მტკიცებით, მათ მიერ გარემოს დაცვისთვის გამოყოფილი თანხა ხუთ მილიონს შეადგენს. დავის პარალელურად, ექიმები მოსახლეობის ჯანმრთელობის შესახებ შემაშფოთებელ ინფორმაციებს ავრცელებდნენ. ეპიდემიური სამსახურის ინფორმაციით, ქარხნიდან ორ კილომეტრ რადიუსში მოსახლეობის დაავადების დონე გაცილებით მაღალი იყო, ვიდრე ქალაქის მეორე ნაწილში. თუმცა, საბოლოოდ, დავა ყოველგვარი სასჯელის გარეშე, კონსენსუსის შედეგად გადაიჭრა. ყაზახეთის გარემოს დაცვის მინისტრმა აიტკულ სამაკოვამ აკტუბინსკის ფეროშენადნობების ქარხანა მოინახულა და კომპანიასთან ურთიერთაგების და ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა.

"ЕВРАЗХОЛДИНГ"

რუსული "ЕвразХолдинг"-ის ისტორია 1992 წელს იწყება, როცა ახალგაზრა მეცნიერების და ინჟინრების ჯგუფმა შეზღუდული პასუხისმგებლობა "Евроазметалл"-თან ამხანაგობა შექმნეს. მეტალურგიულ ქარხნებთან, ქვანახშირის მაღაროებთან და სამთო-გამამდიდრებელ კომბინატებთან ურთიერთობების განვითარების პროცესში, კომპანიამ რიგი საწარმოების აქციები შეიძინა. შედეგად, გაერთანება "საწარმოთა ჯგუფი ვამ" შეიქმნა. კომპანიის მიერ გადადგმულ უმნიშვნელოვანეს მომდევნო ნაბიჯად სააქციო საზოგადოება "ქვემოტაგილის მეტალურგიულ კომბინატთან" (ნრმკ) თანამშრომლობა ითვლება. ამჟამად, კომპანია თავის სტრატეგიულ პარტნიორ შვეიცარიულ კომპანია "Duferco"-სთან ერთად, ნრმკ-ს აქციების საკონტროლო პაკეტის მფლობელია. უკვე 1998 წელს რუსეთში პირველი ვერტიკალურად-ინტეგრირებული სამთო-მეტალურგიული კომლექსის შექმნის მიზნით, ვამ-ის ბაზაზე მმართველი კომპანია "ЕвразХолдинг" შეიქმნა.

დღეს რუსული "ЕвразХолдинг" ფინანსურ ოპერაციებზე, ფასიანი ქაღალდების გამოშვებაზე, საფონდო ბაზრების ოპერაციებზე და მეტალებით ვაჭრობაზეა მიმართული. იგი ქვემო-ტაგილის მეტალურგიული კომბინატის (НТМК), დასავლეთ-ციმბირის მეტალურგიული კომბინატის (ЗСМК) და კუზნეცკის მეტალურგიული კომბინატის (КМК) მმართველია. 2002 წელს НТМК-ის და ЗСМК-ის აქციონერების გადაწყვეტილებით, "ЕвразХолдинг" ამ საწარმოების ერთპიროვნული აღმასრულებელი ორგანო გახდა. დანარჩენი საწარმოების საკონტროლო პაკეტებიც "ЕвразХолдинг"-ის საკუთრებაა. აღნიშნული საწარმოების პარალელურად, ჰოლდინგში ნოვოსიბირსკის მეტალურგიული ქარხანაც შედის (აქციების 90 პროცენტი).

"ЕвразХолдингом"-ის ჯგუფში შემავალი კომპანიები, რომლებიც წელიწადში 11 მილიონ ტონაზე მეტ ფოლადს აწარმოებენ, მსოფლიოში ფოლადის მწარმოებელ 20 უდიდეს კომპანიას მიეკუთვნებიან. კომპანიის ჯგუფის სტრუქტურის მნიშვნელოვან ნაწილს სააქციო საზოგადოება "Торговый дом "ЕвразХолдинг" წარმოადგენს. ამ უკანასკნელს შიდა ბაზარზე "ЕвразХолдинг"-ის მიერ მართვადი საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის რეალიზატორის ფუნქცია აკისრია.

ჰოლდინგის მფლობელებზე ღია ოფიციალური ინფორმაცია არ არსებობს. კომპანიის ინტერესების წარმომადგენელ საჯარო ფიგურას "ЕвразХолдинг"-ის პრეზიდენტი ალექსანდრ აბრამოვი წამოადგენს. როგორც ანალიტიკოსები და მასმედიის წარმომადგენლები ვარაუდობენ, სწორედ ის არის კომპანიის პოლიტიკის მთავარი განმსაზღვრელი და კომპანის ერთ-ერთი მფლობელი. უნდა აღინიშნოს, რომ მისი სახელი ისეთი ბიზნესმენების გვერდით მოიხსენიება, როგორებიც არიან რომან აბრამოვიჩი, ალექსანდრ მამუტი, ისკანდერ მახმუდოვი და ოლეგ დერიპასკა.

ქართული აქტივების გარდა, "ЕвразХолдинг"-ის მიზანს უკრაინული აქტივების შეძენაც წარმოადგენს. "Криворожстали"-ის გასაყიდ კონკურსში დამარცხების მიუხედავად (სადაც გამარჯვება ქართული ტენდერის მონაწილე "ინტერპაიპს" ხვდა წილად), რუსული ჰოლდინგი უარს არ ამბობს თავის იდეაზე უკრაინული აქტივების შეძენასთან დაკავშირებით. გავრცელებული ინფორმაციით, იგი კიდევ ერთი უკრაინული კომპანია "Укррудпрома"-ის შეძენის ვარიანტს განიხილავს.

"საოკეანო სანაოსნო კომპანიის" შეძენის მსურველნი:

"ПРОМЫШЛЕННЫЕ ИНВЕСТОРЫ"

"Промышленные инвесторы" რუსული საფინანსო-სამრეწველო ჯგუფია.

ამ ეტაპზე "Промышленные инвесторы"-ს აქციების საკონტროლო პაკეტები გააჩნია კომპანია "Дальневосточное морское пароходство"-ЫЙ, "Русский алкоголь"-ში, "Топаз"-ში, "Агромашхолдинг"-ში და "Русские Биотехнологии"-ში. პირველი მათგანი, რომელიც წელს რუსეთის უმსხვილეს სანაოსნო კომპანიად დასახელდა, ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებს, ავსტრალიასა და ახალ ზელანდიას შორის გადაზიდვებს ახორციელებს. კომპანიის კაპიტალი 348,93 მილიონ დოლარს შეადგენს. "Дальневосточное морское пароходство"-ს აქციების 62 პროცენტი "Промышленные инвесторы"-ს ეკუთვნის, ხოლო 20 პროცენტი - სახელმწიფოს. კომპანია 2000-2003 წლების სხვადასხვა პერიოდებში შემდეგი კომპანიების აქციათა საკონტროლო პაკეტებს ფლობდა: "კრასნოიარსკის ნახშირის კომპანია", "კოლპიანის და ოტრადნინის შაქრის ქარხანა" და "Гуковуголь". პირველი კომპანიის შემთხვევაში საწარმომ წარმოების 10 პროცენტით გაზრდა, დებიტორული და საკრედიტო დავალიანებების გასტუმრება შეძლო. შაქრის ქარხნის შემთხვევაში ფინანსური გაჯანსაღება, ფედერალური და ადგილობრივი ბიუჯეტების დავალიანებების გასტუმრება იქნა მიღწეული. "Промышленные инвесторы"-ის "Гуковуголь"-თან თანამშრომლობის პერიოდში კი ამ უკანასკნელმა კორპორატიული რესტრუქტურიზაცია და დავალიანებების გასტუმრება მოახერხა.

"SCHOELLER HOLDINGS LTD"

კომპანია "Schoeller Holdings Ltd" ისტორია 1978 წლიდან კვიპროსის ქალაქ ლიმასოლში იღებს სათავეს. დღეს იგი საზღვაო-სანაოსნო საქმიანობაში ჩართულ მრავალ კერძო კომპანიას აერთიანებს. კომპანიის საქმიანობის მეორადი სფერო სასტუმრო და რესტორნების ინდუსტრიისათვის მენეჯმენტის განხორციელებაა.

"წლების განმავლობაში "Schoeller Holdings Ltd", თავის პარტნიორ და შვილობილ კომპანიებთან ერთად მსხვილ და დინამიურ ორგანიზაციად ჩამოყალიბდა 8 ათასი დასაქმებული ადამიანით. ამ კომპანიას ბიზნეს სექტორსა და ფინანსურ ინსტიტუტებს შორის პრესტიჟული რეპუტაცია გააჩნია," - ნათქვამია კომპანიის იფიციალურ საიტზე. არანაირი ინფორმაცია კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესახებ კომპანიის ინტერნეტ საიტზე განთავსებული არ არის.

"AQUAMARINE GROUP"

კომპანია "Aquamarine Group" 1999 წელს საზღვაო ინდუსტრიისათვის მომსახურების გაწევის მიზნით ჩამოყალიბდა, ნათქვამია კომპანიის ოფიციალურ ინტერნეტ საიტზე. კომპანიის ძირითადი აქცენტი ყიდვა-გაყიდვებზე და შენობათა ტრანსაქციაზე კეთდება. დღეს კომპანია თავის კლიენტებს ფინანსების განკარგვის, დაქირავებული მუშახელის შერჩევის და ხელსაყრელი ინვესტირებისთვის შესაბამისი პროექტების შეთავაზების სერვისსაც სთავაზობს. ქართული აქტივებით დაინტერესებული "MarinecapitalLTD" სწორედ "Aquamarine Group"-ის შვილობილია. კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე და სამომავლო გეგმებზე არანაირი ინფორმაცია საიტზე არ მოიძებნება. სამაგიეროდ, ცნობილია, რომ თავდაპირველი ინფორმაციით, აღნიშნული კომპანია საქართველოს მთავარობას სანაოსნოში 130 მილიონ აშშ დოლარს სთავაზობდა, თუმცა - სანაოსნოს ვალების გადახდაზე უარის თქმის სანაცვლოდ.

"ASP SHIP MANAGEMENT"

ავსტრალიური კომპანია "ASP Ship Management" 1997 წელს დაარსდა. დღეს მას საკუთარი ოფისები გააჩნია დიდ ბრიტანეთში, მალაიზიაში, სინგაპურში, იაპონიაში, აშშ-ში, სკანდინავიაში, ფინეთში, ნორვეგიაში და ავსტრალიაში. "ASP Ship Management" "ASP Group"-ის შვილობილი არის, რომელსაც მთელი მსოფლიოს ირგვლივ საკუთარი გემები და ეკიპაჟები გააჩნია. ზოგადად, კომპანიის შესახებ ინფორმაცია ინტერნეტ-მედიაში ძალიან მწირია. "ამ ჰოლდინგის სამხედრო-საზღვაო ფლოტი ერთ-ერთი ყველაზე ძლიერია მსოფლიოში," - ნათქვამია კომპანიის ოფიციალურ ინტერნეტ საიტზე. თუმცა, არანაირი ინფორმაცია კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესახებ საზოგადოებისთვის გახსნილი არ არის.

ფინანსური მონიტორინგის სამსახური ევროპის საბჭოსთვის მოხსენებას ამზადებს

17-21 იანვარს სტრასბურგში გაიმართება ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შეფასების რჩეულ ექსპერტთა კომიტეტის (MONEYVAL) მე-16 პლენარული სხდომა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს საქართველოს დელეგაცია საქართველოს ეროვნული ბანკის, ფინანსური მონიტორინგის სამსახურის, იუსტიციის სამინისტროსა და გენერალური პროკურატურის წარმომადგენელთა შემადგენლობით.

დელეგაციას უხელმძღვანელებს ეროვნულ ბანკთან არსებული, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსი ნიკოლოზ გეგუჩაძე. პლენარულ სხდომაზე, სხვა საკითხებთან ერთად, განხილული იქნება ევროპის საბჭოს ექსპერტთა მიერ მომზადებული ანგარიში საქართველოში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის კუთხით განხორციელებულ ღონისძიებათა შესახებ (2003 წლის მაისის მდგომარეობით).

გარდა ამისა, სხდომაზე გამოვა საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი ნიკოლოზ გეგუჩაძე, რომელიც გააკეთებს მოხსენებას საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ ერთობლივად მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის პროექტის შესახებ. პროექტი შეეხება საქართველოს სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებების შეტანას. ამასთან, კომიტეტს მიეწოდება ინფორმაცია საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტთან თანამშრომლობით შემუშავებულ საქართველოს კანონის პროექტზე "უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ".

24 საათი

"საქართველოს ელექტროკავშირს" დღეიდან ახალი დირექტორი ჰყავს

ს/ს "საქართველოს ელექტროკავშირს" დღეიდან ახალი დირექტორი ჰყავს. კომპანიას ნანა ადეიშვილი უხელმძღვანელებს.

"საქართველოს ელექტროკავშირის" სამეთვალყურეო საბჭომ მხარი დაუჭირა და დაამტკიცა "საწარმოთა მართვის სააგენტოს" მიერ სს "საქართველოს ელექტროკავშირის" დირექტორის პოსტზე წარდგენილი ნანა ადეიშვილის კანდიდატურა. ახალი დირექტორი საქმიანობას ოფიციალურად ორშაბათიდან შეუდგება.

ნანა ადეიშვილი ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატია, დამთავრებული აქვს კოლუმბიის უნივერსიტეტი ეკონომიკური პოლიტიკის მართვის სპეციალობით, მიღებული აქვს მაგისტრის ხარისხი ბიზნესის ადმინისტრაციისა და ეკონომიკური პოლიტიკის მართვის სპეციალობით. იყო საერთაშორისო კონსულტანტი ბიზნესის რესტრუქტურიზაციის და ბიზნეს-გარემოს ანალიზის სფეროებში აღმოსავლეთ ევროპისა და აზიის ქვეყნებში. 1997 წლიდან არის საწარმოთა რესტრუქტურიზაციისა და მენეჯმენტის დახმარების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი.

ნანა ადეიშვილმა დირექტორის პოსტზე მერაბ კანკავა შეცვალა.

24 საათი

ორი სიტყვით

თბილისი. ეროვნული ვალუტის კურსი 0,5 თეთრით დაეცა და ერთ აშშ დოლართან მიმართებაში 1,815 ლარი შეადგინა "თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟის" ხუთშაბათის ვაჭრობაზე. შიდა სავალუტო ბაზარზე, შუადღის მდგომარეობით 1 აშშ დოლარის ყიდვა-გაყიდვის კურსები, შესაბამისად, 1,815 და 1,825 ლარს გაუტოლდა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

სომხეთი. სომხეთის ვანაძორის ქიმკომბინატის ხელახლა ამუშავების შესაძლებლობას "დივიდენდ გრუპის" ჯგუფის სლოვაკი სპეციალისტები სწავლობენ. შესაძლოა ის 15 თებერვლისათვის ამუშავდეს. როგორც სომხური საინფორმაციო სააგენტო "ნოიან ტაპანის" კორესპონდენტს ეკონომიკური კონკურენციის დაცვის სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარემ აშოტ შახნაზარიანმა აცნობა, კომპლექსის შესყიდვის თაობაზე შეთანხმებას სლოვაკური მხარე ხელს წლის ბოლოს მოაწერს, როცა ისინი კომპლექსის შესაძლებლობებში პრაქტიკაში დარწმუნდებიან. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. მიმდინარე წელს საქართველო საგარეო ვალების მომსახურებისთვის 217 380 000 ლარს გაიღებს. 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში საგარეო ვალის ძირითადი თანხის დასაფარად 173 530 000 ლარია გათვალისწინებული, პროცენტების დასაფარად კი - 43 850 000 ლარი. **ინტერ-პრესი**

აშშ ერაყიდან ჯარის გაყვანას წელსვე დაიწყებს, თუ...

აშშ-მ შესაძლოა, უკვე წელს დაიწყოს ერაყიდან ჯარის გაყვანა, იმ შემთხვევაში, თუ ერაყის უსაფრთხოების ძალები ქვეყანაში წესრიგის შენარჩუნებას თავის თავზე აიღებენ. ასეთი განცხადება ოთხშაბათს აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა გააკეთა. "ამერიკული ჯარების ერაყში ყოფნა უსაფრთხოების დაცვით არის განპირობებული. ასე რომ, თუ ეს ფაქტორი გაუმჯობესდება, ჩვენი ჯარების რიცხვიც, ბუნებრივია, შემცირდება. ასევე იმედი მაქვს, რომ ერაყის სამხედრო ძალების აღმშენებლობასთან ერთად ისინი ამ ტვირთს საკუთარ თავზე აიღებენ, და ჩვენც შევძლებთ მათი რაოდენობის შემცირებას... თუმცა, მე ვერ გეტყვით ზუსტ თარიღს, როდის დაბრუნდებიან ამერიკელი ჯარისკაცები სახლში," - განუცხადა პაუელმა ჟურნალისტებს.

სახელმწიფო მდივნის სიტყვებით, ერაყიდან ამერიკული სამხედრო კონტინგენტის გამოყვანა თანდათან, სიტუაციის ნორმალიზაციის პარალელურად განხორციელდება. ეს პროცესი კი მჭიდროდ არის დაკავშირებული ქვეყნის სათავეში მოსახლეობის მიერ არჩეული ხელისუფლების მოსვლაზე.

უნდა ითქვას, რომ დღეისთვის რეალურად ამერიკელ ჯარისკაცთა რაოდენობა ერაყში, 30 იანვარს დაგეგმილი არჩევნების უსაფრთხოდ ჩატარების მიზნით, პირიქით, გაიზარდა და დაახლოებით 150 ათასს მიაღწია.

შეგახსენებთ, 2003 წლის მარტიდან დღემდე ამ ქვეყანაში 1360-ზე მეტი ამერიკელი ჯარისკაცი დაიღუპა.

საგულისხმოა, რომ სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, აშშ-ში საკმაოდ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება შეინიშნება. მართალია, აშშ-ს ხელმძღვანელობით ანტიტერორისტული კოალიციის ერაყში შეჭრის ფაქტს ძალიან ბევრი მონინააღმდეგე ჰყავს, მაგრამ როგორც უკანასკნელი სოციოლოგიური გამოკითხვებიც ცხადყოფს, მათ რიცხვს საგანგაშო მაჩვენებლისთვის არასოდეს მიუღწევია, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით.

აი, უკრაინა კი ერაყიდან ჯარების გაყვანას 2005 წლის 30 იანვრამდე აპირებს. ამის შესახებ ოთხშაბათს თავდაცვის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა ალექსანდრე კუზმუკმა ერაყში 9 იანვარს დაღუპულ უკრაინელ სამხედრო მოსამსახურეებთან გამოთხოვების ცერემონიაზე განაცხადა. აღსანიშნავია, რომ კუზმუკის ამ განცხადებამდე რამდენიმე საათით ადრე აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური წარმომადგენელი რიჩარდ ბაუჩერი ამტკიცებდა, რომ ერაყიდან უკრაინული კონტინგენტის გამოყვანის გადაწყვეტილება უკრაინის ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა უნდა მიიღოს.

სოროსი ბუშის წინააღმდეგ ბრძოლას აძლიერებს

ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებში დემოკრატი კანდიდატის ჯონ კერის დამარცხებამ პროგრესული იდეების მიმდევარი ამერიკელი მილიარდელები არ შეაცბუნა. ბიზნესმენთა ჯგუფი, საყოველთაოდ ცნობილი ჯორჯ სოროსის ხელმძღვანელობით, საკუთარი სახსრებით აპირებს ორგანიზაციათა ქსელის შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს "ინტელექტუალური ინფრასტრუქტურის" განვითარებას. ჯონ კერის საარჩევნო კამპანიაში სოროსმა, არც მეტი არც ნაკლები, 75 მილიონი დოლარი ჩადო, სანდლერების კალიფორნიულმა წყვილმა 57 მილიონი დოლარი, ოჰაიოელმა დამზღვევმა პიტერ ლუისმა - 40 მილიონი დოლარი. ამით არ დასრულებულა არაფერი. გაზეთ "ფაინენშლ თაიმსის" ცნობით, გრძელვადიანი პერსპექტივით, ამერიკული დემოკრატიის განვითარებაში შესაძლოა, უფრო მეტი თანხებიც კი ჩაიდოს. დეკემბრის ბოლოს მემარცხენე შეხედულების მილიარდელებმა სან-ფრანცისკოში დახურული შეხვედრა გამართეს, სადაც შემდგომი ერთობლივი ქმედებების შესახებ მოილაპარაკეს. შეხვედრის მონაწილეებმა გაზეთს განუცხადეს, რომ "ინტელექტუალურ ინფრასტრუქტურაში ერთობლივი ინვესტიციების" გეგმა შეიმუშავეს. საერთო ჩადებული თანხის შესახებ მონაცემები განსხვავებულია: ერთმა მონაწილემ 100 მილიონი დოლარი დაასახელა 15 წლის ვადით, მეორემ - 25 მილიონი, 5 წლის ვადით. ფულს გადაანაწილებს ჯონ პოდესტა, ადმინისტრაციის ყოფილი მეთაური ბილ კლინტონის პრეზიდენტობის დროს, ამჟამად დემოკრატების ინტელექტუალური დასაყრდენის - "ამერიკული პროგრესის ცენტრის" უფროსი. თავის სიტყვას იტყვის აგრეთვე სოროსი, თავისი ნიუ-იორკის "ღია საზოგადოების" ფონდის საშუალებით. რა გაკეთდება ამ თანხით, ჯერჯერობით, ნაკლებად არის ცნობილი. ჯონ კერის ერთ-ერთი თანაშემწე ამბობს, რომ "ამერიკული პროგრესის ცენტრი" საგარეო პოლიტიკის ექსპერტთა კომისიის მუდმივ სანყისზე აღდგენას აპირებს, რომელიც დემოკრატებმა წინასაარჩევნო მარათონის დროს ჩამოაყალიბეს. კერის არჩევნებში დამარცხება, რასაკვირველია, მხოლოდ ფულის უკმარისობით არ იყო განპირობებული. როგორც ცნობილია, პოლიტოლოგები ბუშის ხელახლა არჩევას უსაფრთხოების პრობლემებს უკავშირებდნენ. არანაკლები როლი ითამაშა უსამა ბენ ლადენის მორიგმა მიმართვამაც, რომელიც თითქოს დაბარებულივით გამოჩნდა არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე. თუ ლიბერალი მდიდრები მოახერხებენ ამერიკელების დარწმუნებას, რომ ტერორიზმთან ბრძოლა პოლიციური მეთოდებით არ არის საჭირო, მაშინ 2008 წლის არჩევნებში, შესაძლოა, კერიმ ან სხვა დემოკრატმა გაიმარჯვოს (მაგალითად, ჰილარი კლინტონმა, რომელსაც დიდი ხანია, პრეზიდენტობას უქადიან).

თურქი იმამები ევროპას მშვიდობიან ისლამს ასწავლიან

თურქეთი ევროკავშირის ქვეყნებში ზომიერი ფრთის ათასზე მეტ სასულიერო მოღვაწეს გააგზავნის, რათა ევროპელ მაჰმადიანებს შორის ისლამის თანამედროვე და მშვიდობიანი ვერსია გაავრცელონ. ბრიტანული გაზეთის "გარდიანის" ინფორმაციით, გერმანიაში, სადაც დიდი თურქული დიასპორა ცხოვრობს, უკვე შვიდასამდე იმამია გაგზავნილი. თურქეთის რელიგიური საქმეების სახელმწიფო სამმართველოს ხელმძღვანელის ალი ბარდაკოღლუს განცხადებით, მოცემული მისიის მიზანს იმის განმარტება წარმოადგენს, რომ ისლამი მშვიდობისა და მეგობრობის წყაროა და არა ძალადობის ინსტრუმენტი. მან აღნიშნა, რომ ევროკავშირის ქვეყნებში ოთხ მილიონამდე ეთნიკური თურქი ცხოვრობს, საჭიროა მათი ექსტრემიზმისგან შეკავება და ევროპის საზოგადოებაში მათი ინტეგრირების ხელშეწყობა. თურქეთში 70 ათასი იმამია და საზღვარგარეთ მათი მუშაობისთვის, როგორც ბარდაკოღლუ თვლის, საჭიროა მათთვის განათლების მიცემა და უცხოური ენების სწავლა. მისმა უწყებამ პროპაგანდისტული კამპანია წამოიწყო მას შემდეგ, რაც თურქი იმამი ახლახანს გააძევეს ბერლინიდან, რელიგიათაშორისი და ეროვნებათაშორისი შუღლის გაღვივებისათვის. საფრანგეთი, სადაც ევროკავშირში ყველაზე დიდი მაჰმადიანური თემი ცხოვრობს, ისლამის ვესტერნიზებული ფორმის შექმნას ცდილობს, იმამებისთვის საუნივერსიტეტო განათლების მიღების წახალისებით. 2005 წელს თურქეთი ევროკავშირში შესვლასთან დაკავშირებით მოლაპარაკებებს იწყებს და ანკარა აუცილებლად თვლის, რომ თურქული დიასპორა რადიკალური ისლამისგან დისტანცირდეს.

24 საათი

შიიტთა სულიერი ლიდერის უახლოესი თანაშემწე მოკლეს

ბაღდადის მახლობლად ერაყელ შიიტთა სულიერი ლიდერის აიათოლა ალი ას-სისტანის ერთ-ერთი უახლოესი თანაშემწე, შეიჰი მაჰმუდ ალმადაინი მოკლეს. შეიჰი, მისი ვაჟი და ოთხი მცველი უცნობებმა იმ დროს დაცხრილეს, როცა ისინი მეჩეთიდან გამოდიოდნენ.

ეჭვგარეშეა, აღნიშნული მკვლელობა მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებს უკავშირდება - შეიჰი ალმადაინი, ისევე, როგორც აიათოლა ას-სისტანი, ქვეყანაში საყოველთაო არჩევნების ჩატარების მომხრედ გამოდიოდა.

30 იანვრისათვის დანიშნული კენჭისყრის წინ შიიტთა ლიდერებზე თავდასხმები ერაყში თითქმის ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ეჭვი არავის ეპარება, რომ შიიტური პარტიები არჩევნებში ხმების უმრავლესობას მოიპოვებენ, სუნიტები კი, რომლებიც სადამ ჰუსეინის მმართველობის დროს ერაყის საზოგადოების ელიტას შეადგენდნენ, უმცირესობაში აღმოჩნდებიან.

გუშინვე, ერაყის დედაქალაქის ცენტრში აჯანყებულებმა ექვსი ერაყელი მოკლეს და ერთი თურქი ბიზნესმენი გაიტაცეს.

ინტერ-პრესი

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
აცხადებს კონკურსს
საეთერო საერთო ტელემაუწყებლობაზე ლიცენზიის მისაღებად

„კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ” საქართველოს კანონის 362 მუხლის შესაბამისად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში „კომისია”) სიხშირული სპექტრის გამოყენებით საქმიანობაზე ლიცენზიის გასაცემად კონკურსის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კონკურსის გამოცხადების საფუძვლების - თავისუფალი რესურსის არსებობის და/ან ლიცენზიის მაძიებლის მიერ კომისიისათვის შესაბამისი განცხადების წარდგენის შემთხვევაში.

კომისია აღნიშნავს, რომ კომისიას განცხადებით მიმართა მოქალაქე დ.კაკაურიძემ (22.12.2004 №9/49-04) შიდა ქართლის სამაუწყებლო ზონაში საეთერო საერთო ტელემაუწყებლობაზე ლიცენზიის მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ.

კანონმდებლობით მაუწყებლებისათვის განსაზღვრული ვალდებულებების, ტელერადიომაუწყებლობის პრიორიტეტების, აგრეთვე, სამაუწყებლო ზონის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით, არსებული სიხშირული რესურსის მიზნობრივი და ოპტიმალური გამოყენების, ხარისხიანი მაუწყებლობის მიწოდების წინაპირობების შექმნის მიზნით, „კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ„ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-5 პუნქტის „ა„ ქვეპუნქტისა და 455 მუხლის, „კოდის გამოყენებით საერთაშორისო სატელეფონო კავშირით მომსახურებაზე და სიხშირული სპექტრის გამოყენებით საქმიანობაზე სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობის განსაზღვრისა და სალიცენზიო გადასახდელის გადახდის წესის შესახებ” დებულების მე-2 მუხლის თანახმად, კომისიამ

გადაწყვიტა:

1. გამოცხადდეს კონკურსი საეთერო საერთო ტელემაუწყებლობაზე ლიცენზიის მისაღებად შემდეგი პირობებით:

ა) ერთი გადამცემის გამოყენებით, მე-4 სამაუწყებლო ზონაში:

ქალაქი	სამ. ზონა	რეგიონი	ანტენის განთავსების ადგილი	გეოგ. კოორ.	ანტ. სიმაღლე მიწის ზედ.	სატელევ. იზიო არხი	სიმ. ამტ	გასხ. დიაგრამა	სამაუწყებლო ზონის საშრად კმ	შენ
გორი	4	შიდა ქართლი	გორის ანძა	44E03; 42N02	180	31	5	წრიული	40	

შენიშვნა:

სამაუწყებლო ზონა განსაზღვრულია კომისიის 2003 წლის 13 ივნისის N 267 გადაწყვეტილების პირველი პუნქტით.

გეოგრაფიული კოორდინატები მითითებულია საანძო კონსტრუქციისათვის. შესაძლებელია ანძის კონსტრუქციის აგება აღნიშნული კოორდინატებიდან 1 000 (ერთი ათასი) მეტრის რადიუსში ზღვის დონიდან ანტენის განთავსების მითითებული სიმაღლის შენარჩუნებით (კანონმდებლობით დადგენილი აუცილებელი ნებართვების მიღების შემთხვევაში).

ბ) სამოქმედო ზონა - მცხეთის, კასპის, გორის, ხაშურის, ქარელის, ცხინვალის, ჯავის, ახალგორის, დუშეთის, ყაზბეგის რაიონები (სამაუწყებლო ზონა - 4);

გ) სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობა განისაზღვროს 34382.81 (ოცდათოთხმეტი ათას სამას ოთხმოცდაორი) ლარით;

დ) კონკურსის ჩატარების თარიღად გამოცხადდეს 2005 წლის 15 აპრილის 13:00 საათი;

ე) ლიცენზიის მაძიებლების განცხადებების მიღება კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მოხდეს 2005 წლის 24 თებერვლის 17:00 საათამდე;

2. ტელერადიომაუწყებლობის ლიცენზიის მისაღებად ლიცენზიის მაძიებელი კომისიას მიმართავს განცხადებით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:

ა) ფიზიკური პირისთვის - სახელი, გვარი, დაბადების ადგილი და თარიღი, რეგისტრაციის მონაცემები, მისამართი, მოქალაქეობა;

ბ) იურიდიული პირისთვის - საფირმო სახელწოდება, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, იურიდიული მისამართი (ადგილსამყოფელი), სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მონაცემები, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი, მონაცემები დამფუძნებლების შესახებ;

გ) ტელერადიომაუწყებლობის ლიცენზიის სახე, რომლის მიღებასაც მოითხოვს ლიცენზიის მაძიებელი;

დ) ტელერადიომაუწყებლობის სავარაუდო ხანგრძლივობა დღე-ღამის განმავლობაში;

ე) ტელერადიომაუწყებლობის დადგენილი პრიორიტეტების უზრუნველყოფის პირობები;

ვ) სამაუწყებლო ზონის დასახლებული ტერიტორიის მაუწყებლობით მოცვის გრაფიკი და სამაუწყებლო ზონაში პრაქტიკული საქმიანობის დაწყების ვადები;

ზ) ტელერადიოპროგრამების გავრცელებისათვის გამოსაყენებელი ტექნიკური საშუალებები;

3. ლიცენზიის მაძიებლის განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი.

ბ) სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობის 10%-ის გადახდის დამადასტურებელი საბუთი. ეს თანხა ჩაირიცხება კომისიის ანგარიშზე:

-ბანკი: სააქციო კომერციული ბანკი „თი-ბი-სი”;

-ა/ანგარიში: 609326;

-კოდი: 220101830;

-საიდენტიფიკაციო კოდი: 204953050;

ლიცენზიის მიუღებლობის შემთხვევაში ლიცენზიის მაძიებელს უბრუნდება აღნიშნული თანხა, საბანკო მომსახურების ხარჯების გამოკლებით, კომისიისთვის წერილობითი განცხადების წარდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დარჩენილი თანხა გადაიხადოს კონკურსის პირობების შესაბამისად.

გ) სახელმწიფო რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები; ფიზიკური პირისათვის - აგრეთვე, პირადობის მოწმობის ასლი. თუ ლიცენზიის მაძიებლის დამფუძნებელი იურიდიული პირია, წარმოდგენილ უნდა იყოს ამ იურიდიული პირის სახელმწიფო რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, ხოლო თუ დამფუძნებელი ფიზიკური პირია - მისი პირადობის მოწმობის ასლი;

დ) ლიცენზიის მიღების შემთხვევაში განსახორციელებელი სამაუწყებლო კონცეფცია;

ე) სამაუწყებლო საქმიანობის დოკუმენტურად დასაბუთებული დაფინანსების გეგმა;

ვ) განსახორციელებელი საქმიანობის ტექნიკური პროექტი, რომელმაც სამშენებლო, სანიტარულ-ჰიგიენური, ეკოლოგიური ექსპერტიზისა და სათანადო ნებართვების უზრუნველყოფის მიზნით ექსპერტიზა უნდა გაიაროს კომისიასთან შექმნილ მუდმივმოქმედ ქვეკომისიაში. ლიცენზიის მაძიებელი კონკურსზე დაიშვება ქვეკომისიის დადებითი დასკვნის არსებობის შემთხვევაში.

4. კომისია არ მიიღებს წარმოებაში ლიცენზიის მაძიებლის განცხადებას კონკურსში მონაწილეობის შესახებ, თუ მის მიერ არასრულყოფილადაა წარმოდგენილი ამ გადაწყვეტილების მე-2 და მე-3 პუნქტებში მითითებული მონაცემები და დოკუმენტაცია, რის თაობაზეც ლიცენზიის მაძიებელს განემარტება განცხადების წარდგენისთანავე. დაუშვებელია კონკურსში მონაწილეობის თაობაზე განცხადებისა და დოკუმენტაციის კომისიისათვის საფოსტო გზავნილების სახით მიწოდება. კონკურსის ჩატარების დროს სავალდებულოა ლიცენზიის მაძიებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის დასწრება;

5. ტელერადიომაუწყებლობის ლიცენზიის მისაღებად კონკურსში მონაწილეობის მიღება, კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ„ საქართველოს კანონის 452 და 362 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ეკრძალება:

ა) უცხო ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს და მის წარმომადგენლებს;

ბ) უცხო ქვეყნის მოქალაქეს, მოქალაქეობის არმქონე პირს და მათ წარმომადგენლებს;

გ) უცხოეთის კანონმდებლობის მიხედვით რეგისტრირებულ პირს, მის წარმომადგენლობებსა და ფილიალებს;

დ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ იურიდიულ პირს, რომლის საწესდებო კაპიტალის 50%-ზე მეტი ეკუთვნის ამ პუნქტის „ბ„-”გ„ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ სუბიექტს.

ე) პირს, რომელიც კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში სიხშირული რესურსის საერთო მოცულობის 50%-ის ან მეტის მფლობელი გახდება ამ გადაწყვეტილების პირველი პუნქტით განსაზღვრულ კონკრეტულ სამაუწყებლო ზონაში.

6. კონკურსში გამარჯვებული გამოვლინდება შემდეგი ასპექტების მიხედვით:

ა) ტექნიკური;

ბ) ფინანსური;

გ) პროგრამირების.

7. ტექნიკური ასპექტის შეფასებისას კომისია პრიორიტეტს ანიჭებს ლიცენზიის მაძიებლის მიერ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების პირობას, აგრეთვე მის მიერ მაუწყებლობის პროცესში გამოყენებული ტექნიკური საშუალებების ევროპულ ჰარმონიზებულ სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხს.

ტექნიკური ასპექტის მიხედვით შეფასების მაჩვენებელია 1 ქულა.

8. ფინანსური ასპექტი შეფასდეს წარმოდგენილი სამაუწყებლო საქმიანობის დოკუმენტალურად დასაბუთებული დაფინანსების გეგმის თანახმად, მიმდინარე და მომავალში საქმიანობის დაწყებისა და გაფართოების დაფინანსების წყაროების და მოცულობის მიხედვით, შემდეგი ჩამონათვალის შესაბამისად:

ა) საკუთარი წყაროები (მათ შორის უშუალოდ განხორციელებული საქმიანობიდან მისაღები სავარაუდო შემოსავლები);

ბ) სესხები;

გ) სუბსიდიები, გრანტები და სპონსორული დაფინანსება;

დ) საინვესტიციო ვალდებულებები;

ფინანსური ასპექტის მიხედვით შეფასების მაჩვენებელია 2 ქულა;

9. პროგრამირების ასპექტი შეფასდეს წარმოდგენილი სამაუწყებლო კონცეფციის კომისიის მიერ დადგენილ ტელერადიომაუწყებლობის პრიორიტეტებთან შესაბამისობის, ადგილობრივი წარმოების პროდუქციის ოდენობის, აგრეთვე სამაუწყებლო ზონის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის (მომხმარებლების) მრავალფეროვანი ინტერესების გათვალისწინებით. პროგრამირების ასპექტის მიხედვით შეფასების მაჩვენებელია 3 ქულა.

10. კონკურსში მონაწილეობის მსურველმა ამ გადაწყვეტილების მე-2 პუნქტის „დ„, „ე„, „ვ„, „ზ„ ქვეპუნქტით, მე-3 პუნქტის „დ„ და „ე„ ქვეპუნქტებით, მე-8 და მე-9 პუნქტების მოთხოვნების ამსახველი მასალები უნდა წარმოადგინოს ბიზნეს-გეგმის სახით, რომელსაც თან უნდა დაერთოს შესაბამისი დოკუმენტაცია.

11. გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია - ტექნიკური, ფინანსური და პროგრამირების ასპექტების მიხედვით დაგროვილი ქულების მაქსიმალური რაოდენობა.

12. კონკურსში გამარჯვებული გამოვლინდება კომისიის სხდომაზე. კომისიის სხდომაზე დგინდება საჭირო დოკუმენტაციის არსებობა და კონკურსის პირობებთან შესაბამისობა. კონკურსში მონაწილეობისთვის არ დაიშვება ის პირი, რომელსაც არასრულად აქვს წარმოდგენილი დოკუმენტაცია ან მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ შეესაბამება კანონით დადგენილ მოთხოვნებს ან კონკურსის პირობებს. სხდომის ოქმი, რომელსაც კონკურსის დამთავრების შემდეგ ხელს აწერენ საკონკურსო სხდომის თავმჯდომარე და სხდომის მდივანი, მოწმდება კომისიის ბეჭდით.

13. თუ კონკურსის ორი ან მეტი მონაწილის ქულების ოდენობა თანაბარია, კონკურსში გამარჯვებული გამოვლინდება „კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ„ საქართველოს კანონის 455 მუხლის მე-16 პუნქტის შესაბამისად, შემდეგი წესით:

ა) საკონკურსო სხდომის თავმჯდომარის მიერ ხდება სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობის დაფიქსირება და თანხის იმ მინიმალური ოდენობის გამოცხადება, რომელიც უნდა დაემატოს კონკურსის მსვლელობისას ბოლო მაქსიმალურ განაცხადში დაფიქსირებული თანხის ოდენობას (საკონკურსო ბიჯი), რომელიც შეადგენს სალიცენზიო გადასახდელის 5 პროცენტს დამრგვალებულს მთელ რიცხვამდე. საკონკურსო ბიჯი უცვლელია. იგი ჯერადად უნდა დაემატოს კონკურსის მსვლელობისას ბოლო მაქსიმალურ განაცხადში დაფიქსირებულ თანხის ოდენობას;

ბ) კონკურსის მონაწილის მიერ კონკურსის დაწყებისას დაფიქსირებული თანხის ოდენობა არ უნდა იყოს ნაკლები სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობისა და საკონკურსო ბიჯის ჯამისა;

გ) ყოველი მომდევნო მონაწილის მიერ თანხის დაფიქსირება ხდება წინა მონაწილის მიერ თანხის დაფიქსირების შემდგომ საკონკურსო ბიჯის დამატებით. კონკურსის მონაწილეს უფლება აქვს დააფიქსიროს საკონკურსო ბიჯზე მეტი თანხა;

დ) კონკურსში გამარჯვებულად ჩაითვლება ის მონაწილე, რომელიც კონკურსის მსვლელობისას დააფიქსირებს გადასახდელი თანხის მაქსიმალურ ოდენობას;

ე) ყოველი მონაწილის მიერ დაფიქსირებული თანხა აისახება სხდომის ოქმში;

14. კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ მიიღება კომისიის გადაწყვეტილება. კომისიის გადაწყვეტილების ასლი კონკურსის შედეგების შესახებ ეგზავნება კონკურსის ყველა მონაწილეს;

15. სალიცენზიო გადასახდელის ოდენობა ან სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობა და გადახდის პირობები მითითებული უნდა იყოს კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ კომისიის გადაწყვეტილებაში;

16. კომისია იღებს გადაწყვეტილებას კონკურსში გამარჯვებულისათვის ლიცენზიის გაცემის თაობაზე სალიცენზიო გადასახდელის ან სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობის 20%-ის კომისიის ანგარიშზე, ხოლო 10%-ის კავშირგაბმულობისა და ფოსტის ქსელებითა და საშუალებებით მომსახურების ხელმისაწვდომობისა და მოთხოვნილების დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო ხაზინაში გახსნილ სპეციალურ ანგარიშზე თანხების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენიდან 7 სამუშაო დღის განმავლობაში. დარჩენილი ნაწილის გადახდა უნდა მოხდეს ლიცენზიის მოქმედების ვადის პირველი წლის გასვლიდან მომდევნო ცხრა წლის განმავლობაში თანაბარწილად ლიცენზიის მოქმედების ვადის ყოველი მომდევნო წლის პირველივე თვის განმავლობაში სახელმწიფო ხაზინაში გახსნილ სპეციალურ ანგარიშზე, კავშირგაბმულობისა და ფოსტის ქსელებითა და საშუალებებით მომსახურების ხელმისაწვდომობისა და მოთხოვნილების დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად;

17. კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია მაუწყებლობის პროცესში დაიცვას საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით ან/და შეთანხმებებით, საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი„, „კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ„, „დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ„, „საავტორო და მიჯნავე უფლებათა შესახებ„, „მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ„, „რეკლამის შესახებ„ და „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ„ საქართველოს კანონებით და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესები;

18. კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია მაუწყებლობის განხორციელების პროცესში უზრუნველყოს მისთვის ლიცენზიით განსაზღვრული სამაუწყებლო ზონ(ებ)ის სრულად დაფარვა ლიცენზიით განსაზღვრულ ვადაში, საკუთარი სამაუწყებლო ქსელის შექმნის ან სხვა პირის ტექნიკური საშუალებების სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე გამოყენების გზით;

19. კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია კომისიას მოთხოვნისთანავე წარუდგინოს მაუწყებლობის პროცესში ტელერადიოპროგრამის გავრცელების უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

20. კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია მაუწყებლობის დაწყების შემდეგ კვირაში ერთხელ კომისიას მიაწოდოს და გამოაქვეყნოს ყოველი მომდევნო კვირის სამაუწყებლო ბადე.

21. კონკურსის საფუძველზე ლიცენზიის მიღებისას კონკურსის პირობები და ლიცენზიის მაძიებლის მიერ კონკურსში მონაწილეობისათვის წარდგენილ დოკუმენტაციაში აღნიშნული პირობები აისახება კომისიის მიერ გაცემული ლიცენზიის განსაკუთრებულ პირობებში, როგორც ტელერადიომაუწყებლობის ოპერატორის ვალდებულებები.

22. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საოლქო სასამართლოში (ქ. თბილისი, რობაქიძის გამზ. 7ა) 6 თვის ვადაში.

ჯარიმები გამკაცრდა

დაუმთავრებელი ან დამთავრებული სამშენებლო ობიექტების ტერიტორიის აღუდგენლად მიტოვების ან, შესაბამისი ნებართვის გარეშე, ობიექტის სტრუქტურულ-ფუნქციური წყობის და იერსახის შეცვლისათვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ჯარიმები მნიშვნელოვნად გამკაცრდა. შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც იუსტიციის სამინისტრომ მოამზადა და პარლამენტმა მიიღო, ძალაში ორ კვირაში შევა. ამ საკანონმდებლო ცვლილების მიზანი დედაქალაქისა და საქართველოს სხვა ქალაქების, განსაკუთრებით კი, ისტორიული განაშენიანების რაიონების იერსახის შენარჩუნებაა, ვინაიდან ზოგიერთი მშენებელის მიერ სხვადასხვა სახის სამშენებლო ობიექტის აღუდგენლად მიტოვებამ, თუ მათ მიერ ობიექტის სტრუქტურულ-ფუნქციური წყობის შეცვლამ, საკმაოდ დიდი დაღი დაასვა ქალაქების, განსაკუთრებით კი, თბილისის იერსახეს. საკანონმდებლო ცვლილებით, სათანადო ნებართვით დაწყებული ლოჯიების, ავტოსადგომების, სხვა სათავსოების და ნაგებობების მშენებლობის, მიშენების ან დაშენების, დაუმთავრებელი ან დამთავრებული ობიექტების ტერიტორიის აღუდგენლად მიტოვების შემთხვევაში, მოქალაქეები 8-დან 15 ლარამდე დაჯარიმდებიან, ხოლო თანამდებობის პირები 15-დან 30 ლარამდე. კანონი განსაკუთრებით მკაცრი იქნება ისეთი მშენებლების მიმართ, რომლებიც დაუმთავრებელი ან დამთავრებული ობიექტების ტერიტორიას აღუდგენლად მიატოვებენ კანონით დადგენილი უძრავი ძეგლის დაცვის ზონაში. ამ შემთხვევაში, ჯარიმა 10000 ლარია, დაჯარიმებიდან 6 თვის განმავლობაში, ქმედების განმეორების შემთხვევაში, ჯარიმა 30 ათასი ლარი იქნება. თუ მშენებელმა მეორედ დაჯარიმებიდან 6 თვის თავზე კიდევ ერთხელ ჩაიდინა იგივე ქმედება, ჯარიმა 50 ათას ლარამდე გაიზრდება. ნებართვის გარეშე, ობიექტის სტრუქტურულ-ფუნქციური წყობის ან იერსახის შეცვლისათვის, ან ამ სამუშაოების შესრულების ვადის დარღვევისათვის გათვალისწინებულია 200-ლარიანი ჯარიმა. იმ შემთხვევაში, თუ ეს ქმედება ჩადენილია კანონით დადგენილი უძრავი ძეგლის დაცვის ზონაში, ჯარიმა 10000 ლარია; დაჯარიმებიდან 6 თვის განმავლობაში ქმედების განმეორების შემთხვევაში, იგი 30 ათასი ლარამდე გაიზრდება, ხოლო თუ მშენებელმა მეორედ დაჯარიმებიდან 6 თვის შემდეგ კიდევ ერთხელ ჩაიდინა იგივე ქმედება, მას 50 ათას ლარის გადახდა მოუწევს.

24 საათი

წამლები ბუშმა გააძვირა

ვახო ბესელიას ფოტო

ყოფილი ხელისუფლებისგან განსხვავებით, რომელიც მხოლოდ ბიზნესსა და ბიზნესმენთა ჯიბეს "ლობირებდა", ახლებმა "სოციალისტური" მიდგომა აირჩიეს, რაც იმას ნიშნავს, რომ სოციალური ხარჯების დიდი ნაწილის გადახდა თავზე აიღეს. სხვა ქვეყნების მაგალითებით თუ ვიმსჯელებთ, მსგავს შემთხვევებში შეღავათები ბიზნესმენებს არ უწესდებათ. თუმცა, საქართველო ის გამონაკლისი აღმოჩნდა, რომელმაც არც ეს უკანასკნელნი "გაწირა" და, პარალელურად, ახალი, სოციალური ხარჯების გადახდაც ითავა.

თამარ მაისურაძე

ქვეყნის ბიუჯეტის შევსებით მუდამ კმაყოფილი საქართველოს მთავრობა დილემის წინაშე აღმოჩნდა – ბიუჯეტი ისე უნდა შევსებულიყო, რომ შეღავათებიდან დარჩენილი "ვაკუუმიც" შეევსო. ეს "მისია" არაპირველადი მოხმარების საგნებმა იტვირთა. პურის, ჩემი ან თქვენი ხელფასის დაბეგვრას მთავრობამ სიგარეტისა და ალკოჰოლური სასმელების "დაჯარიმება" ამჯობინა. თამბაქოს კოლოფზე დაწერილი გაფრთხილება, რომ მოწევა მავნებელია თქვენი ჯანმრთელობისთვის, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებების შემდეგ ძალზე აქტუალური გახდა. მთავრობამ ამ ფრაზის ზეპირსიტყვიერად შეხსენება დაიწყო, მოსახლეობამ კი სიგარეტის მავნებლობა ყველაზე მეტად საკუთარ ჯიბეზე განიცადა.

თუმცა, იმისთვის, რომ ჯანმრთელი იყო, მხოლოდ სიგარეტსა და ალკოჰოლზე უარის თქმა არ კმარა. ავადმყოფს გამოჯანმრთელებისთვის წამალიც სჭირდება. წამლები კი, ასევე, გაძვირდა – ბოლო დღეებში გავრცელებულმა ინფორმაციამ მოსახლეობა შეაშფოთა. წამალზე ფასის მომატება, ძირითადად, ორი მიზეზით ხდება: ან უცხოური ვალუტის კურსი იცვლება, ან ფარმაცევტული ქარხანა ცვლის მედიკამენტის ფასს.

აქვე გეტყვით, რომ დღეს საქართველოს ფარმაცევტული ბაზრის 96 პროცენტი უკავია იმპორტულ მედიკამენტებს, რომელთა დიდი ნაწილიც დასავლეთ ევროპული კომპანიების მიერაა წარმოებული. დისტრიბუტორები - "ავერსი-ფარმა", PSP და GPC ფარმაცევტული ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილს აკონტროლებენ.

ცნობისთვის, მედიკამენტების დისტრიბუცია და წარმოება დამატებითი ღირებულების გადასახადისგან 1997 წლიდან გათავისუფლდა. ასევე, მნიშვნელოვნად შემცირდა იმპორტირებული პრეპარატებისა და მათი საწარმოო მასალების საბაჟო გადასახადიც. **"ნებისმიერი უცხოური პრეპარატი, რომელიც დსთ-ს ქვეყნებში შემოდის, საქართველოში გაცილებით იაფი ღირს. რამდენიმე ქართული კომპანია სტაბილურად მუშაობს უცხოელ პარტნიორებთან; შედეგად კი, ქვეყანაში მედიკამენტების ფასდაკლებით შემოტანას ვახერხებთ, რაც გასაყიდ ფასზეც აისახება"**, – გვითხრა "ავერსის" პრეზიდენტმა პაატა კურტანიძემ. მისგან ისიც შევიტყვეთ, რომ - **"საქართველოში მოსახლეობის ინტერესი არც ერთ პროდუქტთან მიმართებაში ისე არ არის დაცული, როგორც მედიკამენტებთან"**. "ავერსს" 1500 დასახელების წამალი შემოაქვს. მისი ხელმძღვანელი აცხადებს, რომ მათ მიერ შემოტანილი მედიკამენტები, პრაქტიკულად, არ გაძვირებულა, **"უბრალოდ, ზოგიერთ წამალზე ფასის შეუმჩნეველი ზრდა ევროს კურსის ცვალებადობამ გამოიწვია, რადგან პარტნიორებთან ანგარიშსწორება უცხოური ვალუტით ხდება"**.

იგივეს ამბობს მეორე დისტრიბუტორი კომპანიის PSP-ის ხელმძღვანელი კახა ოქრუაშვილიც. მისგან ისიც შევიტყვეთ, რომ საქართველოში წამლების ფასის დარეგულირება არა საქართველოს მთავრობის ნებაზე, არამედ ამერიკისა და ევროკავშირის ურთიერთობაზეა დამოკიდებული. **"ბუშმა დოლარის გამყარება ისურვა, ევროკავშირმა ხელი შეუწყო ევროს გაიაფებას. ეს გლობალური პროცესია და მედიკამენტებსაც შეეხო. ამდენად, შესაძლოა, რომელიმე დასახელების წამლის ფასი გაიზარდოს, ოღონდ არა კატასტროფულად – მაქსიმუმ, 10-15 პროცენტით"**.

ერთი სიტყვით, საქართველოს ფარმაცევტული ბაზარი მუშაობას კვლავ შეღავათიან რეჟიმში აგრძელებს. საგადასახადო კოდექსში ზემოთ ნახსენებ ცვლილებებს წამლების ფასის ზრდასთან არანაირი კავშირი არ აქვს. პარადოქსია, მაგრამ ჩვენი მოსახლეობის ჯანმრთელობაზე "ზრუნვა" ვაშინგტონისა და ბრიუსელის გადასაწყვეტი ყოფილა. გამოსავალი ადგილობრივი წარმოების განვითარებაა. ბოლო რამდენიმე წელია, ქართველი დისტრიბუტორები იმპორტირებული მედიკამენტების ჩანაცვლებას ადგილობრვი ნაწარმით ცდილობენ. თუმცა, საქართველოში წარმოებული პრეპარტების ოდენობა დღემდე ძალიან უმნიშვნელოა. ამ სეგმენტში ყველაზე მსხვილ მწარმოებელ GMP-ს გასულ წელს ბაზრის 2,5 პროცენტი ეკავა, რაც, დისტრიბუტორების აზრით, კარგი მაჩვენებელია.

ფოტო

გაუკაცრიელებულ პირიქითა ხევსურეთს დავკარგავთ

ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

ვერტმფრენი მთის გადარჩენის ერთადერთი საშუალებაა.

1950-იანი წლების დასაწყისში ხევსურეთის მოსახლეობა, გეგმური გადასახადების საბაბით, ბარის რეგიონებში ჩაასახლეს. ნამდვილი მიზეზი კი ძნელად ასათვისებელი ხრიოკი ადგილების დამუშავება და შრომის რესურსების ეფექტურად გამოყენება იყო. მაშინ მოსახლეობას არავინ ეკითხებოდა, ახალი საცხოვრებელი მოსწონდა თუ არა, ან რით და როგორ იარსებებდნენ კარვების სიდიდის "სახლებში".

ჩასახლების პირველსავე ათასწლეულში უფროსი ასაკის მოსახლეობა მასობრივად გაწყდა. სასწავლებლებს გარეთ დარჩენილი ახალგაზრდობა ქალაქების ქუჩებსა და ბაზრებში გაიფანტა; გაღატაკდა, გალოთდა და გაქურდდა... მოიშალა უნიკალური, საუკუნოვანი წეს-ჩვეულებები. მთის ადამიანმა რაც დადებითი ჰქონდა, დაკარგა, ცუდი, რაც ბარში დახვდა – შეითვისა. გაქრა მეურნეობის, კულტურის, პოეზიის უმდიდრესი, განუმეორებელი მემკვიდრეობა.

ოციოდე წლის შემდეგ ეკონომიკურად და სულიერად განადგურებულმა მოსახლეობის ერთმა ნაწილმა ისევ მთისკენ იბრუნა პირი. იქ კი აღარც სახლ-კარი არსებობდა და არც სხვა უძრავ-მოძრავი ქონება. იალაღზე ამორეკილი ბარის კოლმეურნეობების პირუტყვი პირდაპირ სოფლებში იყო ჩაყენებული. სახნავ-სათესი თუ სათიბ-საძოვარი გაპარტახებული და ტყე-შამბის აღებული დახვდათ. ორ-ორი, სამ-სამი ოჯახი სოფელს ვეღარ ქმნიდა. გაძნელდა ცხოვრების ხელმეორედ დაწყება, შრომის იარაღების, საქონლისა თუ ხალხის გამრავლება.

1980-იან წლებში მთაში უკან დაბრუნების აგიტაცია-პროპაგანდა დაიწყო, ლოზუნგით "მთას დაუბრუნდა მთიელი". როგორც ჩასახლებისას, ისე ამოსახლებისას მიცემული დაპირებები კომუნისტებს დაავიწყდათ და დარჩა ღმერთისა და ბუნების ანაბარად, უპატრონოდ გაპარტახებული ხევსურეთი. ახლა აქ ხალხი ისევ ისე ცხოვრობს (თუ ამას ცხოვრებას დავარქმევთ), როგორც შუა საუკუნეებში. ბევრ სოფელში ჯერ კიდევ არ არის მიყვანილი საავტომობილო გზა. პირიქითა ხევსურთში მარტო სოფელ შატილშია ელექტროენერგია.

ოთხი წელია, შატილის საშუალო სკოლა-ინტერნატის ხის ფინური სახლები დაიწვა. გაკვეთილები საცხოვრებელ ბინებში, ოჯახებში ტარდება. ასეთ პირობებში, ცხადია, სწავლის ხარისხის დონე დაბალია. ახალი სკოლა მომავალ წელს ამოქმედდება, მაგრამ ბავშვების რაოდენობა ყოველწლიურად კლებულობს. ბავშვებიანი ოჯახები ბარში სახლდებიან.

2002 წელს 3 ოჯახი გადასახლდა, 2003 წელს – 6, 2004 წელს – 5; 2005 წელს კიდევ 5 ოჯახია გადასასახლებლად მომზადებული. გაუქმდა სოფლები: არჭილო, ანდაქი, ლებაისკარი, კისტანი, ჭეჭყეთი, გურო, წუქვიო; 3 ოჯახი დარჩა ხახაბოში, 9 - არდოტში, 5 - ხონისჭალაში, 6 - მუცოში, 4 - გიორგიწმინდაში. შედარებით "ყარად", 20-მდე ოჯახი ჯერჯერობით სოფელ შატილშია, უმეტესობა ერთი-ორწევრიანია. დიდხანს ვერც ისინი იქნებიან.

განსაკუთრებით გაუსაძლისი გახდა ცხოვრება ამ ბოლო წლებში. უგზოობა-უტრანსპორტობის გამო მოწყვეტილი ვართ რაიონს, გუბერნიას, დედაქალაქს. ზაფხულში, ივნისის თვეში, იხსნება კავკასიონზე (დათვისჯვარის უღელტეხილზე) სამანქანო გზა, მაგრამ სამგზავრო ავტოტრანსპორტი არ დადის. მოსახლეობა შემთხვევით მიმსვლელ-მომსვლელ მანქანებს მიჰყვებ-მოჰყვება, ან ფეხით დადის 50 კილომეტრზე ბარისახომდე. აი, ზამთარში კი, პირიქითა ხევსურეთი, შატილისა და არხოტის ხეობები, აბოსლუტურად მოკლებულია სხვა სამყაროსთან ურთიერთობას. ოქტომბრის თვიდან მაისის ჩათვლით მთები ჩაკეტილია: "გადასვლა გინდა? ნუ დაიჩემებ, ნუ დაიჩემებ, დაიღუპები"! მოსახლეობა პირუტყვის პირობებში იმყოფება. თუ ავად ვინმე გახდა, უნდა მოკვდეს. მშობიარემ, გინეკოლოგის ზედამხედველობის გარეშე, ველურ პირობებში უნდა იმშობიაროს. არადა, აქ კარგი მოყმეები იზრდებიან. ბევრმა არც იცის, რომ აქედან, არდოტიდან ჩასულები არიან ზურაბ და ჯარჯი ზვიადაურები. ჩვენს პლანეტაზე არ გვეგულება სხვა, პატარა ათკომლიანი სოფელი, მსოფლიოსთვის ერთ წელინადში ორი ოლიმპიური ჩემპიონი რომ მიეცეს.

ამ ჩვენი გაჭირვების შესახებ ხშირად მივმართავთ ზემდგომ ორგანოებს, მაგრამ -უშედეგოდ.

ვითხოვთ, თვეში ორჯერ, თვის 15-20 რიცხვებში, დაგვინიშნონ ვეტმფრენის ოფიციალური რეისი: თბილისი, დუშეთი, შატილი, არხოტი, რათა მოსახლეობა კვირაობით არ ელოდებოდეს, როდის წაიყვანს ეუთო სამადლოდ. ამბობენ, - მალე აღარც ეუთოს მისია იმუშავებსო. სულ საჭირო იქნება ერთ სეზონში 14-15 რეისი. იმედი გვაქვს, ჩვენთვის სასიცოცხლო, და ჩვენი ხელისუფლებისათვის არცთუ ისე ძნელ ამოცანას დადებითად გადაგვიწყვეტენ.

წინა წლის 23 ნოემბერს ტელევიზიამ მთელ საქართველოს აჩვენა, ურეისობის გამო, სახლში მიმავალი 6 ადამიანიდან სოფელ ხახმატთან როგორ დაიღუპა თოვლში ორი ვაჟკაცი. სიძე-ცოლისძმა, ორი მცირეწლოვანი ვაჟის მამა ლევან გოგოჭური და იაგო დაიაური. ნუთუ ეს ზიანი და მწუხარება საკმარისი არ არის, რომ უბედურება აღარ განმეორდეს?!

უცნაური ისიც არის, რომ ზემოთ ჩამოთვლილი მდგომარების დროს 2004 წელს ჩვენი რეისებისთვის გამიზნული, გამოსაყენებელი სახსრებიდან 60 ათასი ლარი, აუთვისებლობის გამო, თურმე ბიუჯეტს უნდა დაუბრუნდეს.

გასული საუკუნის 90-იან წლებში ვეტმფრენები ემსახურებოდა მთათუშეთსა და პირიქითა ხევსურეთს (შატილისა და არხოტის მოსახლეობას). ამიტომ აქაურები არ გამორბოდნენ ბარისკენ. ახლა, როცა ვეტმფრენების რაოდენობა გაიზარდა, რატომ გაუარესდა საზღვრისპირა რეგიონების მცხოვრებთა პირობები? ნუთუ ძნელია იმის მიხვედრა, თუ ვის წისქვილზე ასხამს წყალს საზღვრისპირა სოფლების გაუკაცრიელება! მტრისაგან წართმეულ აფხაზეთსა და სამაჩაბლოს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთიც ჩვენი ხელით დავუმატოთ?! ნუთუ ეს მარტივი პრობლემაც გაერომ, ამერიკამ, ეუთომ და ევროსაბჭომ უნდა გადაგვიწყვიტოს?

ბოლო წლებში გაუარესებულია ჩვენი ქვეყნის მიუდგომელი დასახლებებისადმი ყურადღება. უცხოეთის მთიან სახელმწიფოებში მთის მოსახლეობის ცხოვრების დონე არ ჩამოუვარდება ბარელებისას. ჩვენთან მთაში ცხოვრება ძალიან მძიმეა. გეგონება, აქაურები რაღაც დანაშაულისთვის მთელი სიცოცხლე სასჯელს იხდიდნენ. ეს იმითაა გამოწვეული, რომ მცირემოსახლეობიანი რეგიონებიდან, ამჟამინდელი წეს-კანონებით, კანონმდებელ და მმართველობით ორგანოებში ვერავინ მოხვდება. აშკარაა, ბარელებს მთიელების ჭირ-ვარამი ნაკლებად აინტერესებთ და მოეხსენებათ. ზუგდიდელი ნაკლებად ერკვევა უშგულ-მულახის, ქუთაისელი – ღები-ჭიორას და მცხეთელი – შატილ-არხოტის მცხოვრებთა პრობლემებში. ამიტომ ამ შორეული თემებიდან საკანონმდებლო და სამთავრობო სტრუქტურებში რაიმე სახით წარმომადგენლობა (რწმუნებულება) უნდა არსებობდეს, რომელიც წელიწადში ორ-სამჯერ უტყუარ, საჭირო ინფორმაციას მიაწვდის ცენტრალურ ორგანოებს.

თუ ასე გაგრძელდა, იძულებული ვიქნებით, ჩვენც გადმოვსახლდეთ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რუსების მიერ წართმეულ სოფლებს შატილ-არხოტ-არდოტის უნიკალური ხეობებიც მიემატოს და 90 კვადრატული კილომეტრი პირიქითა ხევსურეთი - მამა-პაპათა სისხლით საუკუნეების მანძილზე დაცული ისტორიული ძეგლები, სამშობლოს მიწა-წყალი სამუდამოდ დავკარგოთ.

თუ საქართველო გვიყვარს, ეს უნდა გვახსოვდეს!

პირიქითა ხევსურეთის მოსახლეობის დავალებით მიხა ჭინჭარაული სოფ.შატილი, დუშეთის რაიონი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განცხადება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო აცხადებს ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების მსურველთა განცხადებების მიღებას.

"ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანასთან დაკავშირებით, ადვოკატთა ასოციაციის შექმნამდე საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების მსურველებმა განცხადებით უნდა მიმართონ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო პირველი ორი ტესტირების ჩატარების შემდეგ, მაგრამ არა უგვიანეს 2005 წლის 1 მარტისა მოიწვევს ადვოკატთა ასოციაციის დამფუძნებელ კრებას. დამფუძნებელ კრებაში მონაწილეობის უფლება აქვს პირს, რომელიც:

- წერილობით გამოთქვამს სურვილს, გაწევრიანდეს ადვოკატთა ასოციაციაში (განცხადება შეივსება ადგილზე);
- აკმაყოფილებს ამ კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს, კერძოდ:

1. ადვოკატი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც:

ა) აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება;

ბ) გავლილი აქვს ადვოკატთა ტესტირება ამ კანონით დადგენილი წესით (გარდა იმ პირისა, რომელსაც ჩაბარებული აქვს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდა);

გ) აქვს იურისტად ან ადვოკატის სტაჟიორად მუშაობის არანაკლებ 1 წლის სტაჟი (ცნობა შრომითი საქმიანობის შესახებ ან შრომის წიგნაკის ამონაწერი ან შრომის წიგნაკის ასლი ბეჭდით დამოწმებული);

2. ადვოკატი არ შეიძლება იყოს განზრახი მძიმე დანაშაულისათვის ნასამართლევი პირი, თუ ნასამართლობა არა აქვს მოხსნილი ან გაქარწყლებული კანონმდებლობით დადგენილი წესით. (ცნობა ნასამართლობის შესახებ)

3. ადვოკატი არ შეიძლება იმავდროულად იყოს "საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული თანამდებობის პირი და სხვა პირი, რომელსაც კანონმდებლობით ეკრძალევა საადვოკატო საქმიანობის განხორციელება.

საბუთები მიიღება 2005 წლის 14 იანვრიდან 31 იანვრის ჩათვლით ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 1000-დან 1600 საათამდე, შესვენება 1300-დან 1400 საათამდე, შემდეგ მისამართზე: საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, ბოჭორმის ქ. N12, პირველი სართული.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონებზე:

27-31-00, 27-31-02, 27-31-03, 27-31-04, 27-31-05, 27-31-06,
27-31-07, 27-31-08, 27-31-09, 27-31-10, 27-31-12

უზენაესმა სასამართლომ პოლიტიკურ შეკვეთაზე აწყობილი საქმე დაარღვია

"ირაკლი კერესელიძის საკასაციო სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, განაჩენი საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება," - ასეთი იყო გუშინ უზენაესი სასამართლოს მოსამართლის დავით სულაქველიძის მიერ გამოტანილი პრეცედენტული განაჩენი. უზენაესმა სასამართლომ განსასჯელ ირაკლი კერესელიძის საქმე წინასწარ ძიებაში დააბრუნა. ეს, ფაქტობრივად, იმას ნიშნავს, რომ უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით, რომლის მიხედვითაც, თბილისის საოლქო სასამართლოს მიერ კერესელიძისთვის გამოტანილი სასჯელი გაუქმდა, განსასჯელი ირაკლი კერესელიძე გამართლდა.

იმას, რომ კერესელიძის გაქცევის მცდელობის შესახებ ორი წლის წინ შექმნილი საქმე მართლაც "შეკერილია", ამას საქმეში არსებული, ხელოვნურად მოპოვებული მასალები ნათლად მოწმობს.

საქმე ისაა, რომ ირაკლი კერესელიძეს, რომელიც 1996 წელს გაასამართლეს და პრეზიდენტ შევარდნაძის მიერ გამოტანილი განაჩენით 20 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, 2002 წელს ახალი ბრალდება წაუყენეს და 2002 წლის 24 ივლისს გლდანი-ნაძალადევის სასამართლომ განსახილველად მიიღო კერესელიძის ახალი საქმე. იგი დადანაშაულებული იყო საპატიმრო დაწესებულებიდან ჯგუფური გაქცევის მცდელობის ორგანიზებაში. 2003 წლის 25 თებერვალს მოსამართლე გაიოზ სინჯიკაშვილმა გამოიტანა ერთობლივი განაჩენი, რომლის მიხედვითაც, ახალი დანაშაულისთვის ირაკლი კერესელიძეს 5 წლით პატიმრობა მიესაჯა, საერთო ჯამში კი, 18 წლით პატიმრობა. გლდანი-ნაძალადევის სასამართლოს განაჩენი კერესელიძემ თბილისის საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატაში გაასაჩივრა და 2004 წლის 23 მარტს, მოსამართლე ნანა გვეტაძემ ირაკლი კერესელიძეს ძირითადი ბრალდება - ჯგუფური გაქცევის ორგანიზების ბრალდება მოუხსნა, დაუტოვა გაქცევის მცდელობის ბრალდება და, საერთო ჯამში, 15 წლით პატიმრობა მიუსაჯა. კერესელიძემ საოლქო სასამართლოს განაჩენი 2004 წლის 4 მაისს უზენაეს სასამართლოში გასაჩივრა და გამამართლებელი განაჩენის გამოტანა მოითხოვა.

"გაქცევა აზრადაც არ მქონია. ეს ყველაფერი ჩემ წინააღმდეგ სპეციალურად მოწყობილი პროვოკაცია იყო. სცენარი ჩემ წინააღმდეგ წინასწარ დაიწერა. ეს იყო პერიოდი, როცა შევარდნაძის ხელისუფლების წარმომადგენელთა საეჭვო საქმიანობა საჯაროდ ვამხილე, რის გამოც, საპატიმროში სერიოზული პრობლემები შემიქმნეს, ამიტომაც, საოლქო სასამართლოს, სადაც საქმე განიხილებოდა, პირველივე სხდომაზე მივმართე ოფიციალური განცხადებით და ბადრაგირებისას, ჩემი უსაფრთხოების ზომების გაძლიერება მოვითხოვე. მეორე ასეთივე მოთხოვნა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობასაც გავუგზავნე, თუმცა, უშედეგოდ. მათ გაქცევის ინსცენირება მოაწყვეს, რათა ჩემ შესახებ შექმნილი კრიმინალის იმიჯი გაემყარებინათ. ეს კი იმას ემსახურებოდა, რომ შევარდნაძის ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის შესახებ ჩემ მიერ გაკეთებული განცხადებები საზოგადოებას არ უნდა დაეჯერებინა. მეტიც, მოდიოდნენ ჩემთან და გათავისუფლებას მპირდებოდნენ, თუ ვიტყოდი, რომ სააკაშვილის შეკვეთით ვმოქმედებდი, ვიდეოკამერაც კი მოიტანეს, რათა მათთვის სასურველი ჩემი ეს განცხადება ჩაეწერათ. რა თქმა უნდა, მათ ამ გარიგებას, რაც რეალობას არ შეეფერებოდა არ დავთანხმდი," - განაცხადა ირაკლი კერესელიძემ.

იმას, რომ კერესელიძის გაქცევის მცდელობის შესახებ ორი წლის წინ შექმნილი საქმე მართლაც "შეკერილია", ამას საქმეში არსებული, ხელოვნურად მოპოვებული მასალები ნათლად მოწმობს. სწორედ ამიტომაც, უზენაესმა სასამართლომ საქმე დაარღვია და იმ გამომძიებლებისა და მოსამართლეების კეთილსინდისიერებისა და პროფესიონალიზმის საკითხიც დასვა, რომლებმაც ორი წლის წინ კერესელიძეს ვერდიქტი უსამართლოდ, პოლიტიკური შეკვეთის საფუძველზე გამოუტანეს.

24 საათი

კახეთში ტრეფიკინგის კიდევ ერთი ფაქტი გამოავლინეს

ბოლო ერთ წლის განმავლობაში, კახელმა სამართალდამცველებმა რეგიონში ტრეფიკინგის არაერთი ფაქტი გამოავლინეს. ამჯერად, ძალოვანი უწყების თანამშრომლებმა აღნიშნულ დანაშაულში სოფელ აკურის მკვიდრი, 50 წლის უმუზახართ ლუიშვილი ამხილეს. მან თავისი თანასოფლელი, 30 წლის ქალბატონი მოტყუებით თურქეთში ჩაიყვანა და "სუტენიორებს" მიჰყიდა.

ზვიად რუაძე
კახეთი

მომხდარის შესახებ თელაველმა სამართალდამცველებმა ბათუმის საქალაქო პროკურატურიდან გადმოგზავნილი მასალების მიხედვით შეიტყვეს. დანაშაულში ეჭვმიტანილი, აკურელი უმუზახართ ლუიშვილის დაკავება თელავის პროკურატურამ გუშინ მოახერხა.

გამოძიების მიერ მოკვლეული მასალებიდან ირკვევა, რომ დანაშაულში ეჭვმიტანილმა ლუიშვილმა, მისი 30 წლის მეზობელი ქალბატონი (დაზარალებულის სახელი გამოძიებამ არ გაამხილა) თურქეთის რესპუბლიკაში მოტყუებით გადაიყვანა. იგი ხელმოკლე მეზობელს უცხო ქვეყანაში მაღალანაზღაურებად სამსახურს დაჰპირდა და გზის ხარჯებიც კი თავად გაიღო. თურქეთში სამუშაოდ ჩასული აკურელი ქალბატონი ბოლოს, "სუტენიორის" ხელში აღმოჩნდა. **"დაზარალებული ქალბატონის ჩვენებიდან გაირკვა, რომ იგი მეზობელს ენდო და გაუგებრობაში ამიტომ აღმოჩნდა,"** - ამბობს თელავის რაიონული პროკურორის თანაშემწე ელისო ტურაშვილი.

მოკვლეული მასალებიდან ისიც ირკვევა, რომ უმუზახართ ლუიშვილმა მეზობელი თურქეთში თავად ჩაიყვანა და სასტუმროშიც კი დააბინავა. დაზარალებულ ქალბატონს გზის ხარჯების გასტუმრება ლუიშვილისთვის, მოლაპარაკების თანახმად, ყოველი თვის ბოლოს უნდა მოეხდინა. თურქეთში წასულმა ქალბატონმა, "სუტენიორის" ხელში რომ აღმოჩნდა, მას შემდეგ გაიგო, როცა მას პასპორტი წაართვეს და პირველი კლიენტიც გამოუჩნდა. თურქეთში რამდენიმე თვის განმავლობაში ასე ცხოვრება მოუხდა. სამშობლოში დაბრუნების დიდი მცდელობის მიუხედავად, მხოლოდ მისი სასტუმროდან სასტუმროში გადაყვანა ხდებოდა, გაქცევები კი ყოველთვის უშედეგოდ მთავრდებოდა. მისი ჩვენებიდან ირკვევა, რომ ლუიშვილი მასზე, ფიზიკურთან ერთად, ფსიქოლოგიურ ტერორსაც აწარმოებდა. **"ლუიშვილი თავის მეზობელს გათავისუფლებას იმ შემთხვევაში დაჰპირდა, თუ ის ვალს - გზის ხარჯებს გაისტუმრებდა. რეალურად კი, ლუიშვილი ამ ქალბატონით თურქეთში ბიზნესს აწარმოებდა,"** - აცხადებს პროკურორის თანაშემწე.

დაზარალებულის მშველელი სასტუმროს დირექტორი აღმოჩნდა. დაზარალებული ქალბატონის სამშობლოში გადმოყვანაზე კი თურქეთის პოლიციამ და საქართველოს სასაზღვრო დეპარტამენტმა იზრუნა. თურქმა ძალოვნებმა მოკვლეული მასალები ბათუმის საქალაქო პროკურატურას გადასცეს.

დანაშაულში მხილებული უმუზახართ ლუიშვილი წაყენებულ ბრალდებას უსაფუძვლოს უწოდებს. თელავის რაიონულმა სასამართლომ ლუიშვილს უკვე წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა. მის მიმართ საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 143 პრიმა მუხლის II ნაწილის ე პუნქტით აღიძრა. ძიებას კი კვლავ თელავის რაიონული პროკურატურა აწარმოებს.

აკაკი ელიავა რეაბილიტირებულია, მისი ლიკვიდირების შემკვეთი - უცნობი

90-იანი წლების ბოლოს სამხედრო გადატრიალების მცდელობად შეფასებული ქმედების მოთავე - აკაკი ელიავა რეაბილიტირებულია. ახლა უკვე სიტყვა საგამოძიებო ორგანოებს ეკუთვნის, რომლებსაც, წესით, უკვე დაწყებული უნდა ჰქონდეთ გამოძიება პოლკოვნიკ აკაკი ელიავასა და მისი მეგობრის გოჩა გვილავას ლიკვიდაციის ფაქტზე.

დასავლეთ საქართველოდან თბილისისკენ დაძრული შეიარაღებული სამხედროების სათავეში მყოფ, თავის დროზე ზვიად გამსახურდიას აქტიურ მომხრედ ცნობილ აკაკი ელიავას, როგორც ცნობილია, იმჟამინდელმა ხელისუფლებამ ეს ქმედება შეუნდო. თუმცა, თავად ელიავა ხელისუფლების სიტყვას ნაკლებად ენდო და თავს, თანამოაზრეებთან ერთად, ტყეს აფარებდა. სამხედრო გადატრიალებად მონათლული შეიარაღებული მსვლელობიდან ორი წლის შემდეგ კი, ხელისუფლებისგან შეწყალებული აკაკი ელიავას ლიკვიდირება იმთავითვე იქცა ეჭვების საფუძვლად. ეს ეჭვები არც მას შემდეგ გაქარწყლებულა, რაც ქუთაისის საოლქო სასამართლომ აკაკი ელიავასთვის წარდგენილი არაერთი ბრალდება გააუქმა და მისი ლიკვიდაციის საქმის გამოძიება პროკურატურას დაავალა. არადა, თვით ქუთაისის საოლქო სასამართლოში მიმდინარე, აკაკი ელიავასა და მასთან ერთად დაღუპული გოჩა გვილავას რეაბილიტაციის პროცესზე მათ ლიკვიდაციასთან დაკავშირებით დაკითხულებმა, იმერეთის პოლიციის მაშინდელმა უფროსმა რუბენ ასანიძემ და უშიშროების სამინისტროს მაშინდელმა მაღალჩინოსანმა ლევან კენჭაძემ, რომლებიც ელიავასა და გვილავას ლიკვიდაციის დროს შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდნენ, ბევრი რამ თქვეს საგულისხმო. მათ ჩვენებებში გაიჟღერა კახა თარგამაძის, ჯამლეთ ბაბილაშვილისა და ვახტანგ ქუთათელაძის გვარებმაც. სხვათა შორის, აკაკი ელიავას ოჯახის წევრები მის ლიკვიდაციას სწორედ ყოფილ შინაგან და უშიშროების საქმეთა მინისტრებსა და ყოფილ გენერალურ პროკურორს უკავშირებენ.

როგორც ცნობილია, აკაკი ელიავას და გოჩა გვილავას ქუთაისის საოლქო სასამართლომ უმძიმესი ბრალდებები - მკვლელობის მცდელობა, შეიარაღებული ფორმირებების შექმნა, ტერაქტის მოწყობის მცდელობა, მძევლად აყვანა, ამბოხების მოწყობის მცდელობა და სხვა მოუხსნა, თუმცა თითო-თითო ბრალდება დაუტოვა: ელიავას პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევა დაედო ბრალად, გვილავას კი - ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარება. ეს გადაწყვეტილება დაცვის მხარემ გაასაჩივრა და გუშინ საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატის გადაწყვეტილებით, ეროვნული გვარდიის ყოფილი პოლკოვნიკის აკაკი ელიავას სრული რეაბილიტაცია განხორციელდა. სასამართლომ მას უკანასკნელი ბრალდება - პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევა მოუხსნა. თუმცა, დღევანდელი გადაწყვეტილებითვე, სასამართლომ გვარდიის კიდევ ერთ წევრს, ელიავასთან ერთად ლიკვიდირებულ გოჩა გვილავას ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარების ბრალდება ძალაში დაუტოვა. დღევანდელი გადაწყვეტილება საბოლოოა და აღარ გასაჩივრდება.

აქედან გამომდინარე, ახლა აქცენტი გადატანილია ლიკვიდაციის საქმეზე. აკაკი ელიავას ადვოკატის ეკა ბესელიას თქმით, მთავარია, გამოძიებამ დაადგინოს, ვინ გასცა გვილავას და ელიავას დახვრეტის ბრძანება, თორემ ის, რომ ელიავა და გვილავა დახვრიტეს და არა მძევლების გათავისუფლების სპეცოპერაციის დროს შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევის გამო დახოცეს, ამაში უკვე ეჭვიც აღარ არის შესატანი - ორივე მათგანის სხეულზე ჩატარებული ექსპერტიზა მოწმობს, რომ მათ მიჯრით ესროლეს.

ალბათ, გამოძიება ამ კითხვას პასუხს გასცემს - ბრძანების გამცემი ამ შემთხვევაში, შემსრულებლად უფრო მოიაზრება. სამაგიეროდ, საეჭვოა, ნათელი მოეფინოს სხვა ფაქტებს, კერძოდ, იმას, თუ ვინ იყო დამკვეთი, ანუ ვის ინტერესებში შედიოდა აკაკი ელიავას სიკვდილი. სავარაუდოდ, ეს იგივე ძალა უნდა იყოს, ვინც ელიავას მიერ წამოწყებული სამხედრო აჯანყების მცდელობის უკან იდგა.

24 საათი

ორი სიტყვით

თბილისი. შიდა ქართლის ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა გუშინ ფრონეს ხეობაში დიდი რაოდენობით კონტრაბანდული სიგარეტი დაიკავეს. როგორც ფინანსურ პოლიციაში აცხადებენ, 50 ათასი კოლოფი რუსული წარმოებს უაქციზო კონტრაბანდული სიგარეტი "ზილის" მარკის სამხედრო ავტომანქანით მის მფლობელებს ცხინვალიდან ფრონეს ხეობის გავლით შემოჰქონდათ. ჩატარებული სპეცოპერაციისას, რომელშიც ფინანსური პოლიციის სპეცდანიშნულების რაზმიც მონაწილეობდა, ტვირთის გამცილებლებმა მიმალვა შეძლეს. დაკავებულია ავტომანქანის მძღოლი ელდარ ღვინიაშვილი. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

ქუთაისი. იმერეთის სამხარეო პოლიციის უფროსი გია კაჭარავა ქუთაისში მოქმედი საპატრულო პოლიციის მუშაობას დადებითად აფასებს და აცხადებს, რომ პატრულის გამოჩენის შემდეგ ქალაქმა შვება იგრძნო. "ქუჩებში ღამით სიარულის აღარავის ეშინია. იკლო წვრილმანმა დანაშაულებმა. უმოკლეს დროში საპატრულო პოლიციელებმა სამი დაჯგუფების აყვანა შეძლეს, რომლებიც, ძირითადად, მანქანის გატაცებაზე მუშაობდნენ. სამივე ჯგუფი პატრულმა ფაქტზე დაიკავა," - განაცხადა კაჭარავამ.

ქუთაისში საპატრულო პოლიცია გასული წლის 25 დეკემბერს ამოქმედდა. დღეისათვის ქალაქში 110 საპატრულო პოლიციელი მუშაობს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. სისხლის სამართლის სამძებროს სამმართველოში არსებული ოპერატიული მასალების საფუძველზე, შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის მე-3 სამმართველოსა და მთაწმინდა-კრწანისის შს სამმართველოს მე-2 განყოფილების თანამშრომლებმა დაიკავეს გარდაბნის რაიონის სოფელ ფონიჭალაში მცხოვრები, ნასამართლევი ადალად ახმედოვი, მეტსახელად "ტოლიკა", რომლისგანაც ამოიღეს 5 ე.წ. "ბაშად" დაფასოებული 0,3 გრამი ჰეროინი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისის ისან-სამგორის შს სამმართველოს მე-5 განყოფილებისა და საპატრულო პოლიციის სამმართველოს თანამშრომლებმა დანაშაულის ჩადენისას დაიკავეს არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფნი, ნასამართლევი მერაბ მთიულიშვილი და გოგიტა კენიაშვილი, რომლებმაც მოსკოვის გამზირზე, კერძო ტაქსის მძღოლს გიორგი ბარბაქაძეს დანის მუქარით გასტაცეს ავტომანქანა "გაზ"-24. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. 16 წლის ოთარ ჯავახიშვილი შიდა ქართლის პოლიციის თანამშრომლებმა ავტომანქანა "ვაზ-2106" მარკის გატაცების ფაქტზე დაიკავეს. ჯავახიშვილს თან ახლდნენ თანამზრახველები, რომლებიც დაკავებისას მიიმალნენ. ავტომობილის მფლობელის ვინაობა, ჯერჯერობით, დაუდგენელია. **მედია-ნიუსი**

უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ა ნ კ ე ტ ა

სახელი, გვარი.....

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი.....

საკონტაქტო ტელეფონი.....

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ძალაძ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" შენობის ხლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

მაგისტრალური გაზსადენების პრივატიზაცია - პრობლემები და დასკვნები

პირველი გვერდიდან

ასეთი სიტუაციის განმაპირობებელი, გარკვეულწილად, საქართველოს მთავრობის არათანმიმდევრული პოლიტიკაცაა, რაც პირველ ყოვლისა, ამ დარგში სტრატეგიული პარტნიორის შერჩევის ჯერ კიდევ დაუსრულებელ, ან მსხვილი ობიექტების პრივატიზაციის მცდელობის წარუმატებელ პროცესებშიც აისახა.

ქვეყნის პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, რაც საქართველოს ევროპულ სტრუქტურებსა და NATO-ში სრულ ინტეგრაციას გულისხმობს, ძალისხმევა იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ სამომავლოდ გამოირიცხოს მოვლენათა ისეთი განვითარება, რაც დაბრკოლებას შეუქმნის ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი სტრატეგიული პარტნიორებისათვის პრიორიტეტული - აღმოსავლეთ-დასავლეთის ერთიანი ენერგეტიკული კორიდორის ჩამოყალიბება-განვითარებას.

ბუნებრივი გაზის მოწოდება - დღეისათვის საქართველოს შიგა ბაზარი, პრაქტიკულად, მონოპოლიზებულია უცხოური კომპანიების მიერ. სამრეწველო მომხმარებლები და გამანაწილებელი კომპანიები გაზით, ძირითადად, "გაზპრომის" შვილობილი "გაზექსპორტიდან", ან "იტერა"-დან მარაგდებიან. სავარაუდოა, რომ მომავალშიც, რუსეთის სატრანსპორტო სისტემებით განხორციელებული, მთელი გაზის მოწოდება "გაზპრომის" ან მისი აფილიანტების მიერ იქნება უზრუნველყოფილი.

ასეთი სიტუაცია განპირობებულია იმით, რომ ქვეყანაში შემომავალ, აქამდე ერთადერთ მუშაუნარიან, ჩრდილოეთ-სამხრეთ კავკასიის მაგისტრალური გაზსადენს, აგრეთვე, გაზის ძირითად მსხვილ მომხმარებლებს (გარდაბნის თბოელექტროსადგურის ძირითადი ბლოკები, თბილსრესი, რუსთავის აზოტი, ქუთაისგაზი, რუსთავგაზი, კასპიგაზი და ა.შ.) ფლობენ "გაზპრომი", "იტერა", "რაო ეესი".

ამ პირობებში ქვეყნისათვის გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს "გაზპრომთან" ჯანსაღი, პარტნიორული ურთიერთობის დარეგულირების საკითხი. **სამწუხაროდ, საქართველოს მხარე აქამდე, როგორც წესი, სასურველი და ორმხრივ სასარგებლო ურთიერთობების ნაცვლად, გაუმართლებელ ცალმხრივ კომპრომისზე დაფუძნებულ შეთანხმებებს აღწევდა, რაც მხოლოდ დროებითი შეღავათის ეფექტზე იყო გათვლილი.** ამის ნათელი მაგალითია საქართველოს მთავრობასა და "გაზპრომს" შორის 2003 წლის ივლისის შეთანხმება, რომელიც პრაქტიკულად, პოლიტიკურ დოკუმენტს წარმოადგენს. იგი საქართველოსათვის განსაკუთრებული კომერციული უპირატესობების მიღების შესაძლებლობას არ იძლევა. დაპირება გაზის საბითუმო ფასის შემცირების შესახებ კი, როგორც მოსალოდნელი იყო, არ გამართლდა. უფრო მეტიც, გარდა ამისა, როგორც "გაზექსპორტის" გენერალური დირექტორის თბილისში სამუშაო ვიზიტის დროს აღინიშნა, რუსული მხარე პერსპექტივაში დსთ-ს სხვა ქვეყნების მსგავსად გეგმავს სამხრეთ კავკასიაში ფასების დარეგულირებას, რაც მის ზრდას გულისხმობს. რაც მთავარია, შეთანხმების მოქმედების ვადა და არეალი ფარავს ჩვენ მიერ ხელმოწერილ სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებს, მათ შორის, ჩვენს აღიარებულ სტრატეგიულ პარტნიორებთან.

მაგისტრალური მილსადენები, მათ შორის ამჟამად მოქმედი ძირითადი სატრანზიტო ჩრდილოეთ-სამხრეთ კავკასიის მაგისტრალური გაზსადენი, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიერ მართვისათვის გადაცემული აქვს გაზის საერთაშორისო კორპორაციას. ამ გაზსადენებით ხორციელდება ქვეყნის ძირითადი გაზმომარაგება, აგრეთვე, რუსული გაზის ტრანზიტი სომხეთის მიმართულებით.

ხელისუფლების უდავო წარმატებად უნდა ჩაითვალოს აზერბაიჯან-საქართველოს დამაკავშირებელი გაზსადენის აღდგენა, რაც შესაძლებლობას იძლევა, კრიტიკულ სიტუაციაში გაზის მიღება აზერბაიჯანიდანაც განხორციელდეს.

პრესაში გამოითქვა ვარაუდი, რომ ამ მილსადენებით "გაზპრომიც" არის დაინტერესებული. თუმცა, ამ პროექტის რეალიზაციის ალბათობა ნაკლებსავარაუდოა, რადგან აზერბაიჯანი არ შეიძლება დაინტერესებული იყოს რუსული გაზის ტრანზიტით მიღებაზე, რაც გარკვეულწილად მის გაძვირებას გამოიწვევს. მაშინ, როდესაც საკუთარი ინფრასტრუქტურაც უზრუნველყოფს ქვეყნის გამართულ გაზმომარაგებას. გარდა ამისა, 2006 წელს შაჰდენიზის პროექტის პირველი რიგის სამუშაოთა დასრულების შემდეგ, აზერბაიჯანის მოთხოვნილება მთლიანად საკუთარი გაზით შეიძლება დაკმაყოფილდეს. შესაბამისად, გრძელვადიანი პერიოდისათვის საქართველოს მილსადენების გამოყენება აზერბაიჯანში რუსეთიდან გაზის მიწოდებისათვის მით უფრო უპერსპექტივოდ გამოიყურება.

ასევე რეალობისგან შორსაა ქვეყნის ენერგეტიკის მესვეურთა მიერ ადრე გახმაურებული ვარაუდი იმის შესახებ, თითქოს შესაძლებელია უკვე 2005 წლის იანვარ-თებერვალში გაზის მიღება ირანიდან. სპეციალისტების შეფასებით, ირან-აზერბაიჯან-საქართველოს გაზსადენის სამხრეთი მონაკვეთი, რომელიც აგრესიული წყლით იყო დატბორილი, ძლიერ კოროზირებულია და აღდგენას აღარ ექვემდებარება. მილსადენის ამ მონაკვეთის გამოცვლას, დაზიანებული უბნების აღდგენასა და სისტემის ხელახალ ამოქმედებას მნიშვნელოვანი ინვესტიციები და, მინიმუმ, 2-3 წელიწადი მაინც დასჭირდება.

2007 წელს არის დაგეგმილი, აგრეთვე, ირან-სომხეთის გაზსადენის ექსპლუატაციის დაწყება, რის შემდეგ ადრე დაგეგმილი სატრანზიტო ნაკადი საქართველოს ტერიტორიის გავლით მნიშვნელოვნად შემცირდება, თუმცა დღევანდელ დონეზე უფრო ნაკლები მაინც არ გახდება. სამწუხაროდ, რეალური დაინტერესება, ჯერჯერობით, არ გამოუხატავთ არც ევროკავშირსა და არც მსხვილ საერთაშორისო საფინანსო საგენტოებს ირანი – სომხეთი – საქართველო - უკრაინა - ევროპის გაზსადენის მშენებლობის 5 მილიარდიანი პროექტის მიმართ, რომელიც ირანის გაზის სომხეთის გავლით საქართველოს, შემდეგ კი შავი ზღვის გავლით უკრაინისა და ევროპის მომარაგებისათვის გამოყენებული შეიძლებოდა ყოფილიყო. პროექტი ნაკლებად აქტუალური გახდა "გაზპრომის" მხრივ უკრაინასთან და სხვა სატრანზიტო ქვეყნებთან ურთიერთობების გარკვეულწილად დარეგულირების შემდეგ (მიღწეულია შეთანხმება რუსეთის მიერ უკრაინული მიწისქვეშა გაზსაცავების ინტენსიური გამოყენების შესახებ), რაც ახალი საექსპორტო მილსადენების მშენებლობის საჭიროებას მნიშვნელოვნად ამცირებს.

გარდა ამისა, **ახალ სიტუაციაში, როცა ირანმა და რუსეთმა უკვე აამოქმედეს დამოუკიდებელი მარშრუტები (ირან-თურქეთისა და "ცისფერი ნაკადის" მაგისტრალები, შესაბამისად) თურქეთისა და შემდგომ ევროპულ ბაზარზე გაზის მიწოდებისათვის, საერთოდ არარეალური გახდა საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი ჩრდილოეთ-სამხრეთის (ან პირიქით) ენერგეტიკული კორიდორის მშენებლობის შესაძლებლობა, ყოველ შემთხვევაში, უახლოესი 10-15 წლის განმავლობაში მაინც.**

მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანიდან და ირანიდან გაზის მოწოდების აღნიშნული პროექტები, კომერციული თვალსაზრისით, შეიძლება ნაკლებ კონკურენტუნარიანი აღმოჩნდეს, მათი რეალიზაცია საშუალებას იძლევა, მოხდეს გაზმომარაგების დივერსიფიკაცია და მნიშვნელოვნად ამაღლდეს სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყნის ენერგოუსაფრთხოება, განსაკუთრებით საგანგებო, ფორს-მაჟორულ სიტუაციებში, როცა გაზის ტრადიციული მომწოდებლები საკონტრაქტო პირობების შესრულებას ვერ, ან არ უზრუნველყოფენ.

2006 წლისათვის არის დაგეგმილი ამჟამად მშენებარე ბაქო-თბილისი-ერზრუმის სამხრეთ-კავკასიური მაგისტრალური გაზსადენის ამოქმედება, რომელიც გათვალისწინებულია აზერბაიჯანის შაჰ-დენიზისა და, სავარაუდოდ, კასპიის სხვა საბადოთა გაზის ტრანსპორტირებისათვის თურქთსა და ევროპაში. უკანასკნელ ხანს გავრცელებული აბსოლუტურად არაობიექტური პესიმიზმის საწინააღმდეგოდ, ამ მილსადენის ამოქმედება, ადგილობრივი ინფრასტრუქტურისა და საკანონმდებლო ბაზის შესაბამისი მზაობის შემთხვევაში, ძირეულად შეცვლის სიტუაციას რეგიონულ ბაზარზე.

მაგისტრალური მილსადენების მფლობელის უფლებამოსილება და ვალდებულებები, საერთაშორისო პრაქტიკაში, ძირითადად, ეფუძნება თავისუფალ გამტარუნარიანობაზე თანაბარუფლებიანი დაშვების პრინციპს. თუმცა, ასეთი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მფლობელს მილსადენის დაუტვირთავი სიმძლავრეები გამოუჩნდება. ამ ფაქტორს განმსაზღვრელი როლი უნდა მიენიჭოს საქართველოს მაგისტრალური მილსადენების შესაძლო პრივატიზაციის საკითხის განხილვის დროს, რადგან მომავალი მფლობელი, თუკი იგი გაზის მწარმოებელიცაა და დისტრიბუტორიც, ბუნებრივია, ეცდება მაქსიმალურად დაიცვას საკუთარი ინტერესები, სხვა პოტენციური მომწოდებლების შეზღუდვის ხარჯზე. კონკრეტულად, თუ საქართველოს მაგისტრალური გაზსადენები "გაზპრომის" ზეგავლენის სფეროში მოხვდება, მაშინ გაზმომარაგების სხვა წყაროებიდან (მაგალითად, აზერბაიჯანიდან ან ირანიდან) გაზის იმპორტის შესაძლებლობა საერთოდ სათუო ხდება. ეჭვს გარეშეა რუსული კომპანიები, რომლებიც, ფაქტობრივად, გაზის განაწილების ძირითადი სეგმენტის მფლობელებიც არიან საქართველოში, ყოველმხრივ შეზღუდავენ ბაზარზე ნებისმიერი სხვა ეკონომიკური სუბიექტის აქტივობას. კიდევ უფრო შემაშფოთებელია ასეთ შემთხვევაში ადგილობრივ მოპოვებული, ან ტრანზიტის საფასურად მიღებული (პირობითად, "საკუთართან" გათანაბრებული) გაზის ბედი საქართველოში. გამორიცხული არ არის, ქვეყანა ამ უკანასკნელის რეექსპორტის აუცილებლობის წინაშე დადგეს, რადგან ადგილობრივი ბაზრის ყველა სექტორი (მოწოდება, ტრანსპორტირება, განაწილება), ფაქტობრივად, უცხოური კომპანიის მიერ იქნება მონოპოლიზებული.

მაგისტრალური მილსადენების გამოყენების საკითხი, ყველა პოტენციურ მომწოდებელთან და აგრეთვე, ქვეყნის შიგა მომხმარებლებისათვის, საჭიროა ისეთი საკანონმდებლო ინიციატივების საფუძველზე დარეგულირდეს, რომელიც ამ პროცესზე გაავრცელებს საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებულ წესებს. ასეთ შემთხვევაში ჩამოყალიბდება წინაპირობები გაზის ნებისმიერი პოტენციური მომწოდებლისათვის იდენტური კონკურენტული გარემოს შესაქმნელად. საქართველოს კუთვნილ და საქართველოს ტერიტორიაზე შემომავალ მაგისტრალურ მილსადენებზე თანაბარუფლებიანი დაშვების პრინციპის გავრცელების შემთხვევაში, დღევანდელ პირობებშიც კი იქმნება მოწოდების (მომწოდებლის) დივერსიფიკაციისა და ქვეყნის ერთადერთ, ფაქტიურ მონოპოლისტ მომწოდებელზე, ცალსახა დამოკიდებულების ნაწილობრივი განეიტრალების შესაძლებლობა, რომლის ქმედებებიც შეიძლება ყოველთვის არ იყოს ჯანსაღი კომერციული ურთიერთობებით ნაკარნახევი. შედეგად, მნიშვნელოვნად შეიძლება გაიზარდოს გაზის მოწოდების უსაფრთხოება. გარდა ამისა, კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბების შემთხვევაში, რის ტექნიკური შესაძლებლობაც არსებობს ან, პრაქტიკულად, მიღწევადია (უცხოელი ექსპერტების შეფასებით, 40 მილიონი დოლარის ღირებულების გადაუდებელ აღდგენით სამუშაოთა შესრულებისა და გაზის მოწოდების პოლიტიკის განმსაზღვრელის ზეგავლენისაგან მილსადენების ექსპლუატაციის საკითხების გამოთავისუფლების შემთხვევაში), მნიშვნელოვნად შემცირდება იმპორტული გაზის ღირებულებაც.

შესაბამისად, ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების თვალსაზრისით, აბსოლუტურად მიუღებელია გაზის მომწოდებლისა და სატრანსპორტო სისტემის ოპერატორის ფუნქციების, და უფრო მეტიც, სადისტრიბუციო ქსელების გადაცემა ერთი კომპანიისათვის (მათ შორის "გაზპრომისათვის"). ეს, პრაქტიკულად, ენერგეტიკულ სექტორში მიმდინარე რეფორმის სტრატეგიიდან გადახვევას ნიშნავს, რაც მმართველობის დეცენტრალიზაციასა და დამოუკიდებელი მომწოდებელი, სატრანსპორტო და გამანაწილებელი კომპანიების კომერციალიზაციას გულისხმობს, კონკურენტული საბაზრო ურთიერთობების პირობებში.

გაზის განაწილების სექტორის დაახლოებით 60-პროცენტიანი სეგმენტის მართვას 2002-2003 წლებში უცხოური კომპანიები უშუალოდ, ან შვილობილი კომპანიების მეშვეობით ახორციელებდნენ. უმსხვილესი ადგილობრივი მომხმარებელი სს "თბილგაზი" დაახლოებით 30-33 პროცენტ გაზს მოიხმარდა, ყველა დანარჩენი დამოუკიდებელი ქართული გამანაწილებელი კომპანია კი - ჯამური მოხმარების 10 პროცენტზე ნაკლებს.

გაზის განაწილების სექტორის ლიბერალიზაციისა და მაქსიმალური დემონოპოლიზაციის, ან თუნდაც არსებული სიტუაციის სტაბილიზაციის მიზნით, აუცილებელია დამოუკიდებელი დისტრიბუტორი კომპანიების განვითარების მაქსიმალური ხელშეწყობა და "თბილგაზის" მწარმოებელი ან (და) მომწოდებელი, ან პოლიტიკის განმსაზღვრელი კომპანიებისათვის გადაცემის შეზღუდვა. ასეთ შემთხვევაში მომწოდებელ-დისტრიბუტორის (და შესაძლოა, ტრანსპორტირების განმახორციელებელის) მონოპოლისტური ქმედებების შეზღუდვასთან ერთად, შენარჩუნებულ იქნება ჯერ კიდევ არსებული საბაზრო ნიშა (მოხმარების დაახლოებით 1/3) სამხრეთ-კავკასიური გაზსადენით მოწოდებული ან ადგილობრივ საბადოებზე მოპოვებული გაზისათვის.

რამდენიმე წლის წინ, როცა განზრახული იყო "თბილგაზის" პრივატიზაცია, სპეციალისტების რჩევითა და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, შეიზღუდა მომწოდებელი კომპანიის მონაწილეობა კონკურსში. თუმცა, მაშინ მთავრობა საბოლოოდ გაუმართლებელ დათმობაზე წავიდა და პრეზიდენტის მითითებით ეს შეზღუდვა ამოღებულ იქნა საბჭედერო პირობებიდან. საერთაშორისო პრაქტიკაში რეკომენდებული ანალოგიური შეზღუდვები, თავისუფალი საბაზრო ურთიერთობებისა და ჯანსაღი კონკურენციის ჩამოყალიბების აუცილებელ წინაპირობად არის მიჩნეული. მაგალითად, NATO-ს პერსპექტიული კვლევების საერთაშორისო სამეცნიერო სემინარის რეკომენდაციით, ენერგეტიკული უსაფრთხოების სტრატეგიის ერთ-ერთი დებულების თანახმად, "გაზის გაყიდვა გაზის წარმოება/მიწოდებისაგან უნდა გამოცალკევდეს და დამოუკიდებელი კომპანიების მეშვეობით განხორციელდეს."

ყურადღებას იმსახურებს "თბილგაზის" ინიციატივა ქალაქის გაზის გამანაწილებელი სისტემის ჩიხური უბნების დამოუკიდებელი დისტრიბუტორებისათვის გადაცემის თაობაზე. ასეთი სქემის რეალიზაცია მნიშვნელოვნად ამაღლებს მოხმარებული გაზის საფასურის ამოღების მაჩვენებელს, და რაც მთავარია, ხელს უწყობს კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებას. ზოგიერთი აუცილებელი იურიდიული და ტექნიკური საკითხის გადაწყვეტის შემდეგ, რაც ძირითადად, "თბილგაზსა" და წვრილ დისტრიბუტორებს შორის უფლება-მოვალეობათა გამიჯვნას ითვალისწინებს (მათ შორის, სისტემის აღდგენა-განვითარების ფინანსურ და ტექნიკურ საკითხებზე პასუხისმგებლობის განსაზღვრას), ასეთი სქემა შეიძლება რეკომენდებული იქნეს ფართო დანერგვისათვის.

მიზანშეწონილი შეიძლება აღმოჩნდეს "თბილგაზის" (აგრეთვე, გაზის სექტორის სხვა მნიშვნელოვანი ობიექტების) პრივატიზაციის განხორციელება აქციათა ნაწილის გაყიდვით ძირითადი ინვესტორზე, ნაწილის კი - საფონდო ბირჟის მეშვეობით, რათა ადგილობრივ კომპანიებსა და მოსახლეობას საშუალება მიეცეს, მონაწილეობა მიიღოს ქვეყნისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის გაზის სექტორის პრივატიზაციისა და მართვის პროცესში.

გაზის ფასი საქართველოში, ბოლო მომხმარებლისათვის, დაახლოებით უტოლდება აღმოსავლეთ ევროპის გარდამავალი ეკონომიკის გაზის იმპორტიორი ქვეყნების ფასებს და, პრაქტიკულად, ყველაზე მაღალია დსთ-ს სივრცეში. ეს განპირობებულია როგორც რუსეთიდან მიღებული გაზის მაღალი საბითუმო ფასით დსთ-ს სხვა ქვეყნებთან შედარებით, ისე სატრანსპორტო და გამანაწილებელი ქსელების გაუმართაობითა და ძალიან მაღალი ტექნიკური და კომერციული დანაკარგებით. ქსელების თანამედროვე ტექნოლოგიებით აღდგენისა და აღრიცხვიანობის მოწესრიგების შემთხვევაში იქმნება შესაძლებლობა, დაახლოებით 20-40 პროცენტით შემცირდეს საექსპლუატაციო დანახარჯები, რაც გაზის საცალო ტარიფის მნიშვნელოვან შემცირებას გამოიწვევს.

გაზის საბითუმო ფასის სიმცირე ევროპასთან შედარებით ამჟამად, და ამ ტენდენციის მომავალში შენარჩუნების გარდაუვალობა კი, ერთი-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რაც აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული საერთაშორისო გარიგებებისა და გრძელვადიანი კონტრაქტების მომზადების დროს.

ცნობილია, რომ ნავთობისაგან განსხვავებით, ბუნებრივი გაზი ტრანსპორტირების, შენახვისა და მოხმარებისათვის სპეციალურად მასზე მორგებული ინფრასტრუქტურის არსებობას მოითხოვს და მისი ღირებულების ფორმირებაში ეს ფაქტორი მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ამიტომ, გაზის საერთაშორისო ფასებით აპელირება, რასაც ხშირად მიმართავენ ჩვენი პარტნიორი კომპანიები, და მტკიცება, რომ საქართველოს გაზს ევროპასთან შედარებით ნაკლებ მომგებიან ფასში აწვდიან, მთლად მართებული არ არის. გაზი საქართველოს (და სხვა მეზობელ ქვეყნებს) სწორედ იმიტომ მიეწოდება შედარებით იაფად, რომ რუსეთთან გეოგრაფიული სიახლოვის გამო, გაზის ტრანსპორტირება, სატრანზიტო ქვეყნების გავლისათვის სავალდებულო გადასახადის ჩათვლით, ამ ქვეყნებისათვის გაცილებით იაფი ჯდება, ვიდრე, მაგალითად, დასავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის. ასე რომ ევროპელი მომხმარებლის მიერ გადახდილი, ზოგჯერ გაორმაგებული ფასის მიუხედავად, მიმწოდებელი, როგორც წესი, უფრო მეტ ხვედრით შემოსავალს მეზობელ ქვეყნებში გაზის გასაღებით იღებს.

მარტივი გათვლებით შეიძლება დამტკიცდეს, რომ, მაგალითად, დასავლეთ ევროპაში გაზის 105$/1000მ3 (მიმდინარე პერიოდის გასაშუალებული საბითუმო ფასი ევროპაში) ღირებულებით მიწოდებისას რუსეთი უფრო ნაკლებ პირდაპირ შემოსავალს იღებს, ვიდრე საქართველოსთვის გაზის 60$/1000მ3 ღირებულებით მიწოდების დროს, რადგან ევროპაში მისაწოდებლად გაზმა უნდა გაიაროს დაახლოებით 2500-3000 კმ მანძილი, მინიმუმ, 2 ან 3 სატრანზიტო ქვეყნის ტერიტორიაზე და შესაბამისი სატრანზიტო და საექსპლუტაციო დანახარჯები დაფაროს.

შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ რეალიზებული იქნება გაზსადენების მშენებლობა-რეაბილიტაციის დაგეგმილი პროექტები, ამასთან ერთად, თუ რეგიონულ, აგრეთვე რეგიონის მომმარაგებელ სისტემებზე გავრცელდება საერთაშორისო კანონმდებლობა, რაც ენერგეტიკული ბაზრის ლიბერალიზაციასა და სამხრეთ კავკასიის დივერსიფიცირებულ მომარაგებას რამდენიმე სხვადასხვა წყაროდან (რუსეთი, ცენტრალური აზია, ირანი, ადგილობრივი საბადოები) უზრუნველყოფს, უახლოეს 5-10 წლის განმავლობაში გაზის ფასმა (65-70)$/1000მ3-ს არ უნდა გადააჭარბოს.

საქართველოს საშუალება ეძლევა, 2006 წლიდან მიიღოს ტრანზიტის საფასური გაზი სამხრეთ კავკასიური გაზსადენის სისტემიდან, და დამატებით გაზი 55$/1000მ3–ის ფასად (პირველ წლებში 200-350, შემდგომში 500 მლნ/წ მოცულობით). ამასთან, შაჰ-დენიზის საბადოს გაზის ფასი გადაანგარიშდება 8500 კკალ/მ3, ნაცვლად რუსეთიდან მიღებული გაზის 8000 კკალ/მ3-ისა. შესაბამისად, 2006 წლიდან სამხრეთ კავკასიის რეგიონალურ ბაზარზე სავარაუდოა გაზის შემოსვლა ღირებულებით დაახლოებით 52$/1000 მ3, რუსული გაზის ეკვივალენტზე დაყვანილი თბოუნარიანობის გათვალისწინებით. სავარაუდოდ, მომავლისათვის შაჰ-დენიზის გაზისა და რუსული გაზის ფასებს შორის სხვაობა უფრო მნიშვნელოვნად გაიზრდება.

საბაზრო ფასების დარეგულირებას ხელს შეუწყობს, აგრეთვე, ადგილობრივი საბადოებიდან მოპოვებული გაზიც, რომლის მოცულობამ 2010 წლისათვის, ნავთობის ეროვნული კომპანიის პროგნოზის თანახმად, შეიძლება 0,4-0,5 მლრდ მ3-ს მიაღწიოს, შემდეგ ათწლეულში კი გაორმაგდეს. ენერგეტიკის სამინისტროს 2004 წლის 8 დეკემბრის ინფორმაციის თანახმად, დადასტურებულია, რომ ქვემო ქართლში ქვეყნისათვის საკმარისი გაზის მარაგი არსებობს, და რომ კომპანია "კანარგო" და მისი პარტნიორები მზად არიან, განახორციელონ სრულმასშტაბიანი მოპოვებითი სამუშაოები, თუ სათანადო მომხმარებელი გამოინახა. ეს თავისთავად პოზიტიური ინფორმაცია, მეორე მხრივ, გამაფრთხილებელი სიგნალიცაა იმის შესახებ, რომ თუ რაციონალურად არ გადაწყდა თავისუფალი საბაზრო ნიშის შენარჩუნება-გაფართოებისა და ბაზრის ლიბერალიზაციის საკითხი, ადგილობრივ მოპოვებული და ტრანზიტის საფასურად მიღებული გაზის კომერციალიზაცია საქართველოსთვის გადაუწყვეტელი პრობლემა შეიძლება გახდეს.

ენერგოუსაფრთხოების კრიტიკული მდგომარეობა საქართველოს გაზმომარაგების სექტორში, დაახლოებით, 2006 წლის ბოლომდე გაგრძელდება. მას შემდეგ, რაც ამოქმედდება სამხრეთ-კავკასიური გაზსადენი, საქართველოს შესაძლებლობა ექნება, საკუთარი წარმოების, ტრანზიტის საფასურად მიღებული და შეღავათიანი ფასით შეძენილი გაზით უზრუნველყოს სავარაუდო მოხმარების მინიმუმ 50-75 პროცენტი, რაც მომავალში პრაქტიკულად გამორიცხავს კრიტიკული მდგომარეობის განმეორებას. ამასთან, გაზის აღნიშნული პოტენციალის რეალიზაციისათვის აუცილებელია ტრანზიტის საფასურად მიღებული და შეღავათიან ფასში შეძენილი გაზის მონეტიზაციის რაციონალური გეგმის მომზადება და შესრულების ორგანიზაცია, შესაბამისი ქმედებების განხორციელების მეშვეობით ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში.

საჭიროა, აგრეთვე, განხილულ იქნეს მიწისქვეშა საცავის მშენებლობის მიზანშეწონილობის საკითხი გაზის მოწოდება-მოხმარებას შორის წარმოქმნილი დისბალანსის შედეგად მიღებული ნამეტი გაზის განთავსებისა და სტრატეგიული მარაგის შესაქმნელად კრიტიკულ სიტუაციებში გამოყენების მიზნით. შესაძლებელია, აგრეთვე, ნამეტი გაზის გამოყენება თხევადი და დაწნეხილი გაზის წარმოების მცირემასშტაბიანი ტექნოლოგიების დანერგვის, ან მიწოდებით სეზონური დატვირთვის საწარმოებისათვის. ასეთ შემთხვევაში, იქმნება პირობები ადგილობრივ მოპოვებული და ტრანზიტის საფასურად მიღებული გაზის საბაზრო ნიშის მნიშვნელოვანი გაფართოებისა და თანმდევი ეკონომიკური ეფექტის მიღებისთვისაც, რომლის რაციონალური უტილიზაციის შემთხვევაში, თითოეული ოჯახის დანაზოგი, სასიცოცხლო ბიოლოგიური ნორმისა და კომფორტული საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფის შემთხვევაში, 100-დან 1000 ლარამდე ცვალებადობს, მოხმარებისათვის სხვადასხვა ალტერნატული სახეობის ენერგორესურსების გამოყენებასთან შედარებით.

რუსეთი, რომელიც დღეისათვის ბუნებრივი გაზის ყველაზე მსხვილი მიმწოდებელია საერთაშორისო ბაზარზე, ცდილობს უფრო გააფართოოს თავისი ზეგავლენა. განსაკუთრებულია რუსეთის პოზიცია ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მიმართ. ამ ქვეყნების გაზის ბაზარზე იგი ფაქტიური მონოპოლისტია. ამასთან, დსთ-ს სივრცეში რუსეთი გაზის პოლიტიკას, ტრადიციულად, ეკონომიკურის გარდა, გეოპოლიტიკური ზემოქმედების იარაღადაც მიიჩნევს და ცდილობს ექსპანსიონისტური პოლიტიკის მეშვეობით უზრუნველყოს დე ფაქტო სიტუაციის გახანგრძლივება, შესაძლებლობის შემთხვევაში კი - ზეგავლენის სფეროს გაფართოება. გაზის სექტორში რუსეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი არქიტექტორის, "გაზპრომის" მმართველი საბჭოს წევრის, საექსპორტო გაყიდვების კურატორის ბატონ კომაროვის აზრით, "ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე და ხელს უწყობს პოსტსაბჭოური სივრცის ინტეგრაციულ პროცესებს" (Юрий Комаров об экспортной политике «Газпрома», «Время новостей»).

ხელშეკრულებები მინიმალური ფასებით (ბარტერის გათვალისწინებით 28-30 $/1000მ3, ფორმალურად 44 $/1000მ3-მდე) წლიურად 10 მლრდ მ3 გაზის ექსპორტზე უზბეკეთიდან, 10-18 მლრდ მ3-ის - ყაზახეთიდან, და 60-80 მლრდ მ3-ისა თურქმენეთიდან, რაც ამ უკანასკნელთ, ფაქტობრივად, თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობას უსპობს საერთაშორისო ბაზარზე დამოუკიდებლად გასვლისათვის, მოლაპარაკებები უკრაინასთან ქვეყნის გაზის სატრანსპორტო სისტემის მართვისათვის ერთობლივი კონსორციუმის ჩამოყალიბების შესახებ, "გაზპრომის" გააქტიურება სამხრეთ კავკასიის ბაზარზე, დიფერენცირებული ფასები გაზზე დსთ-ს სხვადასხვა ქვეყნებში მათი პოლიტიკური ორიენტაციის გათვალისწინებით (ყველაზე იაფი ბელორუსში, ძვირი – საქართველოში), რუსეთის "დუმის" მიერ არაერთგზის დეკლარირებული განზრახვა, გაზის მიწოდება საქართველოზე პოლიტიკური ზეწოლისათვის გამოიყენონ, და, რაც მთავარია, რუსეთის დაუფარავი პოლიტიკური (აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტის ზონებში) და ეკონომიკური (რუსეთის ალტერნატული ნახშირწყალბადების სატრანსპორტო მაგისტრალების გამო) ინტერესები რეგიონში, ეჭვს არ იწვევს, რომ რუსეთი პროგნოზირებად მომავალში კვლავ ერთგული დარჩება თავის ექსპანსიონისტური პოლიტიკის დსთ-ს, და მათ შორის, საქართველოს გაზის სექტორის მიმართ გადაწყვეტილებების მიღებისას.

შესაბამისად, "გაზექსპორტის" გენერალური დირექტორის ბატონ მედვედევის განცხადება, რომ "საქართველოს მიმართ რუსეთის ზოგიერთი პოლიტიკური წრეების განწყობა გავლენას ვერ მოახდენს გაზის იმპორტზე" (ა. მედვედევი: გაზის პოლიტიკურ იარაღად გამოყენება – აბსურდია. გაზეთი "24 საათი," N293, 10/12-2004), უკეთეს შემთხვევაში, კეთილ სურვილად უნდა ჩაითვალოს. "გაზპრომი" სახელმწიფო კომპანიაა და, შესაბამისად, ეკონომიკურთან ერთად მის პოლიტიკურ ინტერესებსაც ითვალისწინებდა და მომავალშიც გაითვალისწინებს. ამიტომ, საქართველომ რუსულ მხარესთან მოლაპარაკებები გაზის სექტორში ურთიერთობის დარეგულირებისათვის, მათ შორის - გრძელვადიანი მოწოდების კონტრაქტების ან სტრატეგიული ობიექტების პრივატიზაციის საკითხებში, ამ ფაქტორის გათვალისწინებითაც უნდა აწარმოოს.

ანალოგიური მიდგომა უნდა განხორციელდეს ენერგეტიკული რესურსების ტრანზიტის პოლიტიკის შემუშავების დროსაც ზოგადად, რომლის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად მიჩნეული უნდა იქნეს ბუნებრივი გაზის მიწოდების წყაროების დივერსიფიკაცია და საერთაშორისო სატრანზიტო პროექტების მხარდაჭერა, საქართველოს ეკონომიკური და სტრატეგიული ინტერესების გათვალისწინებით. ამ მხრივ, სამაგალითოდ შეიძლება ჩაითვალოს შეთანხმება სამხრეთ-კავკასიური გაზსადენის შესახებ, რომლის თანახმად, საქართველო განხილულია არა მარტო როგორც სატრანზიტო, არამედ გაზის მომხმარებელი ქვეყანაც და სატრანზიტო შემოსავლის გარდა, დამატებით გაზის შესყიდვისათვის მნიშვნელოვან შეღავათებსაც მიიღებს.

დასკვნები პოლიტიკისათვის

გააზრებული საპრივატიზაციო პროგრამის, საკანონმდებლო ინიციატივებისა და საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული რეგულირების წესების დამკვიდრებით საქართველოში შემომავალ და ტრანზიტულ მილსადენებზე უზრუნველყოფილი უნდა იქნეს თავისუფალ გამტარუნარიანობაზე არადისკრიმინაციული დაშვების, აგრეთვე, კრიტიკულ სიტუაციებში ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მაგისტრალების მეზობელი ქვეყნების ტერიტორიაზე განლაგებული მონაკვეთების მონიტორინგისა და გადაუდებელი აღდგენითი სამუშაოების წარმოების უფლება. აღნიშნული საკითხების დარეგულირება უნდა მოხდეს გრძელვადიანი კონტრაქტების მომზადების პროცესში, რაც საბოლოოდ ხელს შეუწყობს მოწოდების (მომწოდებლის) დივერსიფიკაციასა და კონკურენტული საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

- ამ ეტაპზე მიზანშეწონილია ძირითადი მაგისტრალური მილსადენების მართვის უფლებამოსილების შენარჩუნება. ზოგადად კი, უნდა გამორიცხოს მათი გადაცემა მომწოდებელი და/ან გამანაწილებელი კომპანიებისათვის, რაც ბაზრის ლიბერალიზაციისა და ცალკეული სუბიექტების მონოპოლისტური ქმედებების პრევენციის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა.

- საქართველოს გაზის სექტორის ძირითადი ობიექტების პრივატიზაციის საკითხი, და საერთოდ, სექტორში შექმნილი მდგომარეობა, განხილულ უნდა იქნეს საქართველოს აღ

"დინამოს" საკავშირო ტრანსფერები B4

ჭირესმა ჰოლონელებს უარი მეუთვალა B4

ყველაზე უარესები B8

"მაიკროსოფტში" მუშაობით ამბიციები მეტ-ნაკლებად დავიკმაყოფილე"

ქართველი პროგრამისტი ამერიკაში

ლელა მჭედლიძე

ის უკვე ათი წელია ცხოვრობს და მუშაობს ამერიკაში. ცნობისთვის: საკმაოდ წარმატებულ კომპანიაში. საქართველოში იგი ძირითადად ახლობლების სანახავად ჩამოდის, უფრო - დიდ დღესასწაულებზე, შეძლებისდაგვარად ყოველ წელიწადს. მასზე საკმაოდ ბევრი რამის მოყოლა შეიძლება. ორი სიტყვით კი იმის თქმა, რომ არჩილ კუბლაშვილი ერთ-ერთი იმ პოტენციურ "კენჭთაგანია", რომლის სამშობლოში დაბრუნება ნამდვილად ღირს. ჩვენ შევხვდით საერთაშორისო ასოციაცია "კვალის" ოფისში, სადაც კუბლაშვილმა ლექციების წაკითხვა გადაწყვიტა.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

პირველ რიგში, საჭიროა ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, განათლების სისტემაში გარკვეული ცვლილებების გატარება.

- 1993 წელს დავამთავრე თსუ საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტი. ამავე წელს მონაწილეობა მივიღე "ედმუნდ მასკი ფელოვშიპ-ის" პროგრამაში. გავხდი პროგრამის ფინალისტი და გავემგზავრე აშშ-ში სასწავლებლად. მას მერე ვცხოვრობ ამერიკაში, დავამთავრე ორი ფაკულტეტი: ეკონომიკური და კომპიუტერული მეცნიერების. ორივე სპეციალობაში მაგისტრის ხარისხი მაქვს. 1999 წლიდან ვმუშაობ "მაიკროსოფტის" კორპორაციაში პროგრამისტად - "მაიკროსოფტის" სათავო ოფისში, რომელიც რედმონდში, სიეტლის გარეუბანში მდებარეობს. ამერიკაში სამუშაო ვიზით ვარ, "გრინ ქარდიც" კი არ მაქვს. წელს ველოდები. ამერიკული პასპორტის მისაღებად კიდევ 5 წელია საჭირო. ჯერ არ ვიცი, ამ დროისთვის აშშ-ში ვიქნები თუ არა...

იმ დროს, როცა ამერიკაში გავემგზავრე, საქართველოში ძალიან მძიმე ვითარება იყო. გარდა ამისა, ამერიკა ჩემთვის ბავშვობიდან ძალიან მიმზიდველი და საინტერესო ქვეყანა იყო. ასე რომ, როცა შანსი გამომიჩნდა, ხელიდან არ გავუშვი. ახლა, რაც დრო გადის, გული აქეთ მიწევს. როგორც ჩანს, ჟინი მოვიკალი და ის ახალგაზრდული ამბიციებიც დავიკმაყოფილე, რაც მქონდა. ამერიკა, რა თქმა უნდა, კვლავაც რჩება დიდი შესაძლებლობის ქვეყანად. მე მას სხვა პლანეტასაც დავარქმევდი. იქ იმდენად განსხვავებული ცხოვრებაა...

ისე, შორიდან ყველაფერს სხვანაირად ხედავ. ჩვენი ქვეყნის ავკარგიც იქ ყოფნისას სხვანაირად დავინახე. არის ბევრი რამ, რაც ჩვენ გვაკლია და პირიქით. კარგია ის უშუალობა და სითბო, რასაც აქ ურთიერთობაში გრძნობ. ამერიკაში თავად სისტემა ისეა ჩამოყალიბებული, რომ ურთიერთობისთვის დიდი დრო არ გრჩება. ეს იმას ჰგავს, ძალიან კარგ სუფრაზე კერძს მარილი და სანელებლები რომ აკლია. აქ რომ გავიღვიძებ, დილიდან რეკვები და მოკითხვებია. ცუდის გახსენება არ მინდა, თუმცა, ერთს მაინც ვიტყვი, ძალიან ბევრი შური დავინახე, ფეხის გამოდებაც იყო... საკუთარ მაგალითზე დავრწმუნდი, რომ ხშირად ცოდნაზე მეტად ბიძაშვილ-მამიდაშვილობის ინსტიტუტი ჭრიდა. მართალია, ამერიკაში არავინ გადაგყვება, მაგრამ ხელსაც არავინ შეგიშლის. იმის თქმა მინდა, რომ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებისთვის იქ უფრო ნოყიერი ნიადაგია. მას შემდეგ, რაც "მაიკროსოფტში" მუშაობა დავიწყე, ის ამბიციები, რაც მქონდა, მეტ-ნაკლებად დავიკმაყოფილე.

- რა მიზეზია, რომ უკვე საქართველოსკენ მოგიწევთ გული? ის ხომ არა, რომ თქვენი შესაძლებლობები მეტ-ნაკლებად ამოწურეთ და იქ მეტს ვერ მიაღწევდით?

- ამ ათი წლის მანძილზე დიდი ნახტომი გავაკეთე. ახლა უფრო პატარა ნაბიჯებით წავიწევ წინ. რა თქმა უნდა, მეტის მიღწევის შანსი ყოველთვის არის. მაგრამ გულმა რომ აქეთ გამომიწია, ეს, ალბათ, ასაკის ბრალიცაა. არც ისე ბებერი ვარ, მაგრამ ბევრ რამეზე დავფიქრდი: ოჯახზე, ნათესავებზე... ხვალვე რომ დავბრუნდე საქართველოში, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ იქაურობასთან კავშირს გავწყვეტ. იდეალური იქნება ორი ბაზის არსებობა - ამერიკასა და საქართველოში, რომლებსაც ერთმანეთთან კავშირი, საერთო საფუძველი ექნებათ. კონკრეტულად, შესაძლებელი იქნება სტუდენტების გაცვლა, ტექნოლოგიების ტრანსფერი, გამოცდილების გაზიარება.

- კონკრეტულად რა პროექტების გადმოღება შეიძლება საქართველოში?

- ვთქვათ, ამერიკის რომელიმე ბანკს უნდა რაღაც მონაცემთა გადამუშავება, მაგალითად, ანგარიშსწორების ან ბალანსების სისტემის. ამას პროგრამული უზრუნველყოფა, კომპიუტერული მომსახურება სჭირდება. კონტრაქტორებს, ვისაც ეს ევალებათ, ბუნებრივია, თავისი ფასები აქვთ. ცნობისთვის: ძალიან დიდი ტენდენციაა, ეს პროექტები შემუშავდეს ისეთ ქვეყნებში, როგორიც ინდოეთი და ჩინეთია. დიდ როლს ასრულებს ისიც, რომ ინგლისური ენა იქ ძალზე გავრცელებულია, ისევე ნაცნობი და გავრცელებული, როგორც ჩვენთან რუსული იყო, თუმცა, ტექნოლოგიური რესურსების თვალსაზრისით ჩინეთი უფრო მაღალ დონეზეა. გარდა იმისა, რომ კომპიუტერული მეცნიერება ამ ქვეყნებში მაღალ დონეზეა, იქ ბევრი მათემატიკოსიცაა. ამავე დროს, ამერიკაში მომუშავე პერსონალთან შედარებით, ხელფასები ათჯერ ნაკლები. ასე რომ, მოგება ათმაგდება, მიუხედავად იმისა, რომ ერთი და იგივე სამუშაო სრულდება. ბუნებრივია, ეკონომიკაში სულ ოდნავ გარკვეული ადამიანიც კი სამუშაოს იმას მისცემს, ვისთანაც ეს ნაკლები დაუჯდება. ალბათ, კარგი იქნებოდა, პროექტების ნაწილი საქართველოსკენ მიგვემართა. თუ იგივე ხარისხის პროდუქციას მივაწვდით, ეს სავსებით შესაძლებელია. მით უმეტეს, არ არის გამორიცხული, რომ მომსახურების თანხა კიდევ უფრო ნაკლებიც იყოს, ვიდრე ინდოეთსა და ჩინეთში.

- არის კი საიმისო ბაზა და რესურსები საქართველოში, რომ ეს პროგრამული უზრუნველყოფა უახლოეს მომავალში დაინერგოს?

- მხოლოდ ჩანასახოვან დონეზე. ახლა თბილისში მცირე ხნით, დასასვენებლად ჩამოვედი, მაგრამ ეს ერთგვარი გაცნობითი ვიზიტიც არის. წამოსვლისას ბატონმა შოთა ვაშაკიძემ, რომელიც ამერიკაში დაფუძნებული საერთაშორისო ასოციაცია "კვალის" პრეზიდენტია, აქაურ სტუდენტებთან შეხვედრა და იმის შემოწმება მთხოვა, დაახლოებით რა დონე აქვთ მათ, რათა, სავარაუდოდ, ასეთი ბაზა შეიქმნას. ლექციის კურსს "შესავალი ალგორითმებში და პროგრამირების ენა სი-ში" ჰქვია. ეს ენა ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პროგრამირების ენაა ამერიკაში. ჩვენთან სხვა პროგრამირების ენები ისწავლებოდა: პასკალი, ფორტრანი. გამიხარდა, რომ ასეთი ენთუზიაზმია. მიუხედავად იმისა, რომ ჩათვლებისა და არდადეგების დღეებია, მსმენელები მაინც გამოჩდნენ.

საქართველოში არიან ნიჭიერი ახალგაზრდები, რომლებიც მსოფლიო ბანკთან თანამშრომლობენ, პატარ-პატარა პროექტებს ახორციელებენ. ჩვენ გვინდა, პოპულარიზაცია გავუწიოთ პროგრამირების, კომპიუტერული უზრუნველყოფის სფეროს და დავარწმუნოთ ახალგაზრდები, რომ ენთუზიაზმის გარდა აქედან გარკვეული შემოსავლის მიღებაც შეიძლება. თუ არ მეშლება, როცა "საქართველოს ბანკს" ბანკომატების მომსახურებისთვის პროგრამა დასჭირდა, ის ამერიკელებმა უზრუნველყვეს. თუ არ ვცდები, ეს დაახლოებით მილიონნახევარი დოლარი დაჯდა. რა თქმა უნდა, უკეთესი იქნება, თუ ამ ოდენობის თანხა მომავალში საქართველოში დარჩება. მით უმეტეს, რომ ამის რესურსი არსებობს, მხოლოდ ინფრასტრუქტურაა შესაცვლელი.

- ეს ის პროგრამაა, რომლის განხორციელებაც საქართველოში უახლოეს პერიოდში არის შესაძლებელი. როგორ ფიქრობთ, კონკრეტულად რა ცვლილებების გატარება არის საჭირო საქართველოში უკეთესი შედეგის მისაღწევად?

- პირველ რიგში, საჭიროა ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, განათლების სისტემაში გარკვეული ცვლილებების გატარება. როგორც ვიცი, ახლა ოდნავ გაუმჯობესებული პირობებია განათლების სისტემაში იმ პერიოდთან შედარებით, როცა მე ვსწავლობდი. სწორედ ამიტომ, როცა ლექციების პატარა კურსი ჩავატარე, გადავწყვიტე, მომესინჯა, თუ ცოდნის რა დონეა განათლების მხრივ, რა სჭირდებათ ახალგაზრდებს. კინაღამ დამავიწყდა მეთქვა, სიეტლში ცხოვრობს ნუგზარ კაჩუხაშვილი, რომელსაც აქვს საკუთარი საკონსულტაციო ფირმა და უნდა, პროექტები საქართველოში გადმოიტანოს. ჰყავს ბიზნესპარტნიორები, რომლებიც ამ საკითხით ასევე სეროზულად დაინტერესდნენ. აქაური სტუდენტებისთვის ამერიკიდან გამოვგზავნით სახელმძღვანელებს, შესაძლოა, დავნერგოთ ე.წ. დისტანციური სწავლებაც - ტელეხიდი. სხვათა შორის, ჩემს კომპანიაში ვთქვი, რომ, სავარაუდოდ, ასეთი პროექტის განხორციელება შეიძლებოდა და ყველამ გამოთქვა სურვილი, ქართველი მსმენელებისთვის ლექციები წაეკითხა. შესაძლოა, კონტაქტი "კვალის" ფონდმა უზრუნველყოს, დანარჩენი ყველაფერი უფასო იქნება. რაც შეეხება ცვლილებებს, გარდა ამისა, უნდა მოხდეს ინტელექტუალური საკუთრების დაცვა. იმიტომ, რომ ჩვენში მეკობრეობის პრობლემებს საეროდ არ აქცევენ ყურადღებას - არ შეიძლება 5 დოლარად გადაიწეროს ათასობით დოლარის ღირებულების პროგრამა. ინტელექტუალური საკუთრების მითვისებას აღკვეთა უნდა. ამ ყველაფრის მოგვარებას, ჩემი აზრით, 5-10 წელი დასჭირდება.

- გამოდის, თავს ანებებთ "აწყობილ" ცხოვრებას საზღვარგარეთ და ბრუნდებით. არ გეშინიათ? ეს ხომ გარკვეულ რისკთანაც არის დაკავშირებული...

- მეშინია. ამიტომაც თვალდახუჭული არ გადმოვეშვები აქეთ. ამისთვის ნიადაგის მომზადებაა საჭირო. ერთ-ერთი ფაქტორი ისიც არის, რომ სააკაშვილმა უცხოეთში გაბნეულ ქართველებს სამშობლოში დაბრუნებისკენ მოუწოდა. კიდევ უფრო სერიოზული ფაქტორია ის, რომ სააკაშვილში სახელმწიფოს სათავეში მოსული ჩემიანი დავინახე. როცა შევარდნაძე იყო ხელისუფლების სათავეში, საერთოდ არ მესმოდა, რაზე შესტკიოდა გული. შესაძლოა, კარგი იდეებიც ჰქონდა, მაგრამ ფაქტია, რომ ყველაფერი კორუფციამ მოიცვა. სააკაშვილი თითქოს გიცავს. ყოველ შემთხვევაში, შორიდან ასე ჩანს. თუ დღეს რაღაც არ გამოდის, მომავალში გამოსწორდება, რადგან შენ ამ ქვეყნის მოქალაქე ხარ და შენი სიტყვა გეთქმის. ყველა ხედავს, რომ შრომა და პატიოსნება უფრო ფასდება. ადრე სხვა ფასეულობები იყო. თუ ჯიბგირი არ იყავი და ვიღაცას არ ძარცვავდი, პატიოსანი შრომით ვერაფერს მიაღწევდი. ახლაც მყავს ახლობლები, ძმაკაცები, რომლებიც მეუბნებიან, აქეთ გამოხედვა არ გაბედოო. მაგრამ ისიც ხომ მართალია, რომ ერთ დღეში მონტე კარლო ვერ აშენდება?

- რისი ამბიცია გაქვთ ახლა?

- გარდა იმისა, რომ მინდა, ჩემს ახლანდელ სამუშაო ადგილზე გარკვეული წინსვლა მქონდეს, მსურს, რაღაც ახალი სიტყვა ვთქვა მეცნიერებასა და ტექნოლოგიების განვითარებაში, გარკვეული ინოვაცია შევთავაზო მსოფლიოს. კონკრეტული პროექტი არა მაქვს, მაგრამ ოპტიმისტი ვარ. ვნახოთ, რა გამოვა. ხანდახან ვფიქრობ, დღეს რომ წავსულიყავი, ალბათ, უფრო გამიჭირდებოდა, ვიდრე მაშინ, როცა საქართველოში მძიმე სიტუაცია იყო. ძალიან მიკვირდა, როცა ჩემს თანამემამულეებს, ან რუსებს და სომხებს ვხვდებოდი და წუწუნებდნენ, ვერ ვძლებთო. ახლა უფრო მესმის მათი. საქართველოდან წასული რვა ქართველი სხვადასხვა შტატში გაგვანაწილეს. სხვათა შორის, იმავე წელს სწორედ ამ პროგრამით იყო სასწავლებლად აშშ-ში მიხეილ სააკაშვილიც.

- პოლიტიკაში ჩაბმა არ გინდათ?

- ეს, ალბათ, საინტერესოა, მაგრამ აქ ბევრი არაფერი გამეგება...

- რამდენ ხანს გაგრძელდება "დაზვერვით-მოსამზადებელი" პროცესი, რომელიც საქართველოში თქვენს დაბრუნებას უნდა უძღოდეს წინ?

- ორიდან ხუთ წლამდე. შესაძლოა, უფრო ადრეც ჩამოვიდე.

მოკლედ

ვარსკვლავური ქველმოქმედება

პოპის დედოფალი მონაწილეობას მიიღებს ამერიკის ტელეეთერში დაგეგმილ საქველმოქმედო კონცერტში, რომლის მიზანიც ცუნამით დაზარალებულთა დახმარებაა. მადონასთან ერთად ტელემარათონში მონაწილეობაზე დათანხმდნენ მისი კოლეგები: დაიანა როსი და ჯგუფი Maroon 5. კონცერტი 15 იანვარსაა დაგეგმილი; მაყურებელი ასევე იხილავს კინოვარსკვლავებს: ჯორჯ კლუნს, კევინ სპეისს, უმა თურმანს. აქციიდან მიღებულ შემოსავალს NBC გადაურიცხავს "წითელ ჯვარს", რომელიც თავად გაანაწილებს თანხას.

საყოველთაო ქველმოქმედებაში საკუთარი წვლილი უკვე შეიტანა მაკარტნების წყვილმა. პოლ მაკარტნიმ და ჰიზერ მილსმა უკვე გადარიცხეს მილიონ ოთხასი ათასი ევრო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის დასახმარებლად ორგანიზაციაში - International Rescue Committee UK. მაკარტნების თანხა ჯერჯერობით ყველაზე სოლიდურია ცნობილი ადამიანების მიერ გაღებულ ფინანსურ დახმარებებს შორის.

მკვლელობა სტუდიაში

დეტროიტში მდებარე სტუდიაში - Studio 8, რომელმაც ემინემის სადებიუტო ალბომის წყალობით გაითქვა სახელი, პოლიციამ ცეცხლსასროლი იარაღით მოკლული ადამიანის გვამი აღმოაჩინა. სტუდიის მფლობელს, წარმოშობით იორდანელ 36 წლის ამჟედ აბდალაჰს მკვლელობიდან ორი დღის შემდეგ მიაგნეს.

ჯერჯერობით უცნობია, რატომ აღმოჩნდა აბდალაჰი ახალი წლის მეორე ღამეს სტუდიაში. ვარაუდობენ, რომ ამის მიზეზი საეჭვო ხმაური იყო. პოლიციას იმედი აქვს, რომ დეტალებს უახლოეს დღეებში გაარკვევს.

დეკემბრის დასაწყისში აბდალაჰმა ინტერნეტაუქციონზე საკუთარი სტუდია გაიტანა გასაყიდად. მისი საწყისი ფასი 215 ათასი ამერიკული დოლარი იყო. მფლობელი დარწმუნებული იყო, რომ ემინემის ალბომის The Slim Shady LP-ის (რომელიც ამ სტუდიაში ჩაიწერა) წყალობით, ის ნახევარ მილიონზე მეტს აიღებდა. აუქციონი 14 იანვრამდე გრძელდება.

შთაგონების წყარო - Army Of Me

ბიორკი საქველმოქმედო ალბომს ამზადებს. ეს მეტად ორიგინალური ჩანაფიქრი ორ დისკში გააერთიანებს მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში შექმნილ მუსიკალურ ნომრებს, რომელთა შთაგონების წყაროც ისლანდიელი მომღერლის 1995 წლის ალბომში (Post) შესული სიმღერა Army Of Me-ია.

სხვისი სიმღერებისა და რემიქსების ნაკრების ალბომად გამოცემის იდეა ბიორკს გაუჩინა წლების განმავლობაში შენახულმა, საკუთარი სიმღერების ვერსიებმა, რომელსაც მუსიკოსი თაყვანისმცემლებისა თუ მუსიკოსებისგან იღებდა. ეს ვერსიები ჟანრობრივადაც მრავალფეროვანია: ელექტრონულით დაწყებული მძიმე მუსიკის ჩათვლით. მასალა იმდენად საინტერესო აღმოჩნდა, რომ მუსიკოსმა გადაწყვიტა, გამოაცხადოს ვერსიების საყოველთაო მიღების ვადა და მათ შორის საუკეთესოებისგან მორიგი ჩანაწერი შესთავაზოს საზოგადოებას. ორმაგი ალბომი, სავარაუდოდ, თებერვალში გამოიცემა. მუსიკოსის ოფიციალურ საიტზე შესაძლებელია ალბომის გარეკანის მაკეტის ნახვაც. ამჟამად კი ბიორკი ელოდება ვერსიებს ყველასგან, ვისაც პროექტში მონაწილეობა სურს. Army of Me-ის ნებისმიერი სახის რემიქსი თუ ვერსია უნდა გაიგზავნოს ელექტრონულ მისამართზე: bjorkremixes@gmail.com. არ დაგავიწყდეთ, საკუთარი საკონტაქტო ნომრების მითითება, თქვენეული ვერსიის სახელწოდების დაწერა და შეამოწმეთ გაგზავნილი ფაილის პარამეტრი - 128kbs mp3. ჩანაწერების მიღების ვადა 17 იანვარს იწურება. ალბომის გაყიდვიდან შემოსული თანხა მთლიანად "იუნისეფს" გადაერიცხება.

ანტიგონეს ხვედრი და ახალი შეხვედრა "ანტიგონესთან"

ზინა კვერენჩხილაძის წიგნის "ჩემი ანტიგონეს" გამოცემის გამო

შუქია აფრიდონიძე

მცირე ისტორია: ამ ათიოდ წლის წინათ მიმიწვიეს ერთ ოჯახში, სადაც მოწმე გავხდი ახალი ლიტერატურული ჟანრის დაბადებისა: გამოჩენილმა მსახიობმა **ზინა კვერენჩხილაძემ** წაგვიკითხა თავისი ვრცელი ანალიზური მოგონება გასული საუკუნის 60-იანი წლების დამლევს რუსთაველის თეატრის სცენაზე მეტეორივით გაელვებული, სულისშემძვრელი სპექტაკლის - **ჟან ანუის** "ანტიგონეს" თუმანიშვილისეული დადგმის შესახებ. ლოგიკურ-ემოციური აქცენტებით წაკითხული ეს მოგონება, რომელსაც ავტორმა **"ჩემი ანტიგონე"** უწოდა, აღქმის სიმძაფრით მხოლოდ თვით სპექტაკლისაგან მიღებულ შთაბეჭდილებას თუ ჩამოუვარდებოდა...

ეს იყო პირველი შემთხვევა ქართულ სინამდვილეში, როცა მსახიობმა შექმნა მატიანე ერთი სპექტაკლისა, რომელშიც მთავარ როლს თვით ავტორი ასრულებდა. ამ მხრივ ერთგვარი პრეცედენტი იყო **ნოდარ ანდღულაძის** საინტერესო სტატია (წიგნში "Homo cantor") ბერლინის "კომიშე-ოპერის" სცენაზე გეც ფრიდრიხის მიერ დადგმული "აიდას" შესახებ. მაგრამ, ჯერ ერთი, ეს იყო უცხოელი სოლისტის შთაბეჭდილება, მეორეც, იგულისხმებოდა, რომ რეჟისორულ ინტერპრეტაციაზე ვოკალისტთა შემადგენლობის ცვლა არსებით გავლენას ვერ მოახდენდა. "ანტიგონეს" შემთხვევაში კი ყოველივე შიგნიდან არის დანახულ-განცდილი, მეტადრე თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ დადგმის რთულმა პერიპეტიებმა არსებითად სამი ბურჯის - **მიხეილ თუმანიშვილის, სერგო ზაქარიაძისა** და, ცხადია, თავად **ზინა კვერენჩხილაძის** კისერზე გადაიარა.

"სააპრობაციო ეტაპის" გავლის შემდეგ (მოგონება დაიბეჭდა ჟურნალ "მნათობში" 1998 წ.), "ჩემი ანტიგონე" წელს ცალკე წიგნად გამოვიდა და მაშინვე გამოიწვია ფართო საზოგადოებრიობის ცხოველი ინტერესი. შედგა პრეზენტაცია, გაიმართა შეხვედრები...

ამრიგად იმ ურთიერთობას, რომელიც აქამდე არსებობდა მსახიობსა და მაყურებელს შორის, შემატა ახალი ურთიერთობა ავტორსა და მკითხველს შორის, ოღონდ, თუ მრავალი მაშინდელი მაყურებელი მკითხველიც გახდა ამ წიგნისა, ბევრ მაყურებელს "მკითხველობა" არ დასცალდა, ბევრი მკითხველი კი "მაყურებლობას" ვერ მოესწრო. მაგრამ ეს ორი ცალმხრივობა ერთმანეთს ვერ აწონასწორებს: წიგნი თავისთავად ფიქსაციაა, ხოლო სპექტაკლი, რაგინდ გახმაურებულიც იყოს, თუ იგი თავის დროზე არ ჩაიწერეს, არ გადაიღეს, ან არ აღადგინეს, ერთხანს კი შეიძლება დარჩეს აჟიოტაჟის საგანი, მაგრამ მერმე - მაყურებელთა თაობების თანდათანობითი გაქრობის კვალობაზე - თავადაც უკვალოდ გაქრეს.

ამიტომ სრულიად მიუტევებლად მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ ჩვენში ჩაუწერელი დარჩა არაერთი შესანიშნავი ნიმუში ჩვენი თეატრალური ხელოვნებისა და მისი ნამდვილი მშვენება - თუმანიშვილის ხელიდან გამოსული "ანტიგონეც". და თუ ქართული დაუდევრობის (მეტი რომ არ ითქვას) ამ ფაქტს ჩვენ, რიგითი მაყურებლები, ესოდენ მტკივნეულად აღვიქვამთ, ძნელი მისახვედრი არ არის, რა განცდების აღმძვრელი შეიძლება ყოფილიყო შეუვსებელი ვაკუუმისა და სამუდამო დაუბრუნებლობის შეგრძნება თვით "ანტიგონეს" პროფესიონალ შემოქმედთათვის.

რატომ შეიქმნა "ჩემი ანტიგონე"? ყოველი ნაწარმოების შექმნას აქვს ობიექტური საფუძველიც და სუბიექტური მოტივაციაც, ისევე როგორც ყოველ ამბავს ახლავს თავისი კონტექსტიც, ოღონდ ზოგჯერ კონტექსტი ისეთია, რომ აჭარბებს თვით ამბავს. სწორედ ასეა "ანტიგონეს" შემთხვევაშიც. ამიტომ პირველ კითხვაზე პასუხის გასაცემად დავსვათ მეორე:

რა დაგვრჩა კოლოსალური ენერგიით მფეთქავი, ამასთან, ახალი აზრებისა თუ უჩვეულო გრძნობების ამშლელი ამ წარმოდგენისაგან?

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ქართული თეატრის ამ ეპოქალურ მოვლენაზე იმხანად ჩვენში პროფესიული რეცენზიები არც დაწერილა და არც უცხოეთში მოგვიძიებია გამოქვეყნებული საგასტროლო რეცენზიები (თუმცა ვერანაირი რეცენზია ვერ შეძლებდა მეტ-ნაკლებად სრული წარმოდგენის შექმნას ვნებათა იმ ქარიშხალზე, რომელიც ბობოქრობდა სცენაზე ამ სპექტაკლის მსვლელობისას).

დასასრულ, ვერსად წავუვალთ იმ ფაქტს, რომ მიღებულ იქნა ყოველად სამარცხვინო და მთელი ცხოვრების მანძილზე ცოდვად სატარებელი გადაწყვეტილება რეპერტუარიდან ანშლაგებით მიმდინარე სპექტაკლის მოხსნის თაობაზე.

რაღა დარჩენოდა სპექტაკლის ცენტრალურ ფიგურას, დღეს ერთადერთ ცოცხალ მონაწილეს იმ სამთაგან, რომელთაც ერგოთ ამ სპექტაკლის შექმნისა და მისი სიცოცხლის გაგრძელებისათვის თავგანწირული ბრძოლის მძიმე პატივი? რა დარჩენოდა დიდ მსახიობს (რომლის მსგავსთათვის წესიერ ქვეყანაში საგანგებოდ იქმნება პიესები და რომლის ამოუწყავი ნიჭი და ენერგია კვლავაც დაუხარჯავია), მეორე მხრივ კი - ზნემაღალ და თავმოყვარე პიროვნებას?

ზინა კვერენჩხილაძეს ვალი ემართა, ორმაგი ვალი: ერთი - თანამოსაგრეთა, ამასთან, მასწავლებელთა - მ. თუმანიშვილისა და ს. ზაქარიაძის წინაშე, მეორე კი - მომავალ თაობათა (ზოგადად კი - ისტორიის) წინაშე. მან, რომელმაც მარტოდმარტომ გაიკაფა გზა თეატრის სცენაზე, მის მიერვე უკვდავყოფილი ანტიგონეს პასუხისმგებლობითა და შეუპოვრობით კიდევ ერთხელ - განახლებული ტკივილით - შვა თავისი გმირი (პირდაპირი და მეტაფორული მნიშვნელობით) და ბრწყინვალე ლიტერატურული ძეგლი დაუდგა ფრანგული "ანტიგონეს" პირველ (არა მარტო ქრონოლოგიურად) ქართულ ინსცენირებას და მის შემოქმედთ. ამით წიგნის ავტორმა მხოლოდ მადლიერება კი არ გამოხატა მათ მიმართ, არამედ საქმით, პროფესიულად დაამტკიცა, რომ ღირსეული მოწაფეა მაღალი კლასის ხელოვანთა დიდი სკოლისა და რომ მზადაა მათგან მიღებული ესტაფეტა პროფესიულადვე გადასცეს შემდგომ თაობას, რასაც მსახიობი ყოველდღიურად აკეთებს მოსწავლე ახალგაზრდობისათვის.

ზ. კვერენჩხილაძის წიგნის ერთ რეცენზიაში ამოვიკითხე, რომ "ანტიგონეს" არაერთი **მუდმივი მაყურებელი** ჰყოლია. ზოგ მათგანს ეს სპექტაკლი, ასე განსაჯეთ, 20-ჯერაც კი უნახავს (სარეკორდო ციფრი არა მარტო ტრაგედიისათვის!). **თედო ნინიძის** ცნობით (რომელსაც, სხვათა შორის, თურმე "ანტიგონეს" თუმანიშვილისეული დადგმის თითქმის არც ერთი სპექტაკლი არ გამოუტოვებია), სორბონის უნივერსიტეტში მოსამართლეთა გამოცდებზე, წმინდა პროფესიული ტესტირების გარდა, გამოსაცდელებს თხზულების დასაწერად სთავაზობენ სხვადასხვა თემას ზნეობის საკითხებზედაც და მათ შორის ერთ-ერთი ძირითადი ყოფილა ანტიგონეს მითი!

ყველას, ვისაც თუნდაც ერთხელ უნახავს ეს სპექტაკლი, დაეუფლება სინანულის გრძნობა, რომ შემორჩენილია მხოლოდ ფოტოსურათები - თუნდაც ბრწყინვალედ შესრულებული მ. ოქიტაშვილის მიერ. სამაგიეროდ, მძაფრდება ხსოვნა ერთმანეთს შერეული გრძნობებისა - წარუშლელი ესთეტიკური შთაბეჭდილებებისა და დაუვიწყარი ეთიკური (ფლობერისეული "გრძნობათა აღზრდის") გაკვეთილებისა. სწორედ პერსონაჟისა და მსახიობის ჰარმონიულმა შენივთებამ გააცოცხლა ანტიკური გმირის სახე, რაც მთელი სპექტაკლის წარმატების მთავარ საწინდრად იქცა. ჩემი აზრით, ესთეტიკური ზემოქმედების საიდუმლოება ამ სპექტაკლისა, უწინარეს ყოვლისა, ზნეობის "მერიდიანზე" გადიოდა!

ზინა კვერენჩხილაძის "ჩემი ანტიგონე" ამ აუნაზღაურებლობის მწვავე შეგრძნებით, "განწირულის სულისკვეთებით" დაწერილი, უკეთ, **ამოთქმული** წიგნია. ამას ირიბად მოწმობს ქ-ნი ზინას სურვილი, ახლად შექმნილი ეს ნაწარმოები ხმამაღლა წაეკითხა მსმენელისათვის, რათა საჭირო აქცენტები - ლოგიკურიცა და ემოციურიც - არ გაბნეულიყო. ეს როლი მართლაც იმდენად ღვიძლი, იმდენად მისეულია, რომ უნებლიეთ აღძრავს ასოციაციას მისსავე სათაყვანებელ (და შთაგონებით დეკლამირებულ) გურამიშვილთან, თავისი პოემა რომ "იშვილა". ეს ის შემთხვევაა, როდესაც ზღვარი მსახიობსა და პერსონაჟს შორის მქრქალი და სრულიად პირობითია.

სწორედ ამგვარი განცდებია, ჩემი აზრით, წიგნის ჩაფიქრების ობიექტური საფუძველიცა და სუბიექტური მოტივაციაც. ავტორმა აქაც არაჩვეულებრივი ლიტერატურული ნიჭი გამოიჩინა და ერთი სპექტაკლის სცენური თავგადასავალი ბესტსელერივით საინტერესო საკითხავი გახადა. რად ღირს თუნდაც ერთი შტრიხი მიხ. თუმანიშვილის პორტრეტის დახატვისას, კერძოდ, ქაღალდის ფურცლების ჩალაგება-ამოლაგების ეპიზოდი (რეჟისორის გუნება-განწყობილების ცვალების დასახასიათებლად), ანდა ს. ზაქარიაძის "ოინი" (ტექნიკური გამონაგონი) "ანტიგონესათვის" სწორი ტონალობის შექმნაში დასახმარებლად. ასეთი მეტყველი დეტალები წიგნში სხვაც არაერთია.

ზინა კვერენჩხილაძემ ქართულ თეატრალურ სინამდვილეში შემოიტანა ახალი კულტურა - მსახიობისეული წერილობითი გააზრება-ინტერპრეტაცია საკუთარი როლისა და თანამიმდევრული ანალიზი ჩანაფიქრის ხორცშესხმისა რეჟისორსა და პარტნიორებთან ერთად. მე არ ვიცი, რამდენად ხშირია ამგვარი შემთხვევები დასავლეთის თეატრალურ პრაქტიკაში, მაგრამ ქ-ნი ზინას მიერ ამ წიგნის მხოლოდ ჩაფიქრებაც კი მე მიმაჩნია საქმისადმი ევროპულად კულტურული (იგულისხმეთ **რაციონალური**) მიდგომის გამოხატულებად. ეს წიგნი ერთდროულად დღიურებსაც გვაგონებს, მოგონებასაც და მეცნიერულ ნარკვევსაც (თუმცა კლასიკური გაგებით - ცალ-ცალკე არც ერთ მათგანს).

მსახიობის ეს ნაწარმოები (და იგი სწორედ რომ ნაწარმოებია) კიდევ ერთი დადასტურებაა მსახიობის ჭეშმარიტი პროფესიონალიზმისა. აქ ვეცნობით თუმანიშვილისეულ სტილს მსახიობთან მუშაობისას, რაც ითვალისწინებს მსახიობის პირადი ცხოვრებისაგან მიღებული განცდების ჩართვას და ამ გზით პერსონაჟისა და შემსრულებლის პოზიციათა დაახლოებასა და შერწყმა-ჰარმონიზაციას. ამ პროცესში არათუ თავიდანაა აცდენილი მსახიობის პირადი ტკივილის განცდა (საკუთარი ძმის უიღბლო ბედით გამოწვეული), არამედ მეტიც: იგი კიდევ უფრო აქტიურადაა ჩართული სპექტაკლის ემოციური ზემოქმედების გასამძაფრებლად, - მით უფრო, რომ პიესაშიც ანტიგონეს ტრაგიკული განცდები ძმას უკავშირდება. უნებლიეთ გვახსენდება მსგავსი ფაქტი **ზ. ფალიაშვილთან** დაკავშირებით, როცა მისი ერთადერთი შვილის გარდაცვალებამ "აბესალომ და ეთერის" III მოქმედების (გლოვის ზარის) დრამატიზმს თვისებრივად სრულიად სხვა სიმძაფრე შესძინა.

სპექტაკლის სათანადო ეპიზოდების გახსენებას ლოგიკურად მივყავართ მსახიობის მარადიულ ალტერნატიულ საკითხთან: რა უფრო მთავარია ემოციური ზემოქმედების მხრივ - მსახიობის მიერ პერსონაჟის ბედის გათავისება, ასე ვთქვათ, "როლში შეჭრა" (**სტანისლავსკისა** და **მარჯანიშვილის** დომინანტური ხაზი), თუ ისეთი ოსტატობა, რომლის ძალითაც მაყურებელზე ემოციური ზემოქმედება მსახიობის დიდი განცდების გარეშეც უნდა უტოლდებოდეს განცდისმიერს (სერ **ჯონ გილგუდი**).

აი, რამდენ ფიქრს აღძრავს ზინა კვერენჩხილაძის ეს წიგნი. მისი ავტორის სამსახიობო პრაქტიკის მაგალითზე კი გვიჩვენებს, რომ ერთი მეორის გარეშე არ არსებობს.

და კიდევ ერთი, მაგრამ არა უკანასკნელი: წიგნის ენა. მკითხველი რომ ესოდენი ინტერესით ეწაფება და მისგან ესთეტიკურ სიამოვნებასაც იღებს, ეს ავტორის შესანიშნავი ენის წყალობაცაა. ის პიეტეტი, რომელსაც ზინა კვერენჩხილაძე (როგორც მსახიობი და ავტორი) გრძნობს ქართული ენის მიმართ, გადაედება მსმენელ-მკითხველსაც (ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა **ანა კალანდაძის** საიუბილეო საღამოზე, რომელზედაც სრულიად განსაკუთრებულად გამოირჩეოდა მსახიობის ხმის მდიდარი ტემბრი, ინტონაცია და ფაქიზი ფრაზირება).

დასასრულ, საგანგებო აღნიშვნის ღირსია **მედეა ოქიტაშვილის** შთამბეჭდავი ფოტოები, რომლებიც მოქმედების განვითარების მიხედვით დაულაგებია მსახიობს, რის გამოც ცოცხლად აღგვიდგება სპექტაკლის დინამიკა, სადა დეკორაციები და ასეთივე ჩაცმულობა. ისევ ცოცხლად ვხედავთ ანტიგონეს თანდათანობით აბობოქრებას, რომლის დროსაც თმაც კი მეტყველებს; გვესმის ინტონაციურად დაპირისპირებული ნაცნობი ხმები და ყოველი პოზა თუ გამომეტყველება პერსონაჟთა მჭიდრო კონტაქტს ასახავს. უკანასკნელ ფოტოზე კი სიკვდილმისჯილი ანტიგონე, თავაწეული, ფართოდ გახელილი ზეაპყრობილი თვალებით, გვშორდება და გვიახლოვდება გალაკტიონისეული სტრიქონით: "მას გახელილი დარჩა თვალები".

"ჩემი ანტიგონე" მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი კულტურის ისტორიაში. ქართველებს არაერთი შესანიშნავი, დიდი მსახიობიც გვყოლია - კაციც,... ქალიც, მაგრამ ასეთი წიგნი ჩვენს თეატრალურ სინამდვილეში ჯერ არ შექმნილა. ჩვენი დიდი სურვილი იქნებოდა, ეს კულტურა (თუნდაც ერთგვარი დღიურების სახით) დაინერგოს თვით სპექტაკლის შექმნის პროცესში. ასეთი პრაქტიკა, ერთი მხრივ, აამაღლებს მსახიობთა პროფესიონალიზმსა და პიროვნულ პასუხისმგებლობას, ხოლო მეორე მხრივ ხელს შეუწყობს თეატრალური მატიანეს შექმნას. და კიდევ, მესამე: ქ-ნი ზინას წიგნი უნდა გახდეს იმის საწინდარი, რომ ეს დაუვიწყარი სპექტაკლი, ქართული თეატრალური ხელოვნების შედევრი, თუმანიშვილისეული ინტერპრეტაციით ხელახლა აღდგეს, რათა ქ-ნი ზინას ამ ლიტერატურული ნაწარმოების მკითხველები მხოლოდ მკითხველებად არ დარჩნენ და მაყურებლებადაც იქცნენ. მათ აქვთ ამის უფლება.

გეხსომებათ იბსენის პიესის სათაური: "როცა ჩვენ, მკვდრები, ვიღვიძებთ"...

სამოგზაურო კროსვორდი

თამარ ბაბუაძე

ევროპელები იმდენს მოგზაურობენ, რომ მარტივად - მოგზაურობა აღარ აკმაყოფილებთ. ქვემოთ მოგითხრობთ იმის შესახებ, თუ როგორ იხალისებენ ისინი ისედაც სახალისო აქტს - უცხო ქვეყანაში მოგზაურობას.

"მიხარია, რომ შენმა არდადეგებმა კარგად ჩაიარა. თურქეთში ბევრჯერ არ ვყოფილვარ, მხოლოდ სტამბულში, ისიც რამდენიმე წლის წინ. ჩვენც შეძლებისდაგვარად დავისვენეთ. მე და ფრანცი ნამურში, ბელგიაში ველოსიპედებით გავემგზავრეთ. 13 დღე ვიყავით გზაში, 1300 კმ. გავიარეთ. რაინის ნაპირებს მივუყვებოდით ჯერ საფრანგეთში, მერე - გერმანიაში. ამიტომაც გზად ბევრი ლამაზი ქალაქი გავიარეთ: სტრასბურგი, კოლმარი, სპეიერი, ვორმსი (იქ, სადაც უძველესი გერმანული ლეგენდა იშვა) და კოლბენცი. ამ წერტილიდან უკვე მეორე მდინარის - მოსელის ნაპირ-ნაპირ განვაგრძეთ მგზავრობა. ის კიდევ უფრო ლამაზი გამოდგა, ვიდრე რაინი, გორაკებზე შეფენილი ვენახებით, ძველი ციხესიმაგრეებით. მერე გადავიარეთ ლუქსემბურგი - ხომ იცი ის პატარა ქვეყანა. ძალიან მთაგორიანია, მაგრამ თვალწარმტაციც. ბელგიაში მეგობრებს ვესტუმრეთ, აი, კლოდის ნათლია რომაა, მამა. იქ ერთ კვირას დავრჩით, მაგრამ სექტემბერში ისევ მოგვიწევს ჩასვლა - მათი უმცროსი ვაჟი ჯვარს იწერს და... ოღონდ, ქორწილში ველოსიპედებით აღარ წავალთ, მატარებლით ვიმგზავრებთ.

ჩემი შვებულება ბელგიის მერეც გაგრძელდა. ერთი კვირით იტალიაში წავედი. მიხვალ სამოგზაურო სააგენტოში და ჩვეულებრივი მგზავრობის ნაცვლად რამე სასწავლო პაკეტს აირჩევ. მე ცეკვის კურსი ავირჩიე. რამდენიმე ევროპული ცეკვა ვისწავლეთ, მაგრამ ყველა ერთად - გუნდურად უნდა შეგვესრულებინა. ამიტომ ძალიან კარგი დრო გავატარე და ბევრი კარგი ადამიანი გავიცანი. ეს ტოსკანა ხომ საერთოდ ზღაპარია, თან კარგი ამინდი დაგვემთხვა. ახლა ახალი ჰობი მაქვს - უცხოური ეროვნული ცეკვები. სხვა?"...

ეს წერილი ჩემი მეგობარი მონიკასგან აგვისტოს ბოლოს მივიღე. მას შემდეგ მოსვენება დავკარგე, რადგან ვინ იცის, მერამდენედ გავიაზრე, თუ როგორ სისხლსავსედ შეიძლება ამ ცხოვრების გატარება, სხვანაირ რეალობაში რომ ცხოვრობდე. გუშინ კი ინტერნეტში მეც მივაკვლიე ისეთ კურსებს, რომელიც მოგზაურობასა და სწავლის პროცესს უთავსებს ერთმანეთს. გადავხედე, ცოტა ვიხვნეშე, ცოტა ვიოცნებე, ცოტაზე ვიცინე, ცოტამ გამაკვირვა და ცოდნის თვალსაწიერიც ცოტა გავიფართოვე - აი, თურმე, როგორ შეიძლება მოგზაურობის, გართობისა და სწავლის შეფარდება. ახლა იძულებულს გაგხდით, თქვენც აგიყოლიოთ. ცდა პირველი. ვიწყებთ იანვრით:

კვიპროსი ისედაც ლამაზი მხარეა, მაგრამ თუ იქ ბევრჯერ არიან ნამყოფი, იქაური ღირსშესანიშნაობებიც ზეპირად იციან, მაგრამ გული მაინც მიუწევთ, მაშინ მოგზაურობას ერთ სასარგებლო დეტალს უთავსებენ - საახალწლოდ გასუქებულ სხეულს კვლავ ფორმაში აყენებენ და ირჩევენ პაკეტს, რომელსაც ასეც ჰქვია: "გახდომა კვიპროსში". ცხოვრობენ ხუთვარსკვლავიან სასტუმრო კომპლექს "ლე მერიდიენ ლიმასოლში", დიდ ფუფუნებაში, თან აფასებენ საკუთარ გარეგნობას, მიმაგრებული ჰყავთ ინდივიდუალური ინსტრუქტორი, ვარჯიშის ინდივიდუალური პაკეტი და აქვთ დალხენილი ცხოვრება.

მაგრამ ახლა სხვა ვარიანტი დავუშვათ. ვთქვათ, ახალი წლის ღამეს ცაში იმდენი მაშხალა ისროლეს, რომ იმის გაფიქრებაც მოასწრეს - ვაიმე, ცა რა ლამაზი და იდუმალი ყოფილაო და მერე ეს გაელვებული აზრი ისე ჩარჩათ მეხსიერებაში, რომ ასტრონომიითაც დაინტერესდნენ. ცხადია, მშობლიურ ცაში ყურებას არაფერი ჯობს, მაგრამ თუ სამოგზაურო სააგენტო ჩილეს ცის კაბადონის დათვალიერებას ჰპირდებათ, არც ამაზე ამბობენ უარს. სამოგზაურო პაკეტი "ასტრონომია ჩილეში" ათდღიან მოგზაურობას მოიცავს. ორი ღამე სანტიაგოში, ექსკურსიები ყველა ღირსშესანიშნავ ადგილას, და, ცხადია, - ასტრონომია, ობსერვატორიების დათვალიერება, ვარსკვლავების ყურება, მედიტაცია და იოგა. ეს ყველაფერი ელკის ულამაზეს ხეობაში - ჩილეს, ამ უწვრილესი ქვეყნის ყველაზე მივარდნილ ადგილას.

მკვლელობა აღმოსავლეთის ექსპრესში - არიან ადამიანები, ვისაც ამ ფრაზის გაგონებაზე ძარღვებში სისხლი ეყინებათ და დეტექტიური ჟინი იპყრობთ. სწორედ მათთვის არის ასეთი პაკეტი "მკვლელობა ჩრდილოეთ იორკშირში". სასტუმრო "გისბორო ჰოლში" მოყვარულ დეტექტივებს კოქტეილით ხვდებიან და მერე მთელი კვირის მანძილზე მათი საგამომძიებლო ყნოსვის გაძლიერებაზე მუშაობენ.

ვის აგატა კრისტობა სურს, ვის - მზარეულობა, თანაც, აუცილებლად აზიურ კულინარიაზე მიმართული. სამოგზაურო სააგენტოები არც ასეთებს სწყვეტენ გულს. იანვრიდან მარტის ბოლომდე ბანგკოკში გურმანებს მასპინძლობენ. ერთკვირიანი მოგზაურობის დროს ისინი ტკბებიან ტაილანდის ეგზოტიკით და თან ტაილანდური კერძების მომზადებას სწავლობენ. შინ დაბრუნებულებს ინგრედიენტების შოვნა არ უჭირთ - ტაილანდური სურსათის მაღაზიები ბევრგან არის გახსნილი და, გარდა ამისა, მეგამარკეტებშიც იყიდება. ბევრი იმდენად მონდომებული კულინარია, რომ არც ცუნამი და საზარელი ტრაგედია აშინებს.

ასე მოდის თებერვალი.

რასაც გინდათ, იმას დააბრალეთ - კლიენტების მოზიდვის დაუოკებელ წყურვილს თუ თავად ამ კლიენტების მეტისმეტ კაპრიზულობას. ნებისმიერ შემთხვევაში რეალობა არ შეიცვლება - ტბა ვინდერმერთან არის ერთი ფეშენებელური სასტუმრო, რომელშიც კროსვორდების ამოხსნის გარდა, არაფერს აკეთებენ. არც მშვენიერი მთები და სუფთა ტბა ხიბლავთ, სხედან ძალიან კომფორტულ სასტუმროში და თავსატეხებს ჩაჰკირკიტებენ.

უფრო აქტიურები კი კარპატებში მიდიან. პოლონეთის თოვლიან მთებში ისინი ნაციონალურ პარკში, კოტეჯებში ცხოვრობენ, მერე მოირგებენ ე.წ. თოვლის ფეხსაცმელს და ბევრს დადიან. ამას მთელ ცხრა დღეს ანდომებენ. ირუჯებიან, სხეულს იკაჟებენ, სუფთა ჰაერზე ფილტვებს იწმენდენ და მშვენიერი სანახაობისგან დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას იღებენ.

იმავე პერიოდში ზოგი პირიქით - თოვლს გაურბის და ახალ ზელანდიაში მიდის. თანაც, ერთი სპეციფიკური მიზეზით: იქ თევზის კერძების მომზადებას უნდა დაეუფლონ. "ზღვის საკვები ახალ ზელანდიაში" - ასე ჰქვია პაკეტს, რომელიც ათდღიან მოგზაურობას გულისხმობს.

ფოტოგრაფია ნორვეგიაში - ეს ტური კი მისწრებაა ყველა მოყვარული თუ პროფესიონალი ფოტოგრაფისთვის. სამი ღამე ქვეყნის ჩრდილოეთში, სამი არქტიკული მოგზაურობა, სნოუმობილით მგზავრობა და დაუვიწყარი პეიზაჟები.

მერე მარტი. და ისევ კულინარია. ოღონდ, ამჯერად მოქმედება ხდება იტალიის ულამაზეს და უცნობილეს ქალაქ ვენეციაში. ცხოვრება სასტუმრო "გრიტი პალასში", სეირნობა და საკუთარი ხელით პროდუქტების არჩევა რიალტოს ბაზარში, მერე მომზადება - ცხადია, ნამდვილი იტალიური და უფრო კონკრეტულად - ქალაქურ-ვენეციური კერძების.

12 მარტიდან კი დავოსის კარია ღია. შვეიცარიის მშვენიერი მთები განსაკუთრებული ხელგაშლილობით მძაფრი შეგრძნებების მოყვარულ მოთხილამურეებს ელიან. მათ, ვისაც სურთ გაუკვალავ, უბილიკო თოვლში სრიალის ტექნიკის დაუფლება-დახვეწა, დავოსში გამოცდილი ინსტრუქტორები და ოთხვარსკვლავიანი სასტუმრო "მეიერჰოფი" დახვდებათ. ერთი კვირა თოვლის, აგუზგუზებული ბუხრისა და დაუვიწყარი სრიალის დრო იქნება.

მერე უკვე ესპანური რომანტიკის ხანა დადგება. ფინკა დელ მორო - ეს ცხენოსნობით განთქმული ადგილია. ცხელსისხლიანი ესპანელი ცხენოსნები მთელი კვირის განმავლობაში უმასპინძლებენ თავიანთ სტუმრებს, დაათვალიერებინებენ ულამაზეს გარემოს და ცხენთან მეგობრობას ასწავლიან.

აპრილში უკვე თბილა, ყვავილობის სეზონი დგება, მწვანილობისაც. დიახ, პორტუგალიაში, ალენტეხოს მიდამოებში, ელიან ისეთ პროფესიონალ მზარეულებსა და დიასახლისებს, რომელთაც თითოეული მცენარის ფასი და გემო იციან. ერთი კვირის მანძილზე ასეთები იმ პორტუგალიურ სანელებლებსა და მწვანილებს შეისწავლიან, რომლებიც ყველაზე მეტად უხდება სუფეს, წვნიანებს, თევზის კერძებს.

და ისევ აპრილში ეგზოტიკური და ულამაზესი მაროკო. დიდი გამოცნობა არ სჭირდება იმას, თუ რისი სწავლა შეიძლება მაროკოში. იქ მიდიან ისინი, ვისაც ცეკვა უყვარს. მუცლის ცეკვები მშვენიერი მარაქეშის უმდიდრესი სასტუმროების ტერასაზე და კიდევ უფრო მეტი ეგზოტიკა - სამი ღამე უდაბნოში. აზიური კულტურის მოყვარულები ამ რვა დღის განმავლობაში მაქსიმალური სიამოვნების მისაღებად ერთ წუთს არ კარგავენ.

გაგრძელება კიდევ შეგვიძლია, ტურების უცნაური სათაურები არ ილევა: "ესპანური ენა სამხრეთ ამერიკაში", "ტვინის ვარჯიში სენტ ლუსიაში", "იოგა ანდალუსიაში", "პროვანსალის სამზარეულო კოტ დ`აზურში", "რაგბი ახალ ზელანდიაში", "მებაღეობა ანგილაში", "არქიტექტურა იტალიაში", "პიცის მომზადება ნეაპოლში", "ველური ბუნება ბოცვანაში", "ჩოგბურთი ალგარვეში", "სერფინგი ბრაზილიაში" და ასე შემდეგ.

მოკლედ, ასე - ცხოვრება მშვენიერია, საინტერესოა, სახალისოა და მისგან ბევრი რამის სწავლა შეიძლება, კროსვორდების ამოხსნისაც კი.

ნინია კაკაბაძის სვეტი

ძლიერნი ამა ქვეყნისა

არ მითხრათ, დღეს ძველით ახალი წელია და აბა, შენ იცი, ჩვენი ისედაც საზეიმო განწყობა კიდევ უფრო გაალამაზეო. ნამდვილად ბედის ირონიაა, რადგან ახალი შობა, ახალი წელი, ძველი შობა, ძველით ახალი წელი - ყველა პარასკევ დღეს დაემთხვა და მუდმივად გაორებული ვარ. მერიდება, სადღესასწაულო განწყობით რომ ვერ ვთხზავ სვეტებს. მოკლედ, ასეა თუ ისე, იმედი მაქვს, ეს უკანასკნელი დღესასწაულია ამ წელიწადში, რომელიც პარასკევს გაგვითენდა და ამიტომ კიდევ ერთხელ გილოცავთ დამდეგ 2005 წელს, მრავალს დაესწარით.

ახლა, ამ ძველით ახალ წელს, ერთ ძველ ჩვევასა და ახალ სახეებზე მინდა ორი სიტყვით მოგახსენოთ. პირდაპირ ამბავს მოგიყვებით, რომელიც საკუთარი ყურით გავიგონე. რამდენიმე დღის წინ ფეხით ჩავიარე სახელმწიფო კანცელარიასთან, სადაც საპროტესტო აქცია მიმდინარეობდა. ამ ადგილას ხშირად მიწევს გავლა და უნდა გითხრათ, რომ ასეთ აქციებს ადრე გაცილებით სისტემატური ხასიათი ჰქონდა. შეკრებილი ხალხი ხმამაღლა ეძახდა საქართველოს პრეზიდენტს. ისინი არც ისე ბევრნი იყვნენ, რომ მათთან შესახვედრად თავად პრეზიდენტი ჩამოსულიყო. ამიტომ რამდენიმე საათის განმავლობაში არ იშლებოდნენ და "მიშა, მიშას" ყვიროდნენ. ვინ იყო ეს ხალხი და რას ითხოვდა? ეს ადამიანები (დაახლოებით 200-მდე კაცი) საქციო საზოგადოება მაუდის თანამშრომლები (ყოფილი მაუდკამვოლის კომბინატი "საბჭოთა საქართველო") გახლდნენ. რამდენიმე წლის წინ კომბინატი ბადრი პატარკაციშვილს შეუსყიდია. ბუნებრივია, გაფორმებულა ხელშეკრულება თანამშრომლებთან მუშაობის გაგრძელების თაობაზე. ამის შემდეგ კომბინატმა პრაქტიკულად შეწყვიტა მუშაობა. თანამშრომლები ქუჩაში დარჩნენ. მათ შეჰპირდნენ ზარალის ანაზღაურებას, თუმცა, არ შეასრულეს. ქუჩაში დარჩენილმა თანამშრომლებმა სასამართლოში შეიტანეს საჩივარი. სასამართლომ მათთვის სასარგებლო განაჩენი გამოიტანა, თუმცა, მიუხედავად ამისა, მოთხოვნა მაინც არ დაკმაყოფილებულა. აი, ეს ადამიანები სთხოვდნენ შველას საქართველოს პრეზიდენტს. მათი მოთხოვნა სრულიად კანონიერი იყო.

ასეთი სიტუაციები საკმაოდ ხშირია უკანასკნელ წლებში. ბუნებრივია, ხან ერთი მხარეა მართალი, ხან - მეორე. ამ შემთხვევაში რომელია მართალი, მე არ ვიცი, რადგან მხოლოდ ერთ მხარეს მოვუსმინე. ყველაფერი, რაც ზემოთ მოგახსენეთ, ერთ-ერთი თანამშრომლის ნაამბობი გახლავთ. მე გამომძიებელი არ ვარ, ამიტომ ამ საქმის გარკვევას მათ მივანდობ, ვინც პროფესიულად დაინტერესდება იმ 1000 ადამიანის ბედით, რომელიც, კანონიერად თუ უკანონოდ, უსამსახუროდ და ულუკმაპუროდ აღმოჩნდა. ყველაზე მეტად, რამაც ამ ქალბატონების ნაამბობში აღმაშფოთა, ის გახლდათ, რომ საპროტესტო აქციასთან, რომელიც სამ დღეს მიმდინარეობდა, ყოველდღიურად მოდიოდნენ სხვადასხვა მაუწყებლობის ტელეჟურნალისტები და აქციის მონაწილეებისგან ინტერვიუს იღებდნენ. მაგრამ არც იმ დღეს, არც მომდევნო დღეებში არც ერთ მათგანს არ გაუშუქებია ეს მოვლენა. ერთ-ერთ ჟურნალისტს ისიც კი უთქვამს, რა ვქნა, ჩემზე არ არის დამოკიდებული, ეს რომ გავუშვა, სამსახურს დავკარგავო. ქალბატონები, რომლებიც ამ ამბავს მიყვებოდნენ, დიდი სიმპათიით აღწერდნენ იმ გოგონას, რომელსაც უნდოდა, მათი მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია მიეწოდებინდა საზოგადოებისა და ხელისუფლებისთვის, მაგრამ ეს თურმე დიდ რისკთან იყო დაკავშირებული. აქვე უნდა მოგახსენოთ, რომ არსებულ 10 ტელეკომპანიას შორის მხოლოდ "კავკასია" ყოფილა ის არხი, რომელსაც ეს პრობლემა გაუშუქებია.

ვფიქრობ, სრულიად გასაგებია, თუ რამდენად გაფართოვდა ბადრი პატარკაციშვილის გავლენა, რომელიც, როგორც ჩანს, მხოლოდ საკუთარ არხს კი არა, მედიის მთლიან ბირთვს აკონტროლებს. კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა: არ გამოვრიცხავ, რომ სააქციო საზოგადოება "მაუდის" ირგვლივ შექმნილ სიტუაციაში ორივე მხარეს საკუთარი სიმართლე ჰქონდეს. ჩემთვის მხოლოდ ის არის შემაშფოთებელი, რომ ქუჩაში დარჩენილი 1000 ადამიანის ბედით "დაინტერესდნენ", მაგრამ "პერსონა ნონ გრატას" გამო ვერ ეხმარებიან. სიტუაცია არც ისე მარტივია, რომ ის ყურადღების ღირსად არ ჩავთვალოთ, ბოლოს და ბოლოს, საუბარია 1000 ადამიანზე, რომელიც პასუხს ელოდება. მაგრამ, ეტყობა, 1000 ადამიანი არაფერია ერთ ადამიანთან შედარებით. ბატონი პატარკაციშვილი ქვეყანას სჭირდება, მისი ფინანსური შესაძლებლობები ხელისუფლებას სჭირდება, სულ ცოტა ხანში ის მთელ მედიასივრცეს შეისყიდის და შემდეგ მისი მისამართით მოგვიწევს პათეტიკური წერილებისა თუ სტატიების წერა. მაგრამ ეს არც ისე მნიშვნელოვანია. მთავარი ის გახლავთ, რომ მალე ცირკში ახალ დათვებს ჩამოგვიყვანენ, ტელეკომპანია "იმედის" ეთერით ახალი "გენიალური" ტელესერიალებით გაგვანებივრებენ და ა.შ.

ერთი სიტყვით, ეს ერთი ფაქტია, რომელსაც სრულიად შემთხვევით გადავეყარე. ვინ იცის, კიდევ რამდენი ადამიანის სია არსებობს, რომელთაც ჟურნალისტები თუ ტელეარხები ვერ ეხებიან, რომელთა შესახებ ჩვენ მხოლოდ ერთი სახის ინფორმაციას ვფლობთ: როგორ ეხმარებიან ქართულ კულტურას, ქართულ მედიას, ზოგადად, ქართველ ადამიანებს და სხვა. მაგრამ რამდენი გაჭირვებული ადამიანი რჩება უყურადღებოდ მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი გაანაწყენეს ძლიერებმა ამა ქვეყნისა.

დაბოლოს, ისევ საახალწლო სურვილებს დავუბრუნდები. მინდა, რომ ამ ჩვენს ქვეყანაში აღარასდროს ვყოფილიყავით ამგვარი უსამართლობის შემსწრენი, სიმართლე და სამართალი, მთლად წლეულს თუ არა, უახლოეს წლებში მაინც ყოფილიყოს ქვეყნის ფეხზე დადგომისა და რეანიმაციის მთავარი სტრატეგია.

ინფორმაცია

"კამპ ნოუზე" საქველმოქმედო მატჩს ელიან

15 თებერვალს ბარსელონაში, "კამპ ნოუს" სტადიონზე ჩატარდება საქველმოქმედო საფეხბურთო მატჩი, რომლის მიზანი აზიაში დატრიალებული ტრაგედიის მსხვერპლთა ოჯახების დახმარება იქნება.

ფიფასა და უეფას ერთობლივ განცხადებაში იტყობინებიან, რომ მატჩში სახელწოდებით "ფეხბურთი იმედისთვის" შეხვდება ორი გუნდი. ერთ-ერთ გუნდში 2004 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი (ფიფას ვერსიით) ბრაზილიელი რონალდინიო ითამაშებს. გუნდს, რომელიც რონალდინიოსა და კომპანიას დაუპირისპირდება, "ფრანს ფუტბოლის" მიერ დასახელებული კონტინენტის საუკეთესო ფეხბურთელი უკრაინელი ანდრეი შევჩენკო გაუძღვება.

რაც შეეხება იმას, თუ ვინ მოამზადებს გუნდებს ამ მატჩისთვის. პირველს ბრაზილიელი კარლოს ალბერტო პარეირა და ჰოლანდიელი ფრანკ რაიკარდი უხელმძღვანელებენ, ხოლო მეორეს - იტალიელი მარჩელო ლიპი და ფრანგი არსენ ვენგერი.

"ჩელსიდან" გარიცხულისგან კომპენსაციას ითხოვენ

ლონდონის "ჩელსის" არაფრით არ უნდა, რუმინელი თავდამსხმელი ადრიან მუტუ ტურინის "იუვენტუსში" ფულადი კომპენსაციის გარეშე გაუშვას. ყოველ შემთხვევაში, ასეთ ინფორმაციას ავრცელებენ ბრიტანული სააგენტოები.

შარშან, ნოემბერში, რუმინელ ლეგიონერს შვიდთვიანი დისკვალიფიკაცია მისცეს და "ჩელსიდანაც" გარიცხეს. მიზეზი კოკაინის მოხმარება გახლდათ. თუმცა, ადრიან მუტუ უკლუბოდ დიდხანს არ დარჩენილა. ამაზე მეტყველებს ტურინელთა დაინტერესება, რომელთანაც რუმინელმა ოთხშაბათს ხუთწლიანი ხელშეკრულება გააფორმა.

"ჩვენს პოზიციაში იოტისოდენა ცვლილებაც არ მომხდარა. მიგვაჩნია, რომ კომპენსაციას ვიმსახურებთ როგორც მუტუსგან, ისე მისი ახალი კლუბისგან, - აცხადებს ლონდონელთა ერთ-ერთი წარმომადგენელი. - დაუშვებელია, გამოსამშვიდობებლად ხელი დაუქნიო ისეთ ფეხბურთელს, რომელიც 20 მილიონი დოლარი ღირს და თან ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს ასეც უნდა იყოს".

შევჩენკო რებროვს "მილანში" ეპატიჟება

მილანის "მილანის" უკრაინელმა თავდამსხმელმა ანდრეი შევჩენკომ ბრიტანულ საინფორმაციო საშუალებებთან საუბარში განაცხადა, რომ მისი პარტნიორი ნაკრებიდან სერგეი რებროვი ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო თავდასმხმელია, მაგრამ დიდი შეცდომა დაუშვა, როდესაც "ტოტენჰემში" გადავიდაო: "მისი მხრიდან ეს არასწორი საქციელი იყო, რადგან "ტოტენჰემი" მისთვის არასაკმარისად ძლიერი კლუბია. როდესაც კიევის "დინამოდან" გადავდიოდი, ჩემით ბევრი კლუბი იყო დაინტერესებული, მათ შორის "ტოტენჰემიც", მაგრამ მათთან გადასვლის შესაძლებლობაც კი არ განვიხილე. ჩემთვის ძალზე სასიამოვნო იქნება, თუ სერგეი "მილანში" გადმოვა".

რომარიო ითამაშებს და მერე დაფიქრდება

Sky Sports-ისგან შევიტყვეთ, რომ 38 წლის ბრაზილიელი თავდამსხმელი რომარიო საკუთარ კარიერას "ვასკუ და გამაში" გააგრძელებს.

კლუბის პრეზიდენტის თქმით, რომარიო კლუბის ღირსებას რიო დე ჟანეიროს ჩემპიონატში დაიცავს და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღებს გადაწყვეტილებას საკუთარ მომავალთან დაკავშირებით: გააგრძელოს თუ არა კარიერა, წამოვიდეს აშშ-დან თუ დარჩეს "ვასკუ და გამაში".

კენია ოლიმპიურად ალაპარაკდა

ის, რომ აფრიკის კონტინენტს არასდროს უმასპინძლია ოლიმპიური თამაშებისთვის, ალბათ, ყველამ იცის. რა ხანია, აფრიკელებს უნდათ, ოლიმპიადა შავ კონტინენტზე იხილონ, მაგრამ დღემდე ხელმოცარულნი რჩებიან...

"როიტერის" ცნობით, 2016 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის სურვილი კენიელებმა გამოთქვეს. "მინდა განვაცხადო, რომ კენია პირველი აფრიკული სახელმწიფო იქნება, რომელიც ოლიმპიურ თამაშებს მიიღებს. ჩვენი განზრახვა 2016 წელს განხორციელდება", - თავდაჯერებულია კენიის სპორტის მინისტრი ოჩილო აიაკო.

ამ ცოტა ხნის წინათ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ჟაკ როგმა აფრიკის ქვეყნებს მოუწოდა, წამოაყენონ საკუთარი კანდიდატურები ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის უფლებისთვის.

ფეხბურთი

"დინამოს" საკაპიტნო ტრანსფერები

ლევან ხარხელიძის ფოტო

გია გეგუჩაძე თავის გუნდში გოჩა ჯამარაულს იწვევს.

მიხეილ აბაიშვილი

ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ზამთრის არდადეგებზეა გასული, თუმცა, ეროვნულ ფეხბურთში მაინც ბევრი მნიშვნელოვანი ამბავი ხდება. ყველაზე საინტერესო, რაღა თქმა უნდა, ტრანსფერებია. მოლოდინისამებრ, ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის პერიოდში ყველაზე უფრო თბილისის "დინამო" აქტიურობს. ჯერ წამსვლელებზე მოგახსენებთ. საბოლოოდ დადასტურდა, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრების კანდიდატის, ნიჭიერი თავდამსხმელ-ნახევარმცველ-მცველის ლადო ახალაიასა და "დინამოს" გზები იყრება. კლუბმა ის სატრანსფერო სიაში შეიყვანა და, როგორც ჩანს, ლადოს ახალი კლუბის მოძიებაში მაინცდამაინც დიდი პრობლემა არ შეჰქმნია. ახალაია გუშინ გაფრინდა შვეიცარიაში, სადაც ჯამარაულისა და ყაველაშვილის ყოფილ კლუბთან "ციურიხთან", სავარაუდოდ, ერთწლიან კონტრაქტზე მოაწერს ხელს.

უფრო ადრე დატოვა "დინამო" მისმა ექსკაპიტანმა, ასევე ეროვნული ნაკრების კანდიდატმა გიორგი შაშიაშვილმა, რომელიც ავსტრიაში, ამ ქვეყნის ბუნდესლიგის კლუბ "პაშინგში" ვარჯიშობს და კონტრაქტის გაფორმებასაც ბევრი აღარაფერი უკლია.

2004 წლის ფორმაციის "დინამოს" კიდევ სამი ცნობილი სახე - სანდრო იაშვილი, ლადო ბურდული და ბორის გონჩაროვი სხვაგან გააგრძელებენ სპორტულ კარიერას. იაშვილი ისევ განათხოვრებულია კლუბ "თბილისში", რომელიც დღეს მოსკოვში გაემგზავრება და თანამეგობრობის თასის ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. "დინამოდან" კიდევ ერთი განათხოვრებული ფეხბურთელი, თბილისის "ლოკომოტივში" გადასული გოგობერიშვილი ასევე საქართველოს დატოვებას აპირებს. ამის თაობაზე ინფორმირებული არიან როგორც "ლოკომოტივის", ისე "დინამო" შეფები და მათი მხრიდან დაბრკოლება არ არსებობს. თავად ალეკოს თქმით, იგი უახლოეს დღეებში უკრაინის უმაღლესი ლიგის ერთ-ერთი გუნდიდან ელის მიწვევას. გოგობერიშვილის თანაგუნდელ ბურდულსაც ჩრდილოეთისკენ უჭირავს თვალი და იგივე ტრანზიტის გავლას აპირებს, როგორითაც საკმაოდ ბევრმა ქართველმა ფეხბურთელმა გაიკვლია გზა ევროპული ფეხბურთისკენ. ლადოს ვლადიკავკაზის "ალანია" ეპატიჟება. თავად ფეხბურთელიც უარს არ ამბობს ოსების მთავარ გუნდში გადასვლაზე. რაც შეეხება გონჩაროვს, ის ჯერჯერობით უგუნდოდაა, თუმცა, თავისუფალი აგენტის სტატუსით, რაც სხვა გუნდში უკომპენსაციოდ გადასვლის უფლებას აძლევს. არ არის გამორიცხული, მის მიმართ ინტერესი გამოთქვას "ზესტაფონმა", რომელსაც თემურ მახარაძე უდგას სათავეში. შეგახსენებთ, რომ მახარაძეს ეს ფეხბურთელი საკმაოდ ესიმპათიურება, რასაც სხვადასხვა კლუბში მათი ერთობლივი თანამშრომლობა ადასტურებს. გონჩაროვისა და მახარაძის ტანდემმა გასულ სეზონში ბოლნისის "სიონი" თითქმის ჩემპიონი გახადა.

არანაკლებ შთამბეჭდავია "დინამოში" მიწვეულ ფეხბურთელთა სია. ქუთაისის "ტორპედოს" კაპიტანი შოთა ბაბუნაშვილი და თავდამსხმელი გია მეგრელაძე, "ვიტ ჯორჯიას" კაპიტანი ლაშა ნოზაძე, ზაპოროჟიეს "მეტალურგისა" და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მცველი ლაშა ჭელიძე და პირველი ლიგის წარმომადგენელი, თბილისის "სპარტაკის" შემტევი ნახევარმცველი კობა შალამბერიძე. ხუთივე ეს ფეხბურთელი 5 იანვრიდან, ანუ "დინამოს" მიერ შეკრების დაწყების დღიდან დიღმის საწვრთნელ ბაზაზეა და გეგუჩაძის ხელმძღვანელობით გუნდთან ერთად ვარჯიშობს. ამ ფეხბურთელების მიმართ ინტერესი "დინამოს" მხრიდან კარგა ხნით ადრე იყო დეკლარირებული და მათი დიღომში გამოჩენა არავისთვის არ ყოფილა მოულოდნელი, რასაც ვერ ვიტყვით დონეცკის "მეტალურგის" ყოფილ კაპიტანზე გოჩა ჯამარაულზე, რომელიც ორი დღის წინ გამოჩნდა "დინამოს" საწვრთნელ ბაზაზე და გუნდთან ერთად ორი ვარჯიში ჩაატარა. თუმცა, საუბარი იმაზე, რომ ჯამარაული მშობლიურ კლუბს დაუბრუნდა და სეზონს "დინამოს" მაისურით განაახლებს, ნაადრევია. ასევე ნაადრევია ბაბუნაშვილის, მეგრელაძის, ნოზაძის, ჭელიძისა და შალამბერიძის დინამოელებად მოხსენიება. არც ერთ მათგანთან კლუბს ჯერ კონტრაქტი არ გაუფორმებია. როგორც "დინამოს" პრესატაშემ ლევან სალუქვაძემ გვითხრა, გუნდის მთავარი მწვრთნელი გია გეგუჩაძე 18 იანვარს გამართავს პრესკონფერენციას, რომელზეც ცნობილი გახდება, თუ ხსენებული ფეხბურთელებიდან ვინ დაუკავშირებს "დინამოს" თავის ბედს. აქვე გეტყვით, რომ 20 იანვარს თბილისის "დინამო" გაემგზავრება ზამთრის პირველ შეკრებაზე კვიპროსში, სადაც, სულ ცოტა, სამ ამხანაგურ მატჩს გამართავს. გუნდი 30 იანვარს დაბრუნდება თბილისში, თუმცა, 1 თებერვალს ისევ აეროპორტისკენ აიღებს გეზს - "დინამო" ესპანეთში გაემგზავრება, სადაც "მარბელას თასად" წოდებულ ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. იქ ჩვენი გუნდის მეტოქეები იქნებიან მოსკოვის "სპარტაკი", სანქტ პეტერბურგის "ზენიტი" და დონეცკის "შახტიორი".

ჟირესმა პოლონელებს უარი შეუთვალა

მიხეილ აბაიშვილი

რამდენიმე დღის წინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში მოვიდა ტელეფაქსი - პოლონეთის ფეხბურთის ფედერაცია ამხანაგური სპარინგმატჩის ჩასატარებლად ეპატიჟება ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებ გუნდს. პოლონელებმა ამ მატჩის ჩასატარებლად 2005 წლის მაისის ბოლო აირჩიეს. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ეროვნული გუნდის მთავარ მწვრთნელთან ალენ ჟირესთან ერთად განიხილა ეს საკითხი და პოლონელებს უარი შეუთვალა. მთავარი მოტივი ჟირესის პოზიცია აღმოჩნდა. მისი თქმით, პოლონელების მიერ შემოთავაზებული მატჩის თარიღი ემთხვევა რუსეთის, უკრაინისა და გერმანიის ეროვნული ჩემპიონატების ტურებს. ამ ქვეყნებში კი საქართველოს ნაკრების ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელთა საკმაო ნაწილი თამაშობს, რომელთა გარეშეც ამხანაგური მატჩის ჩატარება აზრს მოკლებულია. ამ თამაშის საწინააღმდეგო კიდევ ერთი არგუმენტი ის გახლავთ, რომ ივნისის დასაწყისში საქართველოს ნაკრებს ოფიციალური შესარჩევი მატჩი ელის ალბანეთის ეროვნულ გუნდთან, რომლის წინ ტრავმების მიღება არასასურველია.

აქვე გეტყვით, რომ უახლოეს თამაშს საქართველოს ეროვნული ნაკრები 9 თებერვალს თბილისში ჩაატარებს. ჩვენი გუნდის მეტოქე იქნება ლიტვის ნაკრები. ერთი დღით ადრე გაიმართება ახალგაზრდული ნაკრები გუნდების ამხანაგური შეხვედრაც. ჟირესისა და მისი შეგირდებისთვის ლიტვასთან მატჩი ბოლო საკონტროლო შეხვედრა იქნება მსოფლიო ჩემპიონატის ორი ოფიციალური თამაშის წინ. ამ ორივე მატჩს საქართველოს ნაკრები შინ გამართავს. 26 მარტს ევროპის ჩემპიონს - საბერძნეთის ეროვნულ გუნდს უმასპინძლებს, ხოლო 4 დღის შემდეგ - თურქეთის ნაკრებს. წინასწარი ინფორმაციით, მატჩები "ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართება.

ინფორმაცია

გაბაშვილი ავსტრალიის კორტებს ასცდა

რუსეთის სახელით მოასპარეზე ქართველი ჩოგბურთელი თეიმურაზ გაბაშვილი ავსტრალიის ღია ჩემპიონატის კვალიფიკაციის მეორე წრეში ვერ მოხვდა. ავსტრალიის უმთავრესი კორტებისკენ მიმავალი გზა მას კვიპროსელმა მარკოს ბაგდატისმა გადაუღობა.

დევენპორტი ავადაა

"როიტერის" ცნობით, მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა ამერიკელმა ლინდსეი დევენპორტმა ავადმყოფობის გამო სიდნეის WTA ტურნირის მეოთხედფინალურ მატჩში ავსტრალიელი სამანტა სტოსურის წინააღმდეგ თამაშზე უარი განაცხადა.

ბრიტანეთის დედოფალს ლონდონის არ სჯერა

ბუკინგემის სასახლის ერთმა მოხალისემ ბრიტანულ ტაბლოიდურ გამოცემა "Sun"-ს გაანდო ელიზაბეტ II-ის ეჭვი, თითქოს ლონდონს არავითარი შანსი არა აქვს, 2012 წლის ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლოს, რადგან ფავორიტად პარიზი მიაჩნიაო.

"დედოფალს ოლიმპიური თამაშების ლონდონში გამართვის შესაძლებლობაზე ვკითხე და მიღებულმა პასუხმა გამაოგნა, - ვითარებაში გვარკვევს მოხალისე. - მან მითხრა, რომ გამარჯვება პარიზს დარჩება. ჩემმა თხოვნამ იმის თაობაზე, რომ დედოფალმა მხარი დაუჭიროს ხელისუფლების მისწრაფებას, მოიპოვოს ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის უფლება, მიპასუხა: ლონდონელთა უმეტესობა ოლიმპიადის წინააღმდეგია".

მოგვიანებით ბუკინგემის სასახლის ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა: "დედოფლის განცხადებებს, რომელიც, შესაძლოა, არც კი გაუკეთებია, კომენტარს არ ვუკეთებთ".

შეგახსენებთ, რომ 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის პატივისთვის ლონდონთან და პარიზთან ერთად იბრძვიან მოსკოვი, მადრიდი და ნიუ იორკი.

დონ კინგს მილიარდერობა მოუნდა

გაქნილმა ამერიკელმა პრომოუტერმა დონ კინგმა საკუთარ პრესკონფერენციაზე გაახმაურა ტელეკომპანიების ESPN და ABC, საპროდიუსერო კომპანიის Advocate Communications Group და კომპანია "დისნეის" მიმართ შეტანილი 2,5-მილიარდიანი სარჩელის წვრილმანები. როგორც იტყობინებიან, სასამართლოსთვის კინგის მიმართვის მიზეზი ისაა, რომ შარშან, მაისში, ტელევიზიით უჩვენეს დოკუმენტური ფილმი სერიიდან SportsCentury, რომელშიც ცნობილი პრომოუტერი, როგორც თავად აცხადებს, "სრულად უსამართლოდ გამოიყვანეს როგორც თაღლითი და ბანდიტი".

დონ კინგის ადვოკატმა ვილი გერიმ, რომელიც ცნობილია მსხვილ კორპორაციებთან მოგებული სასამართლო პროცესებით, ფილმის ავტორებსა და გამავრცელებლებს მოსთხოვა, ფილმში მოყვანილი თითოეული სიტყვა განემარტათ ან საკუთარი კლიენტისთვის მიყენებული მორალური ზარალისა თუ შელახული რეპუტაციისთვის უზარმაზარი ფულადი კომპენსაცია გადაეხადათ.

პიკე-უმცროსს ფორმულა 1 არ ხიბლავს

ნელსონ პიკე-უმცროსს, ფორმულა 1-ის სამგზის მსოფლიო ჩემპიონის შვილსა და ბრიტანული ფორმულა 3-ის მოქმედ ჩემპიონს განზრახული აქვს, ახალი სეზონი GP-2-ის სერიაში გაატაროს. ერთი წლის შემდეგ კი, როგორც ამბობენ, პიკე-უმცროსს ფორმულა 1-ში მოხვედრაც განუზრახავს, მაგრამ...

19 წლის ბრაზილიელს ტესტებზე უკვე მოსინჯული აქვს "BMW-უილიამსის" ბოლიდი, თანაც, მისივე თქმით, შეეძლო, ხელშეკრულება გაეფორმებინა "ჯორდანთან" ან "მინარდის" საჯინიბოსთან: "რომ მდომებოდა, ახლა ფორმულა 1-ში ვიქნებოდი. არ მინდა, უმაღლეს გუნდში მივიდე და წარმატებული მრბოლი გავხდე. სულაც არ მაინტერესებს, რომელიმე გუნდში ადგილი ვიყიდო. "ჯორდანისა" და "მინარდის" ბოლიდში ჩაჯდომა ყველას შეუძლია, თუ, რა თქმა უნდა, ამისთვის მილიონებს გაიღებს".

ფერარელები რომის პაპთან მიდიან

მომავალ ორშაბათს "ფერარის" ხელმძღვანელობა, მრბოლები და იტალიური საჯინიბოს სხვა თანამშრომლები ვატიკანის გზას დაადგებიან, რათა რომის პაპს იოანე პავლე II საკუთარი ვიზიტით დასდონ პატივი.

ცნობილია, რომ მრავალი წლის განმავლობაში რომის პაპი ყურადღებით ადევნებს თვალს სკუდერიელთა მუშაობას. 1988 წელს კი, ენცო ფერარის გარდაცვალებიდან რამდენიმე კვირის შემდეგ, მარანელოში "ფერარის" ქარხანას ეწვია.

ვალში არც ფერარელები დარჩენილან - იოანე პავლე მეორეს "ფერარი" აჩუქეს. 1989 წელს კი სკუდერიელთა პრეზიდენტი ლუკა დი მონტეძემოლო პაპის ფიორანოს ტრასაზე "ფერარი-სპაიდერით" მიაცილებდა.

ინფორმაცია

რასიზმის წინააღმდეგ

ჰოლანდიის ნაკრები მომავალ თვეში ამხანაგურ მატჩს გამართავს ინგლისთან. საინფორმაციო სააგენტო "როიტერის" თქმით, თამაში გაიმართება აქციის ფარგლებში - "ადექი და თქვი". როგორც ცნობილია, ეს აქცია ლონდონის "არსენალის" ფრანგმა ფორვარდმა ტიერი ანრიმ წამოიწყო და ის რასიზმის წინააღმდეგ არის მიმართული.

რონალდო ჰონგ კონგში ითამაშებს

თებერვალში მსოფლიო ჩემპიონი ბრაზილიის ნაკრები ამხანაგურ მატჩს გამართავს ჰონგ კონგში და ამ მატჩს ჩინური ახალი წლის აღსანიშნავად ითამაშებს. ბრაზილიელთა მეტოქე ადგილობრივი გუნდი იქნება. თამაში აგრეთვე ჰონგ კონგის ფეხბურთის ფედერაციის დაარსების 90 წლისთავს მიეძღვნება. ბრაზილიის ნაკრების შემადგენლობაში მადრიდის "რეალის" ფორვარდი რონალდოც ითამაშებს.

რალიმ კიდევ ორი მოტოციკლისტი შეიწირა

ხუთშაბათს ბარსელონა-დაკარის რალიზე კიდევ ორი მოტოციკლისტი გარდაიცვალა. ისინი სატვირთო მანქანის საბურავებქვეშ მოყვნენ. გარდაცვლილები ბელგიელები არიან, რომლებიც უშუალოდ რალიში არ მონაწილეობდნენ, თუმცა, ბელგიელი რენე დელიაბის მხარდამჭერ გუნდში ირიცხებოდნენ. გასულ შაბათს, მეცხრე ეტაპის დროს, ის იძულებული გახდა, დისტანციას ჩამოშორებოდა.

უფრო ადრე, სამშაბათს, გარდაიცვალა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი იტალიელი ფაბრიციო მეონი, რომელიც წაქცევისას 184 კილომეტრ\საათი სიჩქარით მიჰქროდა. კიდევ ერთი დღით ადრე კი ტრავმებისგან გარდაიცვალა ესპანელი მრბოლი ხოსე მანუელ პერესი.

რალის ბევრი მონაწილე (მათ შორის სახელოვნებიც) კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს ტურნირის ორგანიზატორებს. მრბოლები უკმაყოფილონი არიან იმის გამო, რომ მათ რალი უდაბნოში ჩქაროსნულ რბოლად გადააქციეს. ამან კი მონაწილეთა მხრიდან გაუმართლებელი რისკი გამოიწვია. რალის არსებობის 27 წლის განმავლობაში სულ 48 ადამიანი გარდაიცვალა, მათ შორის 22 სპორტსმენი.

იტალია ევრო 2012 მასპინძლობისთვის იბრძოლებს

იტალია ემზადება იმისთვის, რომ 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება მოიპოვოს. ამის შესახებ ინფორმაცია სააგენტო "როიტერმა" გაავრცელა. ოთხშაბათს იტალიის პრემიერ-მინისტრი სილვიო ბერლუსკონი ფედერაციის შეფს ფრანკო კარაროს შეხვდა. განიხილეს ტურნირის ორგანიზაციის პროექტი. შეხვედრის შედეგების მიხედვით იტალიის მთავრობამ დაადასტურა, რომ ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობის იდეას ოფიციალურად უჭერს მხარს.

"ევროპის ჩემპიონატი მნიშვნელოვანია. მათ შორის ჩვენი პოლიტიკისთვის, რომელიც ქვეყნის აღმავლობისკენ არის მიმართული. სწორედ ამიტომ მინისტრთა საბჭო აპირებს, ყველა საორგანიზაციო საკითხის კოორდინაცია მოახდინოს", - განაცხადა იტალიის მინისტრთა საბჭოს მდივანმა ჯანი ლეტამ. მან აღნიშნა, რომ ჩემპიონატის საკითხებს განიხილავს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამინისტრო, რომელსაც სპორტისა და სხვა სახელმწიფო სტრუქტურების საკითხები ეხება.

შეგახსენებთ, რომ იტალიის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატი მხოლოდ ერთხელ, 1968 წელს მოიგო, როცა ფინალურ მატჩში იუგოსლავიის გუნდი დაამარცხა. მაშინ ტურნირის ფინალურ ეტაპზე მხოლოდ ოთხი გუნდი ასპარეზობდა. შემდგომში მონაწილეთა რაოდენობა 16-მდე გაიზარდა და ამ მაჩვენებლით ევროპის ჩემპიონატი მხოლოდ მსოფლიო პირველობას ჩამოუვარდება. შემოსავლები კი ბილეთების გაყიდვიდან, სპონსორული კონტრაქტებიდან და ტურისტების მოზღვავებიდან მილიონებს ითვლის. იტალია ევროპის ჩემპიონატს 1980 წელს მასპინძლობდა. მაშინ "სკუადრა აძურა" მეოთხე იყო, ხოლო ჩემპიონატი გერმანიის ნაკრებმა მოიგო.

იტალიის კონკურენტები არიან საბერძნეთი, რომლის ნაკრები პორტუგალიაში სენსაციურად გახდა კონტინენტის ჩემპიონი, უკრაინა და პოლონეთი (მათ მასპინძლობაზე საერთო განაცხადი შეიტანეს). განაცხადების შეტანის ვადა 31 იანვარს იწურება. საბოლოო გადაწყვეტილებას ამ საკითხთან დაკავშირებით 2006 წლის დეკემბერში მიიღებენ.

შეგახსენებთ, რომ 2006 წელს იტალია ზამთრის ოლიმპიურ თამაშებსაც უმასპინძლებს.

ჩოგბურთი

Australian Open

ახლოვდება "დიდი სლემის" წლევანდელი სეზონის პირველი ტურნირი - ავსტრალიის ღია ჩემპიონატი. შეჯიბრება, რომელშიც მსოფლიოს უდიდესი ჩოგბურთელები ასპარეზობენ, ორშაბათს, 17 იანვარს აიღებს სტარტს. მწვანე კონტინენტზე უკვე მიმდინარეობს საკვალიფიკაციო მატჩები. გუშინ კი ტურნირის მონაწილენი, უფრო სწორად, უძლიერესი ჩოგბურთელები განთესეს.

ვაჟთა შორის ტურნირის პირველი ნომერი შვეიცარიელი როჟე ფედერერია. შემდეგ მოდიან: ამერიკელი ენდი როდიკი, ავსტრალიელი ლეიტონ ჰიუიტი, ესპანელი კარლოს მოია, არგენტინელი გილიერმო კორია, ინგლისელი ტიმ ჰენმანი, ამერიკელი ანდრე აგასი და არგენტინელები: დავიდ ნალბანდიანი და გასტონ გაუდიო.

ქალთა შორის უდიდესი უპირატესობა აქვთ რუს ქალბატონებს - პირველ ათეულში ხუთი ჩოგბურთელია განთესილი. ანასტასია მისკინა, მარია შარაპოვა, სვეტლანა კუზნეცოვა, ელენა დემენტიევა და ვერა ზვონარევა, შესაბამისად, მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე და მეცხრე ადგილზე არიან.

ტურნირის პირველი ნომერი ჯერჯერობით ამერიკელი ლინდსი დევენპორტია. შემდეგ სხვადასხვა ადგილებზე მოდიან: ფრანგი ამელი მორესმო, ამერიკელი დები სერენა და ვინუს უილიამსები, ავსტრალიელი ალისია მოლიკი და რუსი ნადეჟდა პეტროვა. ელენა ლიხოვცევას ამ რეიტინგში მე-18 ადგილი მიუჩინეს.

ამასობაში ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტი დაუგეგმავ დანაკარგებს განიცდის. მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა ამერიკელმა ლინდსი დევენპორტმა ავადმყოფობის გამო უარი განაცხადა WTA-ის ტურნირის მეოთხედფინალურ მატჩში თამაშზე. შეჯიბრება სიდნეიში ტარდება, ხოლო დევენპორტი ავსტრალიელ სამანტა სტოსურს ხვდებოდა. სავარაუდოა, რომ ორშაბათამდე ლინდსი სასურველ ფორმაში ვერ ჩადგება, რადგან ბრონქიტი, რომლითაც ჩოგბურთელი დაავადდა, სერიოზულ მკურნალობას საჭიროებს.

რაც შეეხება კიდევ ერთ ამერიკელს, ანდრე აგასიმ გუშინ Kooyong Classic-ის ტურნირზე ვერ შეძლო ენდი როდიკთან მატჩის გაგრძელება. ანგარიში 6:5 იყო აგასის სასარგებლოდ, მაგრამ მან მატჩის გაგრძელებაზე უარი განაცხადა იმის გამო, რომ ბარძაყის ტკივილმა მეტისმეტად შეაწუხა. რამდენად სერიოზულია აგასის ტრავმა, ჯერჯერობით უცნობია. ცნობილია მხოლოდ, რომ ამ ტრავმის გამო ჩოგბურთელმა გასულ სეზონში ATP-ის მთელი რიგი ტურნირები გამოტოვა.

ბელგიელმა ჟიუსტინ ენინ-არდენმა, რომელიც ავსტრალიის მოქმედი ჩემპიონია, ტურნირის ორგანიზატორებს შეუთვალა, რომ წლევანდელ გათამაშებაში მონაწილეობას ვერ მიიღებს. ამის მიზეზად ბელგიელმა მუხლის ტრავმა დაასახელა.

ჟიუსტინ ენინ-არდენმა შარშან უცნობი ვირუსული დაავადების გამო სეზონის დიდი ნაწილი გამოტოვა. თუმცა, აგვისტოში კორტზე დაბრუნდა და ათენის ოლიმპიური თამაშები მოიგო. ახლა კი მუხლის ტრავმამ კვლავ მწყობრიდან გამოიყვანა. ჟიუსტინთან ერთად ავსტრალიაში არ ითამაშებს ტურნირის შარშანდელი ფინალისტი, ასევე ბელგიელი კიმ კლიისტერსი. მას ხელის მტევანი აწუხებს.

ჯერჯერობით ავსტრალიის კორტებზე მიმდინარეობს იმ ჩოგბურთელთა საკვალიფიკაციო ტურნირი, რომლებმაც სარეიტინგო ქულებით შეჯიბრების საგზური პირდაპირ ვერ მოიპოვეს.

ავსტრალიის ღია ჩემპიონატის ყველა ფინალისტი უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში

ვაჟები:

1980. ბრაიან ტიჩერი (აშშ) - კიმ უორვიკი (ავსტრალია)	7:5, 7:6, 6:2
1981. იოჰან კრაიკი (სარ) - სტივ დენტონი (აშშ)	6:2, 7:6, 6:7, 6:4
1982. იოჰან კრაიკი (სარ) - სტივ დენტონი (აშშ)	6:3, 6:3, 6:2
1983. მათს ვილანდერი (შვედეთი) - ივან ლენდლი (ჩეხოსლოვაკია)	6:1, 6:4, 6:4
1984. მათს ვილანდერი (შვედეთი) - კევინ კარენი (სარ)	6:7, 6:4, 7:6, 6:2
1985. სტეფან ედბერგი (შვედეთი) - მათს ვილანდერი (შვედეთი)	6:4, 6:3, 6:3
1987. სტეფან ედბერგი (შვედეთი) - პეტ კეში (ავსტრალია)	6:3, 6:4, 3:6, 5:7, 6:3
1988. მათს ვილანდერი (შვედეთი) - პეტ კეში (ავსტრალია)	6:3, 6:7, 3:6, 6:1, 8:6
1989. ივან ლენდლი (ჩეხოსლოვაკია) - მიროსლავ მეჩირი (ჩეხოსლოვაკია)	6:2, 6:2, 6:2
1990. ივან ლენდლი (ჩეხოსლოვაკია) - სტეფან ედბერგი (შვედეთი)	4:6, 7:6, 5:2, ედბერგმა თამაში შეწყვიტა.
1991. ბორის ბეკერი (გერმანია) - ივან ლენდლი (ჩეხოსლოვაკია)	1:6, 6:4, 6:4, 6:4
1992. ჯიმ კურიე (აშშ) - სტეფან ედბერგი (შვედეთი)	6:3, 3:6, 6:4, 6:2
1993. ჯიმ კურიე (აშშ) - სტეფან ედბერგი (შვედეთი)	6:2, 6:1, 2:6, 7:5
1994. პიტ სამპრასი (აშშ) - ტოდ მარტინი (აშშ)	7:6, 6:4, 6:4
1995. ანდრე აგასი (აშშ) - პიტ სამპრასი (აშშ)	4:6, 6:1, 7:6, 6:4
1996. ბორის ბეკერი (გერმანია) - მაიკლ ჩანგი (აშშ)	6:2, 6:4, 2:6, 6:2
1997. პიტ სამპრასი (აშშ) - კარლოს მოია (ესპანეთი)	6:2, 6:3, 6:3
1998. პეტრ კორდა (ჩეხეთი) - მარსელო რიოსი (ჩილე)	6:2, 6:2, 6:2
1999. ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) - ტომას ენკვისტი (შვედეთი)	4:6, 6:0, 6:3, 7:6
2000. ანდრე აგასი (აშშ) - ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი)	3:6, 6:3, 6:2, 6:4
2001. ანდრე აგასი (აშშ) - არნო კლემანი (საფრანგეთი)	6:4, 6:2, 6:2
2002. ტომას იუჰანსონი (შვედეთი) - მარატ საფინი (რუსეთი)	3:6, 6:4, 6:4, 7:6
2003. ანდრე აგასი (აშშ) - რაინერ შუტლერი (გერმანია)	6:2, 6:2, 6:1
2004 როჟე ფედერერი (შვეიცარია) - მარატ საფინი (რუსეთი)	7:6, 6:4, 6:2

ქალები:

1980. ჰანა მანდლიკოვა (ჩეხოსლოვაკია) - ვენდი ტურნბული (ავსტრია)	6:0, 7:5
1981. მარტინა ნავრატილოვა (აშშ) - კრის ევერტ-ლოიდი (აშშ)	6:7, 6:4, 7:5
1982. კრის ევერტ-ლოიდი (აშშ) - მარტინა ნავრატილოვა (აშშ)	6:3, 2:6, 6:3
1983. მარტინა ნავრატილოვა (აშშ) - კეტი ჯორდანი (აშშ)	6:2, 7:6
1984. კრის ევერტ-ლოიდი (აშშ) - ჰელენა სუკოვა (ჩეხოსლოვაკია)	6:7, 6:1, 6:3
1985. მარტინა ნავრატილოვა (აშშ) - კრის ევერტ-ლოიდი (აშშ)	6:2, 4:6, 6:2
1987. ჰანა მანდლიკოვა (ჩეხოსლოვაკია) - მარტინა ნავრატილოვა (აშშ)	7:5, 7:6
1988. შტეფი გრაფი (გფრ) - კრის ევერტი (აშშ)	6:1, 7:6
1989. შტეფი გრაფი (გფრ) - ჰელენა სუკოვა (ჩეხოსლოვაკია)	6:4, 6:4
1990. შტეფი გრაფი (გერმანია) - მერი ჯო ფერნანდესი (აშშ)	6:3, 6:4
1991. მონიკა სელეში (იუგოსლავია) - იანა ნოვოტნა (ჩეხეთი)	5:7, 6:3, 6:1
1992. მონიკა სელეში (იუგოსლავია) - მერი ჯო ფერნანდესი (აშშ)	6:2, 6:3
1993. მონიკა სელეში (იუგოსლავია) - შტეფი გრაფი (გერმანია)	4:6, 6:3, 6:2
1994. შტეფი გრაფი (გერმანია) - არანტა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი)	6:0, 6:2
1995. მარი პირსი (საფრანგეთი) - არანტა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი)	6:3, 6:2
1996. მონიკა სელეში (აშშ) - ანკე ჰუბერი (გერმანია)	6:4, 6:1
1997. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) - მარი პირსი (საფრანგეთი)	6:2, 6:2
1998. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) - კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი)	6:3, 6:3
1999. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) - ამელი მორესმო (საფრანგეთი)	6:2, 6:3
2000. ლინდსი დევენპორტი (აშშ) - მარტინა ჰინგისი (შვეიცარია)	6:1, 7:5
2001. ჯენიფერ კაპრიატი (აშშ) - მარტინა ჰინგისი (შვეიცარია)	6:1, 7:5
2002. ჯენიფერ კაპრიატი (აშშ) - მარტინა ჰინგისი (შვეიცარია)	4:6, 7:6, 6:2
2003. სერენა უილიამსი (აშშ) - ვინუს უილიამსი (აშშ)	7:6, 3:6, 6:4
2004. ჟიუსტინ ენინ-არდენი (ბელგია) - კიმ კლიისტერსი (ბელგია)	6:3, 4:6, 6:3

ავსტრალიის ღია ჩემპიონატი 100 წლისაა
ავსტრალიის უმთავრესი საჩოგბურთო ტურნირი ასი წლის იუბილეს აღნიშნავს. ავსტრალიის ღია ჩემპიონატის პირველი გამარჯვებულები არიან ავსტრალიელი ლეგენდები როდ ლეივერი და მარგარეტ კორტი.
მოკლე ისტორია
1905 წელს პირველი ავსტრალ-აზიური ჩემპიონატი ჩატარდა მელბორნში.
1922 წელს ქალთა შეჯიბრება დაემატა. ახალში ზელანდიამ დატოვა ავსტრალ-აზიური ასოციაცია.
ბრისბენი 8 წლის განმავლობაში მასპინძლობდა ტურნირს
პერთი 3
სიდნეი 17
ადელაიდა 14
მელბურნი 48
ყველაზე მეტი გამარჯვება (ერთეულებში)
როი ემერსონი 5
მარგარეტ სმიტ კორტი 11
ბოლო ავსტრალიელი გამარჯვებულები
მარკ ედმონდსონი 1976
კრის ო'ნილი 1978
პასტინგსი 1
ქრისტურჩი 1
1927 წლიდან ავსტრალიის ჩემპიონატად მოიხსენიება.
1969 წლიდან ინოდება ავსტრალიის ღია ჩემპიონატად, როდესაც ამპარეზობებში პროფესიონალი ჩოგბურთელები დაუშვეს.
1972 წელს ტურნირი დაბრუნდა მელბურნში "Kooyong Lawn Tennis Club"-ში.
1988 წელს გადაეცა მელბურნის პარკში ახალ ეროვნულ საჩოგბურთო ცენტრში. ბალახის საფარი ხელოვნურით შეიცვალა.
როჯერ ფედერერმა, მოქმედმა ჩემპიონმა და მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა 2004 წელს 11 ტურნირი მოიგო.
ავსტრალიის ღია ჩემპიონატის ყველაზე სწრაფი მომწოდებლები (2004 წლის ნუსხა)
ენდი როდიკი, იოაკიმ ნო

ნდობის შენების კონცეფცია ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესში

ნოდარ სარჯველაძე
ფონდი "კავკასიური დიალოგი", თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ადამიანის რესურსების განვითარების ფონდის თავმჯდომარე

სახელმწიფოებრივი მოწყობის კონცეფცია ცენტრალური თემაა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ტრანსფორმაციის სფეროში. ქართულმა მხარემ აფხაზურს უნდა შესთავაზოს სახელმწიფოს მოწყობის ისეთი ვარიანტი, რომელიც ორივე მხარისთვის მომგებიანი იქნება. მაგრამ ნდობის ხიდი იმდენად ჩამსხვრეულია, რომ ქართულმა მხარემ სახელმწიფო მოწყობის თაობაზე უაღრესად იდეალური ვარიანტიც რომ წარუდგინოს აფხაზებს, მათ უნდობლობის გამო გაუჭირდებათ მისი მიღება. ამიტომაც ვთვლი, რომ სახელმწიფოს მოწყობის კონცეფციაზე მსჯელობას წინ უნდა უსწრებდეს ნდობის შენების კონცეფციაზე დაყრდნობილი ღონისძიებები და ქმედებანი.

საქართველოში ორ რევოლუციურ და მშვიდობიან ქარბორბალას ახალი რევოლუციური ტალღები მოსდევს. ეს სიტუაცია პერმანენტული რევოლუციის იდეას მაგონებს. ამაში არა ოდენ რეალურ მოვლენებს ვგულისხმობ, არამედ აზროვნების თავისებურ სტილს, რომელიც სწრაფ და რადიკალურ ცვლილებებზეა გათვლილი. ეს, ერთი მხრივ, მისასალმებელია, რადგან უძრაობასა და დაჭაობებას ცვლილებები სჯობს, მით უმეტეს, თუკი ის განახლებაზე იქნება ორიენტირებული. მეორე მხრივ, აქვე დიდი საფრთხეა ჩასაფრებული: დიდი საქმეების სწრაფი და ნახტომისებური კეთება, რაგინდ გონივრული არ უნდა იყოს ის, საზღაურად დიდ შეცდომებს მოითხოვს. ამ გადასახედიდან მინდა შევხედო აფხაზურ საკითხს, რომელიც დინჯ და ფუნდამენტალურ მიდგომას მოითხოვს. თუკი გასული 12 წლის მოვლენების კონცეპტუალურ ანალიზს ჩავატარებთ, ქართული და აფხაზური საზოგადოების ძირითადი წინააღმდეგობები 4 ჯგუფად შეიძლება დალაგდეს. თანაც ეს წინააღმდეგობები რადიკალურად საპირისპირო პოლუსებად ლაგდება და ამდენად შეურიგებელი წინააღმდეგობების სახეს იღებს.

წინააღმდეგობა I: საქართველოს სწრაფვა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისაკენ და აფხაზების სწრაფვა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისაკენ. ეს წინააღმდეგობა ცენტრალურია და წლების განმავლობაში ურთიერთგამომრიცხავი პოლუსების სახით გვევლინება. მიუხედავად ასეთი ურთიერთგამომრიცხავობისა, მხარეებმა თავისი შესაძლებლობის მაქსიმუმს მიაღწიეს, რაც კი შეეძლოთ ამ მხრივ მოემოქმედათ. საქართველომ ყველა საერთაშორისო დოკუმენტში და სახელმწიფოთა შორის უმაღლეს დონეზე მოლაპარაკებებში მიაღწია იმას, რომ დაფიქსირდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის აუცილებლობა და მისი ხელშეუხებლობა. აფხაზებმა ჩაატარეს რეფერენდუმი, საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები და თავიანთი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დეკლარირება ჰყვეს. მართალია, ამ დამოუკიდებლობას არავინ ცნობს და იგი არალეგიტიმურია, ამის მიუხედავად, აფხაზურ სოციუმს დაუგროვდა დამოუკიდებლად ცხოვრების გამოცდილება. ამაზე მეტს მხარეები გასული ათი წლის განმავლობაში ვერც კი მიაღწევდნენ. ქართულ-აფხაზური კონფლიქტი იდენტურობის კონფლიქტია, სადაც ქართული და აფხაზური ნაციონალური პროექტები ერთმანეთს უკიდურესად დაუპირისპირდა. თუკი მხარეები ამაზე შეყოვნდებიან, სწორედ ეს იქნება ჩიხი, რითაც ორივე მხარე დაუნდობლად დაზარალდება.

წინააღმდეგობა II: საქართველოს ორიენტაცია დასავლეთისაკენ და აფხაზების ორიენტაცია ჩრდილოეთისაკენ.

საქართველომ დამოუკიდებლობის მიღწევისთანავე გეზი დასავლეთისაკენ აიღო და ამ მხრივ საგულისხმო ნაბიჯებიც გადადგა, მიღწევებიც დიდია, თუმცა, ბევრი რამ იყო და არის სათუო. აფხაზებმა თვითგამოცხადებული დამოუკიდებლობის მიღწევა დაუკავშირეს ჩრდილოეთს, კერძოდ, რუსეთს და ჩრდილო-კავკასიის მონათესავე ხალხებს. მხარეები აშკარად უგულებელყოფენ ურთიერთის ორიენტაციებს. ქართველი სამართლიანად ღიზიანდება, მაგალითად, აფხაზთა მასობრივ რუსულ პასპორტიზაციაზე, აფხაზი კი საქართველოს სწრაფვას დასავლეთისაკენ სულ ცოტა კრიტიკული და შიშის თვალით უყურებს.

წინააღმდეგობა III: საქართველოს სწრაფვა ჩამოყალიბდეს ღია საზოგადოებად და აფხაზთა სწრაფვა შეინარჩუნონ დახურული საზოგადოების ჩარჩოები. ქართველთათვის ღია საზოგადოებად ჩამოყალიბება თავისი დემოკრატიზაციით, გლობალიზაციის ოკეანეში შესვლით, ულტრარადიკალური ეკონომიკური მოდელებითა და დასავლური მენტალიტეტით აღჭურვით ზეღირებულოვანი იდეოლოგემის სახეს იღებს. აფხაზი უფრთხის გლობალიზაციას და ღია საზოგადოების ღირებულებებს, რადგან მასში ხედავს ეროვნული იდენტურობის წაშლის საფრთხეს. აფხაზისათვის უფრო მნიშვნელოვანია ე.წ. "აფსუარა" ანუ აფხაზური ცხოვრების წესის შენარჩუნება თავისი ტრადიციებითა და ჩარჩოებით, ვიდრე განუწყვეტელი გარდაქმნები და ინოვაციები.

წინააღმდეგობა IV: საქართველოს სწრაფვა ცვლილებებისაკენ და რაც შეიძლება სწრაფად, აფხაზთა სწრაფვა უცვლელობისაკენ და სტატუს-კვოს შენარჩუნებისაკენ. ეს ბოლო წინააღმდეგობა მოცემულ ეტაპზე ყველაზე ნათლად გამოიკვეთა და იგი წინარე წინააღმდეგობის თავისებური ანალოგია, მაგრამ მაინც სპეციფიკური და საგულისხმო, მეტადრე თუკი გავითვალისწინებთ ცვლილებათა თუ უცვლელობის შედეგებს. საქართველომ ცვლილებათა შედეგად უნდა მიიღოს გამთლიანებული ქვეყანა, აღმავლობის გზაზე მდგომი ეკონომიკა და ამდენად ცვლილებები თავიანთ მოგებებს შეიცავენ. აფხაზი ცვლილებათა შედეგად უნდა დაუბრუნდეს იმ მდგომარეობას, რასაც იგი გაექცა: კერძოდ, იგი ხელახლა უნდა დაბრუნდეს საქართველოს წიაღში, რისგანაც მან de facto სეპარაციას მიაღწია. თუკი ქართველმა შეიძლება ცვლილებებს შეხედოს მოგებისა და პერსპექტივის თვალით, აფხაზმა შეიძლება ამას შეხედოს წაგების კუთხით. სახეზე გვაქვს "მოგება-წაგების" მოდელი, რაც წითელი ხაზივით მიჰყვება ქართულ-აფხაზურ ურთიერთობას. ქართველთათვის წამყვანი მოტივია წარმატების მიღწევის პერსპექტივა, აფხაზთათვის მარცხის შიში განაგებს არჩევანსა და მოქმედებას. საქართველომ გამოიარა საზოგადოების ფრაგმენტაციისა და ნაწილებად დაშლის პროცესი და ქვეყნის რეინტეგრაციის გზაზე დადგომას ლამობს, აფხაზურ საზოგადოებაში კი ახლა ჩნდება ფრაგმენტაციის ნიშნები, რაც ესოდენ მცირე და მონოლითურობას ნაჩვევ სოციუმისათვის დიდი საფრთხის საწინდარია. აფხაზეთის ომში წაგებულები იყვნენ ქართველები, მოგებული კი აფხაზები, თუმცა კი, ორივე მხარე შეიძლება მოვიაზროთ წაგებულად, რაზეც ბევრი ლაპარაკობს არა მხოლოდ საქართველოში, არამედ აფხაზეთშიც. ამდენად, არც "მოგება-წაგების" მოდელთან გვაქვს საქმე ქართულ-აფხაზური ურთიერთობის ბოლო ათწლეულში, არამედ "წაგება-წაგების" მოდელი უფრო მისასადაგებელია მისთვის. უნდა მოხდეს კონფლიქტის ტრანსფორმაცია "მოგება-მოგების" მოდელით, როცა მოლაპარაკებისა თუ გადაწყვეტილების შედეგით ორივე მხარე მოგებული იქნება.

არის კი "მოგება-მოგების" მოდელის შემუშავება შესაძლებელი ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში? არის კი შესაძლებელი ასეთი ნახტომის გაკეთება "წაგება-წაგებიდან" "მოგება-მოგებაზე"? მე ვფიქრობ, რომ ეს სრულიად შესაძლებელია, თუკი მხარეები სიბრძნეს გამოიჩენენ. სიბრძნის ქვეშ ვგულისხმობ მოფიქრების, გაცნობიერებისა და კონცეპტუალური შეჯერების პრიმატს მოქმედებაზე. დღეს კი ჩვენთან რევოლუციური სიტუაციაა, სადაც მოქმედება ან წინ უსწრებს განსჯას, გაცნობიერებასა და მოფიქრებას, ან კიდევ მასთან ერთად ერთდროულად და პარალელურად მიმდინარეობს. ჩემი ღრმა რწმენით, აფხაზეთის თემა ისეთია, რომ მას ვერ გასწვდები და ვერ გადაწყვეტ ვერც ომით, ვერც რევოლუციით, რაგინდ ხავერდოვანი და ვარდოვანი არ იყოს იგი. ომით აფხაზეთის დაბრუნება იმდენად აბსურდული ჩანს, რომ ამაზე ლაპარაკიც კი არ მსურს. რაც შეეხება რევოლუციურ გზას, რაგინდ მშვიდობიანი და უსისხლო არ იყოს იგი, მაინც ხელისუფლების სწრაფ დამხობასთან და გადატრიალებასთან არის დაკავშირებული. ესეც შეუძლებლად მიმაჩნია აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით. საერთოდ, აქვე მინდა შევეხო ტერმინებს "აფხაზეთში დაბრუნება" ან "აფხაზეთის დაბრუნება". ვერ წარმომიდგენია დაბრუნდე აფხაზეთში ან დაიბრუნო აფხაზეთი რევოლუციური გზითა და მენტალიტეტით. სიტყვა "დაბრუნება" პირდაპირი გაგებით ნიშნავს წარსულის ხელუხლებლად დატოვებას, რომელშიც ბრუნდები და სადაც ყველაფერი ისეთივე გხვდება, როგორიც ადრე იყო. იგი წარსულის აღდგენის, ხელახლა გამეორების საზრისის შემცველია. წარსულის აღდგენა კი მხოლოდ წიგნებში შეიძლება, სადაც წარსულის სურათები შეგიძლია განათავსო და აღდგენილი სახით გადმოსცე. რეალურ ცხოვრებაში ვერასოდეს ბრუნდები იქ, რაც ნებით თუ უნებლიეთ დატოვე. იგივე აფხაზეთში, რაც ომამდე იყო, ვერ დაბრუნდები, რადგან ის იმ სახით არც კი არსებობს. იქ ახლა ახალი თაობა მოდის, ხალხი ცხოვრობს დამოუკიდებელი ცხოვრების გამოცდილებით, უზარმაზარი ტკივილი და დანაკლისია მოსახლეობაში, ღირებულებათა სისტემა რადიკალურად შეცვლილია და მხოლოდ გეოგრაფიული გარემოა შედარებით უცვლელი. საერთოდ, ჩვენ გეოგრაფიული კატეგორიებით უფრო ვხელმძღვანელობთ, როცა ვლაპარაკობთ აფხაზეთზე, ვიდრე ადამიანური ან სოციალური კატეგორიებით. მაგალითად, ტერიტორიული მთლიანობის ცნება ტერიტორიაზე აკეთებს აქცენტს, მაშინ როცა უპირველესად დასაბრუნებელია ადამიანები და ხალხი. მაგრამ ვერ დაბრუნდებიან ადამიანები, ვგულისხმობ, აფხაზები ან ვერ დავბრუნდებით აფხაზებთან, რადგან ომის შემდეგ აფხაზებიც სხვანი არიან, ვიდრე ომამდე და ჩვენც საკმაოდ შევიცვალეთ. ამიტომ "დაბრუნების" ცნება ნიადაგგამოცლილია და უაზროა. სანამ დაბრუნების კატეგორიებით ვმეტყველებთ და ვაზროვნებთ, სწორედ მანამ ვერ დავბრუნდებით ანუ ვერ გავაკეთებთ შეუძლებელ ნახტომს სახეშეუცვლელ წარსულში. დაბრუნება აბსურდის კატეგორიას მიეკუთვნება, მაგრამ სწორედ იგი არის რწმენის საგანი და მოსახლეობას დაბრუნებისა ბრმად სწამს. ეს იმ ბრძნული გამოთქმის შორეული ანალოგია: "მწამს, რამეთუ აბსურდია". მაშ, რა თუ არა დაბრუნება? რა კატეგორიებით უნდა ვიაზროვნოთ? მე ვთვლი, რომ არსებობს ცნებათა უფრო ფართო სივრცე, რაც რეალური მიზნის მიღწევის პერსპექტივას შეიძლება ასახავდეს ქართულ-აფხაზურ კონტექსტებში. ესენია: აფხაზებთან შერიგება ან აფხაზების შემორიგება, აფხაზებთან თანაცხოვრება, ახალი სახელმწიფოს შენება აფხაზებთან ერთად. ყველა ეს ცნებები კარგად თავსდება ე.წ. კონფლიქტის ტრანსფორმაციის ცნებაში. მაშ ასე, არა დაბრუნება აფხაზეთში ან აფხაზეთისა, არამედ შერიგება, შეერთება, ახალი სახელმწიფოს ერთად შენება აფხაზებთან ერთად. თუკი დაბრუნების რესურსები ამოწურულია, სამაგიეროდ შერიგებისა და ახალი სახელმწიფოს ერთად შენების რესურსები უხვად არსებობს, საჭიროა მათი დანახვა, შერჩევა და გამოყენება.

დღეისათვის აფხაზეთის ყველა პოლიტიკური ძალა და საზოგადოებრივი ორგანიზაცია თვითგამოცხადებული რესპუბლიკის და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დამცველია. იმავდროულად ყველამ იცის, თუ რაოდენ რთულია იცხოვრო დამოუკიდებლობის რეჟიმში, თუკი შენს დამოუკიდებლობას არავინ აღიარებს. ყველამ იცის, რომ არაღიარებულობა არალეგიტიმურობის ტოლფასია, ხოლო არალეგიტიმურობა ყველა საერთაშორისო ურთიერთობიდან ამოვარდნას გულისხმობს; ეს უკანასკნელი კი განვითარების ყოველგვარი შანსის დაკარგვასთან არის დაკავშირებული, ხოლო დღეისათვის ვინც არ არის ჩართული განვითარების პროცესში, მას გადარჩენის ნაცვლად დაღუპვა ელოდება. პარადოქსია, მაგრამ დამოუკიდებლობას (არაღიარებულს) გადარჩენისაკენ არ მიჰყავს აფხაზური ეთნოსი და არ აღიარებული დამოუკიდებლობა ქიმერაა, რასაც იგი ესოდენ ებღაუჭება იდენტურობის ძიების პროცესში. ამ სიტუაციაში აფხაზები თვლიან, რომ მათი ეთნიკური გადარჩენის შანსი ისევ და ისევ ქართველთა ხელშია იმ აზრით, რომ თუ საქართველო აღიარებს აფხაზეთის დამოუკიდებლობას, მაშინ აფხაზები მიიღებენ ნანატრ აღიარებას და თავის მხრივ ისინი ქართველებს ჰპირდებიან, რომ ამის შემდეგ მათზე ერთგული ხალხი ქართველებს არ ეყოლებათ. მეორე მხრივ, აფხაზებმა შესანიშნავად იციან, რომ ეს მათი ილუზიაა და საქართველოს ხელისუფლებაში არასდროს არ მოვა ისეთი ძალა, რომელიც ასეთ ნაბიჯს გადადგამს. უფრო მეტიც, ისიც იციან საქართველომ რომც განიზრახოს აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება, ამის საშუალებას მას არ მისცემს არც საერთაშორისო საზოგადოებრიობა და არც თვით რუსეთი. ამდენად, აღიარების ძიება იმთავითვე მარცხზეა გათვლილი. მეორე მხრივ, რაც დრო გავა, მით უფრო სხვადასხვა საკაცობრიო პროცესებთან (მაგალითად, გლობალიზაცია) დაკავშირებით გაძლიერდება ტენდენცია საერთაშორისო სამართალთან და სახელმწიფოთაშორისო გადაწყვეტილებებთან შესაბამისობაში მოვიდეს ყველა რეგიონალური პროცესი და მათ შორის ტერიტორიული საკითხები. ამდენად, მომავალში აფხაზებს უფრო კატეგორიულად მოთხოვენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას შეხედონ როგორც აღიარებულ ნორმატულ ფაქტს და მოექცნენ საკითხის სამართლებრივი გადაწყვეტილების ჩარჩოში. ასეთი ვითარების გამო აფხაზთა მხარე, უკვე ახლა არის კრიზისში მიუხედავად იქ მიმდინარე საპრეზიდენტო არჩევნებისა და სახელისუფლებო ცვლილებებისა, ხოლო დროთა განმავლობაში ეს კრიზისი შეიძლება გაღრმავდეს კიდეც ფორსირებული ტემპით. პარადოქსულია, მაგრამ თვითონ საქართველო უნდა დაეხმაროს აფხაზებს ღირსეულად გამოვიდნენ კრიზისიდან. გზა კრიზისიდან გამოსვლისა კონსტრუქციულ დიალოგზე გადის და იგი შერიგების, ახალი სახელმწიფოს ერთობლივი შენების ძირითადი საშუალებაა.

მაგრამ ასეთი დიალოგის დაწყებას სჭირდება წინაპირობების დაცვა, რომლებიც ნდობის შენებას შეუწყობენ ხელს, ხოლო ნდობა კონფლიქტის ტრანსფორმაციის ცენტრალური საყრდენი პუნქტია. სწორედ ამ წინაპირობებზე მინდა გავამხვილო ყურადღება.

წინაპირობა I: ქართულმა მხარემ დოკუმენტურად უნდა აღუთქვას და შეუთანხმდეს აფხაზებს, რომ იგი არავითარ შემთხვევაში არ გამოიყენებს სამხედრო ძალას და არ შეეცდება პრობლემის გადაჭრას შეიარაღებული გზით, რომ მხარეები კონფლიქტის მოგვარების მხოლოდ მშვიდობიან გზას აირჩევენ. დღეს, როცა ქართული არმიის აღმშენებლობის პერსპექტივები ნათელია, ეს დებულება ახალ საზრისს იძენს და აფხაზმა უნდა ირწმუნოს, რომ სწორედ ძლიერი საქართველო იქნება თავდაუსხმელობის გარანტი. ეს მნიშვნელოვანი პუნქტია, რადგან აფხაზების მიერ ქართველები აგრესორებად არიან აღქმულნი და "მტრის ხატის" გაძლიერებას ქართველთა მისამართით ხელი შეუწყო დღემდე არსებულმა პოლიტიკურმა ფორმულამ, რასაც ყველა - შევარდნაძით ან ნადარეიშვილით დაწყებული და საქართველოს დღევანდელი მრავალი პოლიტიკოსით დამთავრებული, დაზეპირებულ ფრაზასავით იმეორებენ: "ჩვენ მზად ვართ, კონფლიქტი გადავწყვიტოთ მშვიდობიანი და პოლიტიკური მოლაპარაკების გზით, მაგრამ თუ მშვიდობიანი მოლაპარაკების რესურსი ამოიწურა, მაშინ სამხედრო ძალა უნდა გამოვიყენოთ". ეს ფორმულა "მშვიდობიანი გზა, მაგრამ ჩიხის შემთხვევაში ძალის გამოყენება" უკვე შეიცავს თავის თავში მუქარას და აფხაზურ მხარეს საშიშროებისაგან თავდაცვის პოზიციაში აყენებს. თავდაცვის და საფრთხის მოლოდინში მყოფი აფხაზური მხარე კი კონსტრუქციულ დიალოგს თუნდაც იმიტომ ვერ გამართავს, რომ ნაცვლად სამშვიდობო პროცესის განვითარებისა ორიენტირებული იქნება სავარაუდო საფრთხის მოგერიებაზე; ნაცვლად ნდობითი ურთიერთობის შემუშავებისა, ქართველთა მშვიდობიან შემოთავაზებებში დაინახავს რაღაც ისეთს, რომელსაც არ უნდა ენდო. უფრო მეტიც, აფხაზურ მხარეს ერთი მხრივ სურვილი ექნება განერიდოს ქართველთა მხარესთან მოლაპარაკებას, რადგან ჩიხის შემთხვევაში მას მაინც არ ასცდება მუქარა, რომელიც ისედაც შეიძლება მოლაპარაკების არდაწყებისას მიიღოს. მეორე მხრივ, თუ კი აფხაზური მხარე დაჯდა მოლაპარაკების მაგიდასთან, დიალოგს ძალაუნებურად იქითკენ წაიყვანს, რათა მისი მოლოდინი გამართლდეს, რომ ქართული მხარე ჩიხის შემთხვევაში ძალის გამოყენებასა და მუქარებზე გადავიდეს. ეს პროვოკაცია კი არა, არამედ ერთი მეტად საყურადღებო გარდაუვალი კანონზომიერების გამოხატულება იქნება, რომელსაც სოციალურ და პოლიტიკურ ფსიქოლოგიაში თვითგანხორციელებად წინასწარმეტყველებას უწოდებენ. კერძოდ, თუ ადამიანი წინასწარ უშვებს, რომ ამა თუ იმ მიზეზით ესა თუ ის სხვა ადამიანი მას თავს დაესხმის, მაშინ ის ცნობიერად თუ ქვეცნობიერად ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რათა მისი მოლოდინი და წინასწარმეტყველება განხორციელდეს. ჩვენი წინასწარი დაშვებანი და მოლოდინები ჯადოსნური ძალით გვიბიძგებენ, რათა მსხვერპლნი გავხდეთ ჩვენივე წინასწარმეტყველებისა და ცხოვრებიდან მოლოდინთა შესაბამისი დარტყმები მივიღოთ. აფხაზთა მხარეს, თუ კი ექნება დაშვება, რომ პოლიტიკური მოლაპარაკების ჩიხის შემთხვევაში ქართული მხარე ძალას გამოიყენებს, იგი სწორედ ამის გამო მიიყვანს პროცესს ჩიხამდე, რათა წინასწარმეტყველება აღსრულდეს. კიდევ ერთხელ გადავხედოთ ფორმულას: "თუ მშვიდობიანი გადაწყვეტის რესურსი ამოიწურა, მაშინ სამხედრო ძალა უნდა გამოვიყენოთ". ეს ფორმულა ძირშივე მცდარია. მშვიდობის შენების რესურსები ამოუწურავია და უსასრულო, ეს ნგრევის რესურსებია ამოწურვადი და ლიმიტირებული, თორემ რა დაღევს მშვიდობის, კეთილმოსურნეობის, შენების, განვითარებისა და კეთილდღეობის ამაღლების რესურსებს. უბრალოდ ბევრმა პოლიტიკოსმა არ უწყის, მშვიდობის შენებას და შესაბამის დიალოგს ან დიპლომატიურ მოლაპარაკებას თუ რაოდენ დიდი შესაძლებლობები აქვს. პოლიტიკოსთა უმრავლესობა უბრალოდ მეტად სწორხაზოვნად აზროვნებს. შემოქმედებითად მოაზროვნე პოლიტიკოსი სწორედ იქ პოულობს გამოსავალს და მოლაპარაკების ახალ რესურსებს, სადაც ჩვეულებრივი პოლიტიკოსები ჩიხს ხედავენ. სწორედ ამიტომ ზემოთხსენებული ყბადაღებული და ვითომდაც ჭკვიანური ფორმულა უნდა შეიცვალოს ჭეშმარიტად გონიერი დაშვებით: "ჩვენ ქართულ-აფხაზური კონფლიქტი უნდა გადავწყვიტოთ მშვიდობიანი დიალოგით და რახან მშვიდობიანი მოლაპარაკების რესურსები ამოუწურავადია, არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოვიყენოთ სამხედრო ძალა". მართალია, ამდაგვარი მიდგომით აზროვნება ტრაფარეტულ და გატკეპნილ გზას აგაცდენს, მაგრამ სამაგიეროდ იგი თვისობრივად ახალ გამოწვევებს გულისხმობს, მას ახალი რეალობის შენებაზე გადაჰყავხარ.

წინაპირობა II: ქართულმა მხარემ უნდა მოახდინოს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ამომწურავი შეფასება. უნდა შეფასდეს აფხაზეთში ომის დაწყების, მისი მიმდინარეობის, მისი დასრულებისა და ომისშემდგომი 12 განვლილი წლის ანალიზი. უნდა შეფასდეს კონფლიქტის როგორც პოლიტიკური და სამხედრო, ისე ეკონომიკური, სოციალური, ფსიქოლოგიური, ეკოლოგიური, სამართლებრივი, დემოგრაფიული და სხვა ასპექტები. შეფასება უნდა იყოს სწორი, დაუნდობლად ობიექტური და გულწრფელი, ძალზე საქმიანი და ყოველგვარი პატრიოტული პათეტიკისა და რიტორიკისაგან დაცლილი.

ასეთმა პირუთვნელმა და ამომწურავმა შეფასებამ წერტილი უნდა დაუსვას მომხდარსა და განვლილს, რათა მხარეებმა მომავლისაკენ გაიხედონ. თუკი ასეთი შეფასება არ განხორციელდა, მოლაპარაკებებს გადაუხდელი ვალებივით და "საშემოდგომო გამოცდის" კუდებივით უკან გაჰყვება წარსულის ტვირთი, რაც მხარეებს დღემდე აიძულებს ურთიერთბრალდებებისა და ულტიმატუმების ენაზე ელაპარაკონ ერთმანეთს. მხოლოდ ამომწურავი შეფასების მიცემა იძლევა შანსს, რომ მხარეთა შორის დისკურსმა ვექტორი შეიცვალოს და წარსულის ხედვიდან მომავლის ხედვისაკენ გადაინაცვლოს.

წინაპირობა III: მხარეებმა სტრატეგიულად უნდა დაგეგმონ პარიტეტულ საწყისებზე აგებული და "მოგება-მოგებაზე" ორიენტირებული დიალოგის პროცესი. პარიტეტულობა წამყვან ფაქტორადაც კი შეიძლება იქცეს გარკვეულ მომენტში. ქართულმა მხარემ უნდა ისწავლოს, რომ აფხაზურ მხარეს, როგორც თანაბარს უყუროს პოლიტიკური მოლაპარაკებების დროს და ეს კი იმის მიუხედავად, რომ აფხაზური მხარის ხელისუფლება არალეგიტიმურია. რაგინდ არ ვილაპარაკოთ, რომ აფხაზეთის საკითხის გადაწყვეტა რუსეთზეა დამოკიდებული და თუკი რუსეთის მფარველობა მოიხსნა, აფხაზეთის საკითხი თავისთავად მოიხსნება, ყველა ამდაგვარი მსჯელობა ვითომდაც საღი აზრისა და თავისთავადი ჭეშმარიტების სახით ჟღერს, მაგრამ სინამდვილეში იგი თავისი ტრაფარეტულობის გამო არა ოდენ სიღრმეს არის მოკლებული, არამედ ღრმად მცდარია. აფხაზურ მხარესთან, როგორც თანასწორთან, დიალოგი შესაძლებელია და აუცილებელიც, ამისათვის მხოლოდ შესაბამისი ნებაა საჭირო.. თუკი ისევ ვიმეორებთ, რომ აფხაზეთის საკითხი რუსების მიერ წყდება და მოლაპარაკება რუსებთან არის საჭირო, მაშინ მხარედ რუსეთს ვთვლით და აფხაზები კი მოლაპარაკების მხარედ არ ითვლება. ასეთ ვითარებში აფხაზს "თამაშგარე" მდგომარეობაში ვსვამთ და იგი არა თუ მოლაპარაკების პარიტეტული პარტნიორი არ არის, არამედ საერთოდ იგნორირებულია როგორც კონფლიქტის მხარე, იგი არარად არის ჩათვლილი, ხოლო არარასთან კონფლიქტს ვერ გადაწყვეტ. ასეთ მდგომარეობაში აფხაზის რეაქცია შეიძლება ასეთი იყოს: "თუ შენი აზრით, აფხაზების საკითხს არა თვით აფხაზი, არამედ რუსი წყვეტს, ქართველის საკითხსაც არ წყვეტს ქართველი, მას ამერიკა და რუსეთი ან სხვა ძალები წყვეტენ". ასე რომ, რეაქცია აფხაზთა მხრიდან სიმეტრიული იქნება. რუსმა, ამერიკელმა ან თუნდაც ჩრდილო კავკასიელმა კი არ უნდა გვაცხოვროს აფხაზებთან, არამედ თვითონ ჩვენ უნდა შევქმნათ თანაცხოვრების პირობები და მოვიძიოთ მისი გზები. ის კი არა და, უფრო მეტიც, იდეალში ურთიერთობები ისე უნდა ავაგოთ, რომ რუსეთთან დაკავშირებული რიგი საკითხების შესახებ ქართველმა და აფხაზმა უნდა მოილაპარაკონ და არა პირიქით, ქართველები და რუსები შეთანხმდნენ აფხაზთა ცხოვრების რიგ პრობლემებზე. აფხაზებისა და ქართველების საკეთებელ საქმეს ვერც რუსი, ვერც ამერიკელი, ვერც თურქი ან ინგლისელი ვერ გააკეთებს. ამიტომაც ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მხარე ქართველთათვის აფხაზები არიან და დიალოგის ფოკუსირება აფხაზურ მხარესთან არის საჭირო. ამ დიალოგში კი ისინი თანაბარნი უნდა იყვნენ. არც ერთ მხარეს არ უნდა ჰქონდეს რაიმე აპრიორული უპირატესობა, არც ერთი არის წამყვანი მხარე იმის ხარჯზე, რომ მეორე არის წასაყვანი, არც ერთი არ არის მოგებული იმის ხარჯზე, რომ მეორე არის წაგებული, როგორც უკვე აღვნიშნე, ორივე მხარე კონფლიქტის შედეგად წაგებულია. ამ მხრივ ისინი უკვე წინასწარ არიან თანაბარ პოზიციაში. საჭიროა, ისინი გადავიდნენ ახალ, თანაბარ პოზიციაში, სადაც დიალოგის ნაყოფი იქნება ორივე მხარის მოგება. "მოგება-მოგების" მოდელი გულისხმობს, რომ აფხაზებიცა და ქართველებიც მოლაპარაკებისა და შეთანხმების შედეგად განვითარების, კეთილდღეობის და საბაზო მოთხოვნილებათა და ინტერესთა დაკმაყოფილების უფრო მაღალ დონეზე გავლენ. უფრო მეტიც, თითოეული მხარე მით უფრო დაიკმაყოფილებს საკუთარ ინტერესებს, რაც უფრო იზრუნებს საპირისპირო მხარის ინტერესთა რეალიზაციაზე. ეს ის მოდელია, როცა კონფლიქტის გადაწყვეტა და მშვიდობიანი შეთანხმება პრაგმატულად ღირებულია და ახალ-ახალი დივიდენდები მოაქვს მხარეთათვის. პოლიტიკოსებმა უნდა ისწავლონ, რომ მდგრადი მშვიდობა მაშინ დამყარდება და შენარჩუნდება, როცა მშვიდობა პრაგმატულად ღირებულია კონფლიქტის ყველა მხარესათვის. მაგრამ პრაგმატულობა უნდა მოებას სამართლიანობის პრინციპს იმ აზრით, რომ შეთანხმება და გადაწყვეტილება გახდეს მით უფრო პრაგმატულად მომგებიანი, რაც უფრო მაღალია მისი სამართლიანობის დონე. სამართლიანობისა და პრაგმატულობის ასეთ ურთიერთკავშირზე აგებული ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებები მე სრულიად შესაძლებლად მიმაჩნია.

წინაპირობა IV: საქართველო უკვე დღეიდან უნდა გამოვიდეს ინიციატივით, რათა აფხაზეთს მოეხსნას ეკონომიკური სანქციები და ამით გააუქმოს აქამდე მოქმედი წინააღმდეგობრივი ფორმულა "შემირიგდი, ჩემთან იცხოვრე, თორემ გაგგუდავ". უფრო მეტიც, საქართველომ აქტიურად უნდა იზრუნოს რკინიგზის აღდგენაზე, აფხაზეთში ინვესტორთა შესვლაზე, აფხაზი და აფხაზეთში მცხოვრები სხვა ხალხების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და ფიზიკურ გადარჩენაზე.

მე აქ ქართულ-აფხაზური კონსტრუქტული მოლაპარაკებისა და კონფლიქტის ტრანსფორმაციის აუცილებელი წინაპირობები ჩამოვთვალე. აღნიშნული წინაპირობების დაცვის შემთხვევაში ქართველთა და აფხაზთა ურთიერთობაში, შესაძლოა, საფუძველი ჩაეყაროს ნდობის ხიდს, რომელზეც უნდა გაიაროს სახელმწიფოებრივი მშენებლობის შესახებ მოლაპარაკებების პროცესმა. ვთვლი, რომ ნდობის ხიდის გარეშე ვერავითარი პროექტი, შეთავაზება, ღონისძიება და ძალისხმევა ვერ მოიტანს ქართველთათვის და აფხაზთათვის სასურველ შედეგს.

ორშაბათი 17.1

რუსთავი - 2

07.30 დილა **08.00** ტელეღიპუცები **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** ღამის შოუ **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** მხ. ფილმი "შერლოკ ჰოლმსი. გაცნობა" (გ) **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** ტელეღიპუცები **18.20** "ჯეტიქსი" **18.50** პატრული **19.00** ფეხბურთი **19.55** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** სუსტი რგოლი **23.00** დოკ. ფილმი "ნოეს კიდობნის ნამდვილი ისტორია" (ბი-ბი-სი) **00.00** მხ. ფილმი "პოლიციელის სიცოცხლის საფასური" (12) (ალენ დელონი) **02.30** პატრული

პირველი არხი

08.00 "ადრე" **10.00** დოკ. ფილმი "დიდი კანიონი" **11.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმი "კლიფორდი" **12.45** ანიმაციური ფილმი "ციცქნა მოჩვენებანი" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერიალი "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" ოსურ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** მხედრობა **16.15** სიცილის ოთახი **16.30** დოკ. ფილმი "ათენი" **17.30** დოკ. ფილმი "მითხარი რატომ" **18.00** "მთავარი" -რეგიონებიდან **18.30** სერიალი "ჯეტ ჯექსონი" **19.00** "ჰოლმარკი" წარმოგიდგენთ - "კლეოპატრა" მე-4ს. **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **22.00** დოკ. ფილმი "დროში მოგზაურობა" (ბი-ბი-სი) **23.00** პროფესიონალი **23.30** მხ. ფილმი "თითქოს არაფერი მომხდარა" **01.10** საინფ. გამოშვება

მზე

08.30 მუსიკა მზეზე **09.00** ტელეჟურნალი "სცენა" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "სინიორ ვიანელო" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **12.05** კრიმინდ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **13.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **14.15** საბავშვო სერიალი "დიუნის შვილები" **15.10** შემეცნებითი პროგრამა "ყველაზე, ყველაზე" **16.05** სერიალი "ველური მთვარე" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** სერიალი "პოლიციელი ქალები" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** მუსიკა **19.00** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.45** კრიმინდ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** არჩევანის ზღვარზე **23.45** მხ. ფილმი "შეშლილი სესილ ბ" (15)

მეორე არხი

19.00 სერიალი "მკვლელობათა ძიების განყოფილება" **19.50** "ბაბილინა" **20.05** ანიმაცია "ამბები ჩემი ბავშვობის შესახებ" **20.30** დოკ. ფილმი "ბუშლენდის სკოლა" **21.20** საახალწლო მოგზაურობა **23.00** კინოსეანსი "გადაღების ერთი დღე"

იმედი

07.00 სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **07.30** დოკ. სერიალი "საზღვაო ისტორიები" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** იმედის დილა **09.20** "დუბლიორი" **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** დროება **12.20, 04.25** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 03.55** ტვ-მარკეტი **13.15** ეროვნული საკალათბურთთა ასოციაცია **15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 03.45** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **17.10** დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისთვის" **17.25** "ვაკაჭი-ნიუსი" **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "კამენსკაია-2" მე-4 ს. **22.50** სერიალი "კეკესი დიდ ქალაქში" **23.15** "არჩევანი თქვენ" **00.25** სპ. პროგრამა "გოლი" **00.55** მხ. ფილმი "აფრიკელი" (გ) (კ. დენევი) **02.40** სერიალი "ნეშ ბრიჯესი"

აჭარა

09.00 მუსიკა **09.30** კომედია "მფრინავი გველის შურისძიება" **11.30, 14.30, 17.30, 20.30** საინფ. გამოშვება **11.45** სათავ. ფილმი "ოქროს ციებ-ცხელება" **13.35** მუსიკა **14.45** ფინტასტიკა "წყაღქვეშა ნავი მოჩვენება" **16.30** მულტფილმი **17.45** მუსიკა **18.30** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **18.50** კომედია "ბოლოსიტყვაობა" **21.00** მხ. ფილმი " ნორმალური" **23.00** "სტარტი" **23.30** საინფ. გამოშვება **23.50** კრიმინალური კომედია "იუბილარი"

ქვიარა

11.00 ვარსკვლავები გვამცნობენ **12.30** საბავ. გადაცემა "ინკოგნიტო" **13.30** ინდ. მხ. ფილმი "მოუტაცებელი საცოლე" (გ) **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.20** ტუწ-ემ **19.20** სპექტრი **21.00** ტუწ-ემ **22.30** საქმე და ეკონომიკა **00.30** მხ. ფილმი "თვალი 2" (16)

202

10.00 დებატები (განმ.) **12.00** მუსიკა **13.00** სერიალი "დიდი სახლი" (განა.) **14.00** მუსიკა **19.00** სერიალი "მუსკულები" (განა.) **19.30** სერიალი "დიდი სახლი" **22.30** მუსიკა **23.00** დებატები 202-ზე

1 ОРТ

12.00 Новости **12.10** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ".** **13.10** Дисней-клуб: "Новые приключения Винни Пуха". **13.30** Зоя Федорова в комедии **"ВЗРОСЛЫЕ ДЕТИ"** **15.00** Новости **15.20** Владимир Меньшов в комедии **"ГДЕ НАХОДИТСЯ НОФЕЛЕТ?"** **17.00** "Пять вечеров". Понедельник. **18.00** Вечерние новости. **18.20** Документальный детектив. "Свастика на обочине". Дело 2002 года. **19.00** Сериал **"КЛОН".** **20.00** Жди меня. **21.00** Время. **21.30** Андрей Соколов в многосерийном фильме **"БЛИЗНЕЦЫ".** **22.40** Спецрасследование. "Мафия нищих". **23.30** Ночное "Время". **23.50** Искатели. "Тайна гибели "Санта-Фе". **00.20** "Подорожник". **00.50** "Подводный мир Андрея Макаревича". **01.20** Шарон Стоун в триллере **"ПОСЛЕДНИЙ ТАНЕЦ"** **03.10** Гэри Олдман в боевике **"РОМЕО, ИСТЕКАЮЩИЙ КРОВЬЮ"**.

НТВ

06.00 "Сегодня утром". **09.05** Сериал **"МЕРТВЫЕ НЕ ЛГУТ-2".** **10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** "Сегодня" **10.15** Анатомия преступлений. **10.55** Сериал **"МАНГУСТ-2".** **13.35** Сериал **"УСАДЬБА".** **14.30** Сериал **"ВИНТОВАЯ ЛЕСТНИЦА".** **15.35** Чрезвычайное происшествие. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.30** Сериал **"ПОЛИЦЕЙСКИЙ КЭТТС И ЕГО СОБАКА".** **18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Сериал **"УСАДЬБА".** **20.45** Сериал **"ВИНТОВАЯ ЛЕСТНИЦА".** **21.50** Чрезвычайное происшествие. **22.00** "Сегодня 22.00". **22.40** Сериал **"ЛАНДЫШ СЕРЕБРИСТЫЙ".** **23.40** Чрезвычайное происшествие. **00.10** Роман Полански в остросюжетном фильме **"ЖИЛЕЦ"**. Польский чиновник Трелковский живет и работает в Париже. Сняв комнату в тихом квартале, он узнает, что предыдущая квартирантка Симон Шульц по неизвестным причинам выбросилась из окна. При этом она еще жива и находится в больнице. Трелковский навещает Симон, где знакомится с ее подругой Стеллой. Попытки поговорить с Симон успехом не увенчались. Издав дикий крик, девушка умирает. С первых дней жизни в комнате Симон Трелковский начинает ощущать недоброжелательность соседей. Его постоянно в чем-нибудь обвиняют, и ему начинают мерещиться ужасы...

სამშაბათი 18.1

რუსთავი - 2

07.30 დილა **08.00** ტელეღიპუცები **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** სუსტი რგოლი **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 01.50** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** მხ. ფილმი "დრაკონთან შებრძოლება" (გ) **15.25** ქართული ფეხბურთის მიმოხილვა **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** ტელეღიპუცები **18.20** "ჯეტიქსი" **18.55** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **19.45** პატრული **19.55** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** ღამის შოუ **23.00** დოკ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი "საგნების უშიშროება" (18) (გლენ კლოუზი) **02.00** პატრული

პირველი არხი

08.00 "ადრე" **10.00** დოკ. ფილმი "გრანდიოზული გაქცევები" **11.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმი "კლიფორდი" **12.45** ანიმაციური ფილმი "ციცქნა მოჩვენებანი" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერიალი "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" ოსურ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** მხედრობა **16.15** სიცილის ოთახი **16.30** დოკ. ფილმი "ათენი" **17.30** დოკ. ფილმი "მითხარი რატომ" **18.00** "მთავარი" -რეგიონებიდან **18.30** სერიალი "ჯეტ ჯექსონი" **19.00** "ჰოლმარკი" წარმოგიდგენთ - "კლეოპატრა" მე-4ს. **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **22.00** დოკ. ფილმი "დროში მოგზაურობა" (ბი-ბი-სი) **23.00** პროფესიონალი **23.30** მხ. ფილმი "თითქოს არაფერი მომხდარა" **01.10** საინფ. გამოშვება

მზე

08.30 მუსიკა მზეზე **09.00** ტელეჟურნალი "მოდა" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "სინიორ ვიანელო" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **12.05** კრიმინდ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **13.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **14.15** საბავშვო სერიალი "დიუნის შვილები" **15.10** შემეცნებითი პროგრამა "ყველაზე, ყველაზე" **16.05** სერიალი "ველური მთვარე" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** სერიალი "პოლიციელი ქალები" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** მუსიკა **19.00** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.45** კრიმინდ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** არჩევანის ზღვარზე **23.45** მხ. ფილმი "ვარსკვლავეთში" (გ)

მეორე არხი

19.00 სერიალი "მკვლელობათა ძიების განყოფილება" **19.50** "ბაბილინა" **20.05** ანიმაცია "ამბები ჩემი ბავშვობის შესახებ" **20.30** დოკ. ფილმი "ბუშლენდის სკოლა" **21.20** საქართველო ახალ წელს **22.40** კინოსეანსი "მყუდრო სავანე"

იმედი

07.00 სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **07.30** დოკ. სერიალი "საზღვაო ისტორიები" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** იმედის დილა **09.20** "დუბლიორი" **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** სერიალი "კამენსკაია-2" **12.20, 17.10, 23.40, 04.00** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 03.30** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "აფრიკელი" **15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 03.20** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისთვის" **17.25** სპ. პროგრამა "ეროი" **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "კამენსკაია-3" **22.40** სერიალი "კეკესი დიდ ქალაქში" **23.00** პირველები **00.05** მხ. ფილმი "დედოფალი მარგო" (18) (ი. აჯანი) **02.25** გოლი - სერია "ა" (იტალიის ჩემპიონატი)

აჭარა

09.00 მუსიკა **09.20** კომედია "ზაზუნას დღეასაწყული" **11.00** მუსიკა **11.30, 14.30, 17.30, 20.30** საინფ. გამოშვება **11.45** "სტარტი" **12.15** თრილერი "საკმარისია" **14.10** მუსიკა **14.45** ფანტასტიკა "ნემეზიდის ვარსკვლავური გზა" **16.40** მულტფილმი **17.45** მუსიკა **18.30** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **18.50** მხ. ფილმი "მცოცავი ქვიშა" **21.00** დრამა "ცივი მთა" **23.30** საინფ. გამოშვება **23.50** კომედია "ბუმერანგი"

ქვიარა

11.00 ტუწ-ემ **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.20** ტუწ-ემ **19.20** სპექტრი **21.15** მხ. ფილმი "სიყვარულის ტატუირება" (გ) **00.30** ტუწ-ემ

202

10.00 დებატები (განმ.) **12.00** მუსიკა **13.00** სერიალი "დიდი სახლი" (განა.) **14.00** მუსიკა **19.00** სერიალი "მუსკულები" (განა.) **19.30** სერიალი "დიდი სახლი" **22.30** მუსიკა **23.00** დებატები 202-ზე

1 ОРТ

06.00 "Доброе утро" **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20, 21.30** Сериал **"БЛИЗНЕЦЫ".** **10.30, 19.00** Сериал **"КЛОН".** **11.30** Док. детектив. "Свастика на обочине". Дело 2002 г. **12.20** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ".** **13.20** Татьяна Догилева в комедии **"ОБИДА"** **15.20** "Угадай мелодию" **15.50** Валерий Николаев в многосерийном фильме **"ДЕНЬ РОЖДЕНИЯ БУРЖУЯ".** **17.00** "Пять вечеров". Вторник. **18.20** "Зимняя шутка с...". **19.50** Лариса Удовиченко в детективе **"ЛЮБИТЕЛЬНИЦА ЧАСТНОГО СЫСКА ДАША ВАСИЛЬЕВА".** **21.00** Время. **22.40** "Элвис Пресли". **23.30** Ночное "Время". **23.50** "Звезды эфира". Аркадий Райкин. **00.20** Крылья. "Короли ледяных аэропортов". **00.50** "Гении и злодеи". Никола Тесла. **01.20** Джет Ли в боевике **"УДАР ДРАКОНА".** **03.05** Тим Мэтсон в триллере **"ИНОГДА ОНИ ВОЗВРАЩАЮТСЯ"**. Школьный учитель приезжает в свой родной город после 30-летнего отсутствия. Когда-то здесь произошла страшная трагедия: шайка головорезов из числа его учеников убила его брата. А затем и сами убийцы погибли во время крушения поезда. Это случилось давно. Но страшные призраки прошлого один за другим начинают вновь возвращаться... **04.40** Сериал **"ПОСЛЕДНЯЯ ГРАНИЦА"**.

НТВ

06.00 "Сегодня утром". **09.05** Сериал **"МЕРТВЫЕ НЕ ЛГУТ-2".** **10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** "Сегодня" **10.15** Анатомия преступлений. **10.55** "Стресс". Ток-шоу Александра Гордона. **11.55** Сериал **"УСАДЬБА".** **13.30** Виктор Бычков в сериале **"НА ВИРАЖЕ".** **1**-я серия. **14.30** Сериал **"ВИНТОВАЯ ЛЕСТНИЦА".** **15.35** Чрезвычайное происшествие. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.30** Сериал **"ПОЛИЦЕЙСКИЙ КЭТТС И ЕГО СОБАКА".** **18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Сериал **"УСАДЬБА".** **20.45** Сериал **"ВИНТОВАЯ ЛЕСТНИЦА".** **21.50** Чрезвычайное происшествие. **22.00** "Сегодня 22.00". **22.40** Сериал **"ЛАНДЫШ СЕРЕБРИСТЫЙ".** **23.40** Чрезвычайное происшествие. **00.10** Роман Полански в остросюжетном фильме **"ЖИЛЕЦ"**. Польский чиновник Трелковский живет и работает в Париже. Сняв комнату в тихом квартале, он узнает, что предыдущая квартирантка Симон Шульц по неизвестным причинам выбросилась из окна. При этом она еще жива и находится в больнице. Трелковский навещает Симон, где знакомится с ее подругой Стеллой. Попытки поговорить с Симон успехом не увенчались. Издав дикий крик, девушка умирает. С первых дней жизни в комнате Симон Трелковский начинает ощущать недоброжелательность соседей. Его постоянно в чем-нибудь обвиняют, и ему начинают мерещиться ужасы...

ოთხშაბათი 19.1

რუსთავი - 2

07.30 დილა **08.00** ტელეღიპუცები **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** ღამის შოუ **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 01.55** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** მხ. ფილმი "ხელიდან წასული" (გ) **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** ტელეღიპუცები **18.20** "ჯეტიქსი" **18.55** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **19.45** პატრული **19.55** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** ფორტ-ბოიარდი **23.00** დოკ. ფილმი "ვინ მოკლა რასპუტინი" (ბი-ბი-სი) **00.00** მხ. ფილმი "კ-2: მაქსიმალური სიმაღლე" (18) (მაიკლ ბინი) **02.15** პატრული

პირველი არხი

08.00 "ადრე" **10.00** დოკ. ფილმი "დროში მოგზაურობა" **11.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმი "კლიფორდი" **12.45** ანიმაციური ფილმი "ციცქნა მოჩვენებანი" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერიალი "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" სომხურ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** რაციო **16.30** "არტე" წარმოგიდგენთ - "საიდუმლო ადგილები" **17.30** ვაკანსია **18.00** "მთავარი" რეგიონებიდან **18.30** სერიალი "ჯეტ ჯექსონი" **19.00** "ჰოლმარკი" წარმოგიდგენთ - "ვირტუალური რეალობა" 1-ლი ს. **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **22.00** დოკ. ფილმი "ტერი ჯონსის შუა საუკუნეები" **23.00** ახალი პროექტი **23.30** მხ. ფილმი "ჩაკლული სულები" **02.10** საინფ. გამოშვება

მზე

08.30 მუსიკა მზეზე **09.00** ტელეჟურნალი "ჰოლივუდი დღეს" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "სინიორ ვიანელო" **11.00** "აბა დამაცადე" **11.10** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **12.05** "მზე, რეკორდი და კუჩხი ბედნიერი" **14.00** "მზერა" **14.15** "საოცნებო ცირკი" **15.10** შემეცნებითი პროგრამა "ყველაზე, ყველაზე" **16.00** მუსიკა **16.05** სერიალი "ველური მთვარე" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** სერიალი "დღესასწაული ყინულზე" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** მუსიკა **19.00** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.45** კრიმინდ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** არჩევანის ზღვარზე **23.45** მხ. ფილმი "ცით მოვლენილი" (გ)

მეორე არხი

19.00 სერიალი "მკვლელობათა ძიების განყოფილება" **19.50** "ბაბილინა" **20.05** ანიმაცია "ამბები ჩემი ბავშვობის შესახებ" **20.30** ექსცენტრიკოსები **21.00** დოკ. ფილმი "მინორკის ცხენები" **21.30** მონოსპექტაკლი "აქ მატარებლებს თეთრად ათოვს" **22.50** მსოფლიო უმღერს შობას

იმედი

07.00 სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **07.30** დოკ. სერიალი "საზღვაო ისტორიები" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** იმედის დილა **09.20** "დუბლიორი" **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** სერიალი "კამენსკაია-3" **12.20, 17.10, 03.15** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 02.45** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "ცხოველური ბნუბა" (გ) (ჰ. არკეტი) **15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 02.35** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისთვის" **17.20** არტ-ბულვარი **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "კამენსკაია-3" **22.50** სერიალი "კეკესი დიდ ქალაქში" **23.15** "უცნობი საქართველო" **23.45** მხ. ფილმი "რეალური სიყვარული" (15) (ვ. გრანტი) **01.40** სერიალი "ნეშ ბრიჯესი"

აჭარა

09.00 მუსიკა **09.30** სათავ. ფილმი "პლუტონეში" **11.05** მუსიკა **11.30, 14.30, 17.30, 20.30** საინფ. გამოშვება **11.45** ბოევიკი "ბუნდოკელი წმინდანები" **13.35** მუსიკა **14.45** მხ. ფილმი "სიყვარული წესებით და წესების გარეშე" **16.55** მულტფილმი **17.45** მუსიკა **18.30** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **18.50** დრამა "მეექვსე გრძნობა" **21.00** მხ. ფილმი "ბარაბა" **23.15** მუსიკა **23.30** საინფ. გამოშვება **23.50** მხ. ფილმი "გაიცანით, ჯო ბლექი"

ქვიარა

11.00 მხ. ფილმი "სიყვარულის ტატუირება" (გ) **13.00** ტუწ-ემ **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.20** ტუწ-ემ **19.20** სპექტრი **21.15** მხ. ფილმი "ტაქსი-3" (გ) **00.30** ტუწ-ემ

202

10.00 დებატები (განმ.) **12.00** მუსიკა **13.00** სერიალი "დიდი სახლი" (განა.) **14.00** მუსიკა **19.00** სერიალი "მუსკულები" (განა.) **19.30** სერიალი "დიდი სახლი" **22.30** მუსიკა **23.00** დებატები 202-ზე

1 ОРТ

06.00 "Доброе утро" **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20, 21.30** Сериал **"БЛИЗНЕЦЫ".** **10.30, 19.00** Сериал **"КЛОН".** **11.30** "Зимняя шутка с ...". **12.20** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ".** **13.20** Дисней-клуб: "Лило и Стич". **13.50** Сериал **"ЛЮБИТЕЛЬНИЦА ЧАСТНОГО СЫСКА ДАША ВАСИЛЬЕВА".** **15.20** "Угадай мелодию" **15.50** Сериал **"ДЕНЬ РОЖДЕНИЯ БУРЖУЯ".** **17.00** "Пять вечеров". Среда. **18.20** Смехопанорама Евгения Петросяна. **19.50** Сериал **"ЛЮБИТЕЛЬНИЦА ЧАСТНОГО СЫСКА ДАША ВАСИЛЬЕВА".** **21.00** Время. **22.40** Тайны века. "Битва титанов". **23.30** Ночное "Время". **23.50** Теория невероятности. "Йога". **00.20** Сканер. "Актер без лица". **00.50** Михаил Ширвиндт в программе "Русский экстрим". **01.10** Лайэм Нисон в триллере **"ЧЕЛОВЕК ТЬМЫ"** **02.50** Родриго Санторо в фильме **"ПОСЛЕДНЕЕ СОЛНЦЕ"**. Северо-восток Бразилии, апрель 1910 года. Две семьи уже много лет враждуют. После убийства старшего сына, отец приказывает 20-летнему Тонио отомстить за смерть брата. Молодой человек знает, что он обязан выполнить его волю. Так велит закон чести. Но, встав на тропу войны, он сам становится мишенью. А значит, впереди ждет сметь... **04.30** Сериал **"ПОСЛЕДНЯЯ ГРАНИЦА"**.

НТВ

10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00 "Сегодня" **10.15** Анатомия преступлений. **10.50** "Женский взгляд" Оксаны Пушкиной. **11.25** "Растительная жизнь". Программа Павла Лобкова. **11.55** Сериал **"УСАДЬБА".** **13.30** Сериал **"НА ВИРАЖЕ".** **14.30** Сериал **"ВИНТОВАЯ ЛЕСТНИЦА".** **15.35** Чрезвычайное происшествие. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.30** Сериал **"ПОЛИЦЕЙСКИЙ КЭТТС И ЕГО СОБАКА".** **18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Сериал **"УСАДЬБА".** **20.45** Сериал **"ВИНТОВАЯ ЛЕСТНИЦА".** **21.50** Чрезвычайное происшествие. **22.00** "Сегодня 22.00". **22.40** Сериал **"ЛАНДЫШ СЕРЕБРИСТЫЙ".** **23.40** Чрезвычайное происшествие. **00.15** Расселл Кроу в фильме **"НЕБЕСА В ОГНЕ"** **02.25** Оливер Платт в остросюжетном фильме **"В СТАНЕ ВРАГА"**. **04.10** Сериал **"ЗА ГРАНЬЮ ВОЗМОЖНОГО"**. **04.55** Сериал **"ОПЕРАТИВНИК"**. **05.35** Чрезвычайное происшествие.

ხუთშაბათი 20.1

რუსთავი - 2

07.30 დილა **08.00** ტელეღიპუცები **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** ფორტ-ბოიარდი **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 01.40** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** მხ. ფილმი "წვიმას მოყოლილი მამაკაცი სველი ფეხსაცმლით" **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** ტელეღიპუცები **18.20** "ჯეტიქსი" **18.55** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **19.45** პატრული **19.55** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** ვის უნდა 50 ათასი **23.00** დოკ. ფილმი "ბელროკის შუქურა" (ბი-ბი-სი) **00.00** მხ. ფილმი "ედ გეინი" (18) (სტივ რეილსბეკი) **02.00** პატრული

პირველი არხი

08.00 "ადრე" **10.00** დოკ. ფილმი "ტერი ჯონსის შუა საუკუნეები" **11.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმი "კლიფორდი" **12.45** ანიმაციური ფილმი "ციცქნა მოჩვენებანი" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერიალი "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" აზერბაიჯანულ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** "ბიოგრაფიული პორტრეტები" - გიბსონი, ჰილტონი. **16.30** დოკ. ფილმი "საშიშრება ვეფხვის სამოთხეში" **17.30** დოკ. ფილმი "მითხარი რატომ" - ფრენა **18.00** "მთავარი" - რეგიონებიდან **18.30** სერიალი "ჯეტ ჯექსონი" **19.00** "ჰოლმარკი" წარმოგიდგენთ - "ვირტუალური რეალობა" მე-2ს. **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **22.00** დოკ. ფილმი "კოლუმბიის უკანასკნელი აფრენა" **23.00** მედიატორი **23.30** მხ. ფილმი "მხიარული კვირადღე" **02.00** საინფ. გამოშვება

მზე

08.30 მუსიკა მზეზე **09.00** "ფოკუსის ისტორია" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "სინიორ ვიანელო" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **12.05** კრიმინდ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **13.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნებითი პროგრამა "ყველაზე, ყველაზე" **16.05** სერიალი "ველური მთვარე" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** სერიალი "პოლიციელი ქალები" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** მუსიკა **19.00** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.45** კრიმინდ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** არჩევანის ზღვარზე **23.45** მხ. ფილმი "იყო ერთი პოლიციელი" (15)

მეორე არხი

19.00 სერიალი "მკვლელობათა ძიების განყოფილება" **19.50** "ბაბილინა" **20.05** ანიმაცია "ამბები ჩემი ბავშვობის შესახებ" **20.30** დოკ. ფილმი "ხმელთაშუა ზღვის ვეშაპის საიდუმლო" **21.20** საახალწლო შოუ **22.50** მხ. ფილმი "დღე"

იმედი

07.00 სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **07.30** დოკ. სერიალი "საზღვაო ისტორიები" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** იმედის დილა **09.20** "დუბლიორი" **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** სერიალი "კამენსკაია-3" **12.20, 17.10, 02.30** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 02.00** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "რეალური სიყვარული" (15) (ჰ. გრანტი) **15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 01.50** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისთვის" **17.25** "ათასიდან ერთი შანსი" **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "კამენსკაია-3" **22.50** სერიალი "კეკესი დიდ ქალაქში" **23.15** მხ. ფილმი "უივერნის სასახლის საიდუმლო" (15) (ნ. უოტსი) **00.55** სერიალი "ნეშ ბრიჯესი"

აჭარა

09.00 საინფ. დაიცესტი **09.20** კომედია "აგენტი კოდი ბენქსი" **11.00** მუსიკა **11.30, 14.30, 17.30, 20.30** საინფ. გამოშვება **11.45** ბოევიკი "ჰოლივუდელი კოპები" **13.40** მუსიკა **14.45** ფანტასტიკა "მაიმუნების პლანეტა" **16.40** მულტფილმი **17.45** მხ. ფილმი "პარიზი" **18.30** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **20.00** "გადარჩენილი სიტყვა" **21.00** სათავგ. ბოევიკი "ამაზონის განძი" **22.45** "ექსკლუზივი" **23.30** საინფორმაციო დაიჯესტი **23.50** მხ. ფილმი "კოცნის პრელუდია"

ქვიარა

11.00 მხ. ფილმი "ტაქსი-3" (გ) **13.00** ტუწ-ემ **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.20** ტუწ-ემ **19.20** სპექტრი **21.15** მხ. ფილმი "დარტყმის თავისუფლება" (გ) **00.30** ტუწ-ემ

202

10.00 დებატები (განმ.) **12.00** მუსიკა **13.00** სერიალი "დიდი სახლი" (განა.) **14.00** მუსიკა **19.00** სერიალი "მუსკულები" (განა.) **19.30** სერიალი "დიდი სახლი" **22.30** მუსიკა **23.00** დებატები 202-ზე

1 ОРТ

06.00 "Доброе утро" **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20, 21.30** Сериал **"БЛИЗНЕЦЫ".** **10.30, 19.00** Сериал **"КЛОН".** **11.20** "Курбан-Байрам". Трансляция из Уфимской соборной мечети. **12.20** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ".** **13.20** Дисней-клуб: "Утиные истории". **13.50** Сериал **"ЛЮБИТЕЛЬНИЦА ЧАСТНОГО СЫСКА ДАША ВАСИЛЬЕВА".** **15.20** "Угадай мелодию" **15.50** Сериал **"ДЕНЬ РОЖДЕНИЯ БУРЖУЯ".** **17.00** "Пять вечеров". Четверг. **18.20** "Анекдоты". **19.50** Сериал **"ЛЮБИТЕЛЬНИЦА ЧАСТНОГО СЫСКА ДАША ВАСИЛЬЕВА".** **21.00** Время. **22.40** "Человек и закон" **23.30** Ночное "Время". **23.50** Ударная сила. "Снайперский аккорд". **00.20** Идолы

პერი კეიტერი - ამერიკის ყველაზე პატიოსანი პოლიტიკოსი

მელორ სტურუა
საკ. კორრ. აჭშ

შეცდომებზე სწავლობენ. როდესაც ჯიმი კარტერი საპრეზიდენტო წინასაარჩევნო კამპანიას აწარმოებდა, ამერიკელებს დაჰპირდა: "მე თქვენ არასოდეს მოგატყუებთ". ამ დანაპირების შესრულების მცდელობა კი კარტერს ძვირად დაუჯდა. მისი განცხადება - "ჩვენს საზოგადოებაში რაღაც არის ავთვისებიანი" (ჰამლეტის არ იყოს: "დანიის სამეფოში რაღაც ლპება"), მას მეორე ვადად და "თეთრი სახლის ჰამლეტის" მეტსახელად დაუჯდა.

პერი კეიტერმა - პოლიტიკურმა მოღვაწემ ნებრასკას შტატიდან, რომელმაც თავისი კანდიდატურა ქალაქის საბჭოში წარადგინა, კარტერის შეცდომა გაითვალისწინა და საწინააღმდეგო სტრატეგიით მოქმედება გადაწყვიტა. კენჭისყრის შესახებ გადაწყვეტილების განმარტებისას მან აღნიშნა: "დრო იცვლება. ამიტომ მე ჩემს თანამოქალაქეებს ვპირდები, რომ არასოდეს ვეტყვი სიმართლეს". ამ გამაოგნებელი განცხადების გასაკეთებლად კანდიდატმა შესაბამისი ტრიბუნა შეარჩია - სწრაფი კვების რესტორანი "ბურგერ კინგი". ამის აღსანიშნავად კეიტერმა თქვა: **"ბურგერ კინგი" - თავხედური სიცრუის ტაძარია და ამას კი მე დიდი რაოდენობით მოგაწვდით. თუ დღეს რომელიმე პოლიტიკოსი განაცხადებს: "მე თქვენ არასოდეს მოგატყუებთ", პირველი რეაქცია, რაც ამას მოჰყვება, იქნება შეძახილი ხალხის მასიდან "შენ უკვე მოგვატყუე". დღეს აღარავის სჯერა პოლიტიკოსების, მაგრამ მაინც ვაძლევთ რომელიმე მათგანს ხმას. და, როცა ისინი გვატყუებენ, თავს იმედგაცრუებულად ვგრძნობთ. სწორედ აქედან მოდის არჩევნებში მონაწილეობაზე უარის თქმა და ჩვენი პოლიტიკური სისტემის მიმართ უნდობლობა. მაგრამ, როდესაც მე ვპირდები ამომრჩეველს, რომ მოვატყუებ, იმას მაინც გრძნობენ, რომ პატივს ვცემ და არ ვაპირებ თვალებში ნაცარი შევაყარო"**.

ესეც წინასაარჩევნო სიტყვა.

და დღემდე კეიტერის ტრიუკს მისთვის სასურველი შედეგი მოაქვს. მართალია, საუბარია მხოლოდ და მხოლოდ ქალაქის საბჭოს წევრობაზე, მაგრამ მის კამპანიას დიდი გამოხმაურება მოჰყვა და როგორი პარადოქსულიც არ უნდა იყოს, მას ყველაზე მაღალი რეიტინგი აქვს მაგისტრატობის თანამდებობის მსურველთა შორის გულწრფელობის გამო. თუმცა, მისი გამოსვლები ბევრი არაფრით გამოირჩევა კონკურენტების გამოსვლებისგან. **"განსხვავება ის გახლავთ,** - ამბობს კეიტერი, - **რომ, როცა ვამბობ: "მე არასოდეს გავზრდი გადასახადებს", ხალხი იწყებს სკანდირებას "მატყუარა, მატყუარა", მე კი ამ დროს მათ ვდირიჟორობ, ყველა იცინის და მხიარულობს"**.

მაგრამ იცინის ის, ვინც ბოლოს იცინის. ამ შემთხვევაში არ შეიძლება არ გავიხსენოთ პრეზიდენტი ბუში-მამა. თეთრ სახლში შესვლისას ის ამერიკელებს დაჰპირდა, რომ არასოდეს (ისევ არასოდეს!) გაზრდიდა გადასახადებს. მეტი დამაჯერებლობისთვის კი ბუშმამამ ტელევიზიით გამოსვლისას, სიტყვა "არასოდეს" გაწელა და დაამატა: **"დააკვირდით ჩემი ტუჩების მოძრაობას: არა-სო-დეს"**. ეს "ტუჩების მოძრაობა" ბუშს ცუდად მოუბრუნდა - მან ბილ ქლინთონთან წააგო.

როგორც სალტიკოვ-შედრინი ამბობდა, ტყუილი ის მონეტაა, რომელზეც დიდ ხანს ვერ იცხოვრებ. სხვა საქმეა დიდი ტყუილი. ნებრასკელი პერი კეიტერის ტყუილი კი პატარების რიგს მიეკუთვნება. ტყუილიც კი არ არის, უბრალოდ, წინასაარჩევნო მანევრია. რამდენ ხანს შეძლებს ამით ცხოვრებას და რამდენად შორს წავა, დრო გვიჩვენებს. მაგრამ უფრო ფართო პლანით თუ შევხედავთ - მისი ისტორია გახლავთ მორალის მქონე იგავი, რომელიც კომენტარს არ საჭიროებს.

შოტლანდიური სამართლიანობა

ვის დააფასებენ ბრიტანელები

ვერა ნეფარიძე

ორშაბათს ბრიტანეთის პრესტიჟულ მუსიკალურ ჯილდოებზე "ბრიტებზე" წარდგენილი ნომინანტები გამოაცხადეს. აღმოჩნდა, რომ მნიშვნელოვანი მუსიკალური ჯილდოების გადაცემის საიუბილეო, რიგით 25-ე ცერემონიალზე ყველაზე მეტ ნომინაციაზე წარდგენილია შოტლანდიური ჯგუფი Franz Ferdinand. ასე რომ, 9 თებერვალს, ლონდონის "ერლს კორტის" დარბაზში დაგეგმილი სანახაობის ფავორიტების სახელი უკვე ცნობილია. და მაინც, ვინ არიან ისინი და რით დაიმსახურეს ახალგაზრდა შოტლანდიელმა მუსიკოსებმა ეს პატივი?

შოტლანდიელები ხუთ კატეგორიაში არიან ნომინირებულნი. ეს ნომინაციებია: საუკეთესო ჯგუფის, საუკეთესო ალბომის, წლის დებიუტანტის, საუკეთესო როკ-ჯგუფისა და საუკეთესო საკონცერტო გამოსვლის. რასაკვირველია, ამ შედეგს რაღაცები უძღოდა წინ და, როგორც იტყვიან, მეხიც მთლად მოწმენდილ ცაზე არ გავარდება.

Franz Ferdinand მელომანების ერთ-ერთი უკანასკნელი რჩეულია; მათ მსოფლიოს მრავალ წერტილში აქტიურად უსმენენ; რაც შეეხება ჯილდოს, არც ესაა ჯგუფის წევრებისთვის უცხო ხილი. აქამდე შოტლანდიურმა ჯგუფმა ბრიტანულ პოპ-მუსიკაში მნიშვნელოვანი "მერკურის" პრიზიც კი აიღო; ხოლო ამერიკულმა ჟურნალმა "თაიმმა" ჯგუფს თანამედროვე როკ-ენ-როლის დედაქალაქი უწოდა.

თუკი გადავხედავთ განვლილ წელს და ვისაუბრებთ მუსიკალურ ჯგუფებზე, ვინც ყველაზე მეტად მიიპყრო მსმენელისა და პრესის ყურადღება, ამ კონტექსტში Franz Ferdinand ლიდერთა შორის უდავოდ სამართლიანად იკავებს ადგილს. მკვეთრი პოსტ-პანკი, დისკოს ენერგია და პროვოკაციული ტექსტები - ის სინთეზია, რომელიც ერთნაირად მისაღები აღმოჩნდა როგორც რეკლამის ტრადიციულ მსხვერპლთათვის, ისე კრიტიკოსებისთვის, ვინც გლაზგოელ ოთხეულში დამოუკიდებელი ბრიტანული მუსიკის მხსნელები შეიცნო.

სულ რამდენიმე თვის წინათ ჩვენ არაფერი ვიცოდით ამ ჯგუფის შესახებ; რეალობა კი ასეთია: შეძლებული პრომოუტერები ძალღონეს არ იშურებენ მათ მისაწვევად, მათი სინგლები ბრიტანულ ტოპათეულებში მკვიდრდებიან, ხოლო სტატიებს გლაზგოელი მუსიკოსების შესახებ შეიძლება Elle Girl-ის ფურცლებზეც გადააწყდეთ. ერთი სიტყვით, დღეს Franz Ferdinand მეტად მოდურია.

ჯგუფი 2001 წლის დასასრულს შეიკრა. მისი ახლანდელი შემადგენლობა ასეთია: ლიდერი ალექს კაპრანოსი, დასარტყმელებზე შემსრულებელი პოლ ტომსონი, გიტარისტი ნიკ მაკარტი და ბასისტი რობერტ ჰარტი. ოთხეული ჯერჯერობით ერთი ალბომის (რომელსაც ასევე ჰქვია - Franz Ferdinand) ავტორია. და კიდევ ერთი დეტალი: Franz Ferdinand-ის ყველა წევრი ფეხბურთის ფანი და "გლაზგო რეინჯერსის" გულშემატკივარია.

პირველი სინგლი ჯგუფმა ერთწლიანი გამოცდილების დაგროვების შემდეგ გამოსცა. "როდესაც ერთმანეთს შევხვდით, არ გვქონდა რაიმე განსაკუთრებული იდეა, თუ როგორ მიგვეღწია წარმატებისთვის. არც როლები გვქონდა განაწილებული. თავიდან ეს როკ-ჯგუფი კი არა, უბრალო კამპანია იყო, რომელიც იკრიბებოდა სადილისთვის, ფილმის საყურებლად, ერთი სიტყვით, დროის ერთად გასატარებლად", - ამბობს პოლ ტომსონი.

დასავლური პრესა ხშირად აღნიშნავს, რომ Franz Ferdinand გამორჩეულია, რომ მისი წევრები სულაც არ ჰგვანან როკ-ვარსკვლავებს. აღმოჩნდა, რომ მუსიკოსები ამ უბრალოებას ჯერჯერობით აფასებენ და ცდილობენ კიდეც მის გადარჩენას. ამიტომაც, არ კითხულობენ რეცენზიებს მათი დისკების ან კონცერტების შესახებ. "ვიდრე ხმისჩამწერ კომპანიასთან გავაფორმებდით კონტრაქტს, დაახლოებით ერთი წელიწადი გლაზგოში ვმოღვაწეობდით, რაც საკმაოდ შორსაა ისეთი მუსიკალური მეგაპოლისისგან, როგორიცაა ლონდონი. ეს იყო მეტად ჯანმრთელი გზა განვითარებისთვის. ჩვენ ვიცოდით, რა ხდებოდა მუსიკალურ ცხოვრებაში, არაფერი არ ახდენდა ჩვენზე ზეგავლენას. უბრალოდ, ვაკეთებდით იმას, რაც მოგვწონდა და თან ვსწავლობდით", - ამბობენ მუსიკოსები. ასე რომ, ვიდრე მეგაპოლისის ცეცხლოვანი ცხოვრების წესი უარყოფით ზეგავლენას მოახდენდეს Franz Ferdinand-ზე, შოტლანდიელ მუსიკოსებს აქვთ შანსი, გახდნენ წლევანდელი "ბრიტების" ჯილდოების ნამდვილი ფავორიტები და ადგილი დაიმკვიდრონ მუსიკის ისტორიაში.

რაც შეეხება დაჯილდოების ცერემონიალის სხვა გმირებს, შოტლანდიელებს ერთი ფეხით ჩამორჩება ჯგუფი Muse, რომელიც 9 თებერვალს ოთხ ნომინაციაში იბრძოლებს; სამ-სამი ნომიანცია შეაგროვეს ნატაშა ბედინფილდმა, ჯამელიამ, "სთრითსმა", "კინმა", "სნოუ პატრულმა" და Kasabian-მა. წლევანდელი, როგორც საიუბილეო დაჯილდოების ცერემონიალის განმასხვავებელი დეტალი იქნება საგანგებო პრიზი უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში შექმნილი საუკეთესო ინგლისური სიმღერისთვის. ამ ნომინაციაში წარდგენილია ხუთი კომპოზიცია: Love Will Tear Us Apart (Joy Division), Wuthering Heights (კეიტ ბუში), We Are The Champions ("ქუინი"), Angels (რობი უილიამსი) და Leave Right Now (ვილ იანგი). ამას გარდა, ცერემონიალიდან, სულ ცოტა, 500 ათასი ფუნტი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის დაზარალებულ ქვეყნებს გადაერიცხებათ.

ყველაზე უარესები

არავის დავიწყებია, რომ ახლა ის დრო დგას, როცა მისტერ ბლექველი მსოფლიოს თავის შეხედულებებს უზიარებს იმის შესახებ, თუ რა არის მოდაში და ვინ არ არის მოდური. ვგულისხმობთ სიას, რომელსაც "ყველაზე უარესად ჩაცმული ადამიანების ნუსხა" ჰქვია. წელს ამ სამარცხვინო ჩამონათვალს მსახიობი ნიკოლეტ შერიდანი ლიდერობს. მეორე ადგილზეა ასევე მსახიობი ლინდსი ლოენი, მესამეზე კი - დემი სიმპსონები, ეშლი და ჯესიკა, რომლებიც, ბლექველის თქმით, "ამტკიცებენ, რომ უგემოვნობა გენეტიკურია!"

წელს გაუმართლა სერენა ვილიამსს, რომელიც მხოლოდ მეექვსე ადგილს დასჯერდა, სამაგიეროდ ბლექველის კრიტიკის ქარ-ცეცხლი დაიმსახურა: "ჩოგბურთის დედოფლობიდან ის მოდის ფატალურ საფრთხობელად იქცა".

რაც შეეხება შარშანდელ "გამარჯვებულს" პერიზ ჰილტონს, ის წელს მეხუთე ადგილზე ჩამოქვეითდა.

მისტერ ბლექველმა ზემოთ ჩამოთვლილი მსახიობები კი გააასწორა მიწასთან, მაგრამ სამაგიეროდ დაინდო ნიკოლ კიდმანი, ნატალი პორტმანი და სკარლეტ იოჰანსონი. მეტიც, მათ ბლექველმა "დახვეწილი და ინდივიდუალური გემოვნების მქონე მოდნიცები" უწოდა.

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.